დანართი №2

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:
ციალა გაგნიძე -
(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნატალია
ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მარინაჯალიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მამუკა ხაჩიძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამთა პეტრიაშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ხოსროშვილი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნიკოლოზ ჩუბინიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ცინცაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა როსტომაშვილი
(განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი) .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233137860

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ლაგოდეხი ჭავჭავაძის ქ.N49
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ლაგოდეხი ჭავჭავაძის ქ.N49
საფოსტო ინდექსი	2700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-------
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Lagodekhi3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577659291

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება N638747; 2.06.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	20223 წლის 5 და 6 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1	დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ლაგოდეხი ჭავჭავაძის ქ.N49
2	საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ლაგოდეხი ჭავჭავაძის ქ.N49
3	საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი ლაგოდეხი ჭავჭავაძის ქ.N49

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძობოდა დაცულობისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისგან იგრძნობოდა სკოლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა. სკოლის როლი მის თემში ძალიან დიდია, მისი სწორი ღირებულებებისა და დამოკიდებულების დამსახურებით. სკოლა ერთ-ერთ მოთხოვნადი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, მიუხედავად მისი მოძველებული ინფრასტუქტურისა. სკოლა ჩართულია არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში. პროექტებში ასეთი ჩართულობა და მონაწილეობა მას აძლევს განვითარების შანსს, რასაც საკმაოდ კარგად იყენებს. მაგალითად, სკოლა ჩართულია USAID PH INTERNATIONAL - ის პროექტში. ასევე სკოლას ერთ-ერთი ადგილობრივი პროექტით აქვს მზის პანელები, რითაც მან მოახერხა კომუნალური ხარჯების დიდი ნაწილის შემცირება.
აღსაღნიშნავია, როგორც თანამშრომლების, ასევე დამსახურებული, ღვაწლმოსილი მასწავლებლებისადმი პატივისცემა სკოლის დირექციის მხრიდან. სკოლის დერეფანში გამოფენილი იყო დამსახურებელი პედაგოგების გასაცილებელი ღონისძიების ამსახველი მასალა, რომელსაც დირექციის წევრები და პედაგოგები საკმაოდ ემოციურად იხსენებდნენ. სკოლის პერსონალათან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიურებით ნათლად ჩანდა მათი პროფესიული კოლეგიალურობა და თანამშრომლობა, არაერთხელ აღინიშნა პედაგოგების მიერ ახალი სტანდარტებისთვის მზადებისა და ავტორიზაციის პროცესეთვის კათედრის წევრთა შორის, ასევე კათედრთა შორის თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება სკოლაში. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება X ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐შეესაბამება X მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა რაოდენობა: 450	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები: შესაბამისად შეფასდა დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

სტანდარტი N2		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გათვალისიწებულ ვადებში(20.07.2023-20.07.2024)უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, დასკვნა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დასკვნა, გამოაცხადოს*

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ვაკანსია და შესაძლებლობის ფარგლებში შეარჩიოს სკოლის ექთანი/ექიმი.
ინდიკატორი 3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაიის ოფიციალურ ვებ-გვერდისა/ვებ გევრდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გათვალისიწნებულ ვადებში(13.07.2023-30.11.2023)უზრუნველყოს ვებ-გვერდის გამართვა.*
ინდიკატორი 3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი/ვებგვერდზე შესაბამის გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორიელებს სწავლებას.*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმაში გათვალისიწნებულ ვადებში(13.07.2023-30.11.2023))უზრუნველყოს ვებ-გვერდის გამართვა.*
ინდიკატორი N3.6..3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმა გათვალისიწნებულ ვადებში(13.07.202 30.11.2023))უზრუნველყოს ვებ-გვერდის გამართვა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობ რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*რჩევა*
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინდა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები
ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინდა ზოგიერთი ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა წინამდებარე დასკვნაში. შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორი(*N 3.4.1.6 სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები)* შესრულების ვადები (1.09.2023-8.09.2023). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს და შესაბამისია ინდიკატორთან.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. დაეხმაროს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს გლობალურად მოაზროვნე, პატრიოტ, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თანამედროვე უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილ მოქალაქედ. განუვითაროს მოსწავლეს კულტურული მრავალფეროვნებისა და ფასეულობათა პატივისცემა. დაეხმაროს მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ გამბედავ და ინიციატივის მქონე ადამიანებად; აუმაღლოს მოსწავლეებს თვითშეფასება და განუვითაროს მათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. სკოლის მისიის ნაწილი, რომელიც კულტურულ მრავალფეროვნებას ეხება და განპირობებულია მოცემულობით, ფუნდამენტური და მნიშვნელოვანია - მოგეხსენებათ, სკოლაში მოსწავლეთა 20% ეთნიკური უმცირესობაა (აზერბაიჯანელი, რუსი, ოსი, სომეხი, ავარიელი). სკოლას გაცნობიერებული აქვს აღნიშნული პასუხისმგებლობა და მუდმივად ცდილობს კულტურული მრავალფეროვნებისა და ფასეულობათა პატივისცემის ღირებულებების დამკვიდრებით შეასრულოს თავის მისია. მაგალითად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ დაგეგმილი/განხორციელებულ სასკოლო პროექტში ,,კულტურული მრავალფეროვნება", სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესია გათვალისიწინებული, პროექტის აქტივობებში ვხვდებით: დისკუსიას თემაზე: ტოლერანტული მიდგომის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე სამყაროში, ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა,/ ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში, კომპლექსური დავალება-კულტურული მრავალფეროვნება ჩემს გარშემო სამოქალაქო განათლებში,საკლასო /სასკოლო სივრცეში ტოლერანტობის კუთხის მოწყობა/განთავსება, საკლასო პრეზენტაცია- ,,ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა... ' მოსწავლეთა მიერ მოკლე ისტორიულ- გეოგრაფიული ცნობების მოძიება პოლონეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის, დაღესტნის შესახებ და თანასკოლელებისთვის გაცნობა, სასკოლო კონფერენცია. თემა -,,ერთიანობა მრავალფეროვნებაშია". გამოფენა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა, სამზარეულო, რეცეპტების, ხელნაკეთი კრებული/ალმანახის. (ხელნაკეთი რეცეპტების წიგნი), სამოსის, ხოლო სადამრიგებლო საათის ფარგლებში სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ფოლკლორი - თამაშები, ხელნაკეთი ნივთები/აქსესუარების ქარგვა. ყველა ჩამოთვლილი განხორციელებული აქტივობიდან ჩანს, რომ პროექტი გაშლილი იყო მთელს სკოლაზე. მნიშვნელოვანი ნაწილია პროექტის მდგრადობა, რომელიც იძლევა სკოლის მისიის შესრულების მეტად უზრუნველყოფის საშუალებას მომავლში.

სკოლის ხედვაა, იგი იყოს მდგრადი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის კერა. თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი, დამოუკიდებელი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე,თანამედროვე უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილი მოქალაქის ჩამოყალიბებაზე. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით და მოსწავლეთა რაოდენობიდან ჩანს, რომ სკოლა მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს თემში, მიუხედაად იმისა რომ სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბევრი პრობლემა აქვს ინფრასტუქტურის თვალსაზრსით, იგი ცდილობს მუდმივად უპასუხოს გამოწვევებს და სასკოლო კულტურის განვითარების გაუმჯობესების გზით მიისწრაფვოდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევისკენ.

2.სკოლა მდებარეობს ქალაქ ლაგოდეხში, სადაც მრავალეთნიკურობა ერთ-ერთი მახასიათებელია, სკოლის მოსწავლეთა 20% კი ეთნიკური წარმომადგენლები არიან, სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს თავისი როლი აღნიშნულ სივრცეში, რომელსაც მუდმივად ავითარებს და სთავაზობს მრავლფეროვან პროექტებისა თუ აქტივოებს სასკოლო საზოგადოებასა და თემს. სკოლის დამოკიდებულებები და ღირებულებები განაპირობებს სკოლის ავტორიტეტს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცეს. სკოლა ჩართულია PHintternational USAID -სამოქალაქო განათლების პროგრამაში. სკოლა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტებში ჩართვით მუდმივად ცდილობს განვითარებას.. სკოლის ეზოში შესვლისთანავე გვხდება სხვადასხვა, საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტებში მოგებული გრანტებით მიღებული სიკეთეები, მაგალითად, სკოლის ეზოში მოწყობილია ველოსიპედის სადგომი, სკოლის კედლებზე გვხვდება მრავალფეროვანი აქტივობების ამსახველი ფოტოები, რომელიც სკოლას აძლევს მისი მისიისკენ სწრაფვის საშუალებას და ამკვიდრებს თემში მას, როგორ უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სიციო-კულტურულ სივრცეს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, (ოქმი #2), რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადების ყველა წევრისგან. სამეურვეო საბჭოს ოქმში ვკითხულობთ, სკოლის დირექტორის მოხსენებას სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვის შესახებ, სამეურვეო საბჭოს წევრის მოსაზრებას სასკოლო სასწავლო გეგმის, როგორც ინსტრუმენტის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით კი ჩანს, რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად არიან ჩართულები სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში. მომავალი წლიდან კი სკოლა გეგმავს გუნდის შექმნას, რომელიც დაკომპლექტებული იქნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან და სხვა ძირეულ მიმართულებებთან ერთად, იმუშავებს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიმართულებით. იქიდან გამომდინარე, რომ სამეურვეო საბჭო თავისი ფორმატით წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების შემადგენლობით: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა და შეთანხმება კი ჩანს სხდომის ოქმში, შესაძლებელობას გვაძლევს ინდიკატორთან შესაბამისობის დადგენას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით.

4. სკოლას აქვს 7 საგნობრივი კათედრა, რომელიც აქტიურადაა ჩართული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში და იზიარებს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასკოლო სასწავლო გეგმა კი დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმის#1). სადამრიგებლო პროგრამებში, სასკოლო პროექტბში ის აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამკვიდრებას სკოლაში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე არამარტო კათედრებისა და სადამრიგებლო პროგრამებით გაზიარებულია სკოლის მისია ხედვა, ღირებულებები არამედ სასკოლო დონეზე დანერგილია და ჩანს კონკრეტულ აქტივოებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორთან შესაბამისია.

5. სკოლის ფეისბუქ გევრდზე გაზიარებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები , რომელიც ნებისმიერ დაინტერესულ პირს აძლევს ხელმისაწვდომობის საშუალებას. ასევე სკოლის შენობაში, პირველ სართულზე, გამოკრული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლაში შემსვლელ ნებისმიერ პირს აძლევს საშუალებას იხილოს მატერიალური სახითაც. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და შესაბამისია ინდიკატორთან.

6.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2021 წლის 28 ივლისის N53/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას მიენიჭა ,,სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლა“. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები,

2. USAID წერილი პროექტების შესახებ,

3. სასკოლო პროექტი ,, კულტურული მრავალფეროვნება",

4. 2022 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი #1,

5. 2022 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #2.

6. სკოლის ფესიბუქგვერდი - https://www.facebook.com/metreveli2002/about_details

.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3.სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასებაში და სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლა მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით მომდევნო სასწავლო წლიდან იმუშავებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის დოკუმენტზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნება გუნდი, რომელიც შეიმუშავებს აღნიშნულ მეთოდოლოგიას. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინებას. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ჩატარდება SWOT ანალიზი მომდევნო სასწავლო წლისთვის, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები. ასევე, შესაძლებლობები და რესურსები, რომელთა დახმარებითაც სკოლამ უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები და დაგეგმოს სტრატეგია. შეფასებისა და ეფექტური მონიტორინგის სისტემა, როგორც ქმედითი ინსტრუმენტი სკოლის ფილოსოფიის განსახორციელებლად. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწყებული იყო საზაფხულო არდადეგები, მომდევნო სასწავლო წლის დაწყებისთვის კი სკოლამ გამოხატა მზაობა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე, შესაბამისად ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტის გაზიარებისას.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-120) დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისია.

2. სკოლაში ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 2016-2022 სასწავლო წლის სკოლის განვითარების 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა. ინტერვიურებისას სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ახალი სასწავლო წლისათვის, სკოლას ექნება შემუშავებული 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც იქნება ციკლური, მისი ამოსავალი წერტილი იქნება სკოლის მისია და ხედვა და აგებული იქნება იმ ღირებულებების გათვალისწინებით, რომელიც სკოლას აქვს არჩეული, ინდიკატორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნის შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი 6 წლიანი სტატეგიული გეგმა ვერ აკმაყოფილებდა ინდიკატორის მოთხოვნებს და არ იყო შესაბამისობაში დასკვის პროექტის გაზიარებისას.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას კი სკოლამ წარადგინა სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული სტატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც არის ციკლური ხასიათის და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნების შესაბამის ამოცანებს.

3. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩაშლილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, თვეების მიხედვით შესრულების ვადები შემდეგი მიმართულებებთ: სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება,სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება,ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით .უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ 2023 წლისთვის სკოლა თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთს პრობლემებს, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმებს, შესრულების შეფასების ინდიკატორებს და მიუსადაგებს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებს. იქიდან გამომდინარე რომ სკოლა ჯერ კიდევ სტატეგიული გეგმის შემუშავების მზაობის პროცესში იყო ექსპეტთა ვიზიტის დროს ინდიკატორი არ იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაში რადგან სამოქმედო გეგმა არ იყო დაფუძნებული 7 წლიან სტატეგიულ გეგმაზე დასკვნის პროექტის გაზიარებისას.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარადგინა სამეურვეო საბჭოსთან ერთად განხილული სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრულია შესრულების ვადები თვეების მიხედვითა და შესარულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის თვთშეფასებაში აღნიშნულია, რომ 7 წლიანი, გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა კომპლექსურად უნდა გამოხატავდეს სკოლის ფილოსოფიას. 2023 სასწავლო წლისთვის შეიქმნება მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებზე, შესრულების ინდიკატორებზე და შესრულების ვადებზე. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან სკოლის სტრუქტურული ერთეულები, რაც შესაძლებელს გახდის მეტად იყოს გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები, ასევე პასუხისმგებლობათა გადანაწილების სისტემა. იქიდან გამომდინარე რომ სკოლა ჯერ კიდევ სტატეგიული გეგმის შემუშავების მზაობის პროცესში იყო ექსპეტთა ვიზიტის დროს ინდიკატორი არ არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაში რადგან ბუნდოვანია სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების დადგენა სტატეგიული გეგმის არარსებოსბის გამო.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ წარმოდეგნილი 2023-2024 წწ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, რომელიც რეალისტურ ვადებში გაწერილია და მისი შესრულების ინდიკატორები სრულად შეესაბამება რეალურ მოცემულობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტატეგიული 6 წლიანი გეგმა,

2. სკოლის სამოქმედო გეგმა.
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია;
4. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ;
5. სკოლის სამოქმედო გეგმა, 2023-2024 წწ.
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი#2.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესშია, სკოლას თვითშეფასებაში აქვს გამოკვეთილი ის გზები, რომლის მიხედვთაც გეგმავს სტატეგიული დაგეგმარების მეთოდოლგოგიის შემუშავებას სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. მიმდინარე ეტაპზე ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში, იქიდან გამომდინარე რომ სკოლა ექსპერტთა ვიზიტის დროს ემზადებოდა სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-120) დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და შესაბამისია ინდიკატორთან.

2.სკოლას ადამიანური რესურსიდან გამომდინარე აქვს მზაობა ახალი სტანდარტის შესაბამისად დახვეწოს ყველა ის მიმართულება, რომლის საჭიროების წინაშეც აღმოჩნდა. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა პირველად ავტორიზაციის პროცესშია, შესაძლოა აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობა დადებით კონტექსტში განვიხილეთ, რადგან მომდევნო სასწავლო წლიდან შეძლებს სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას.

3.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებ-გვერდი, მაგრამ ექპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით - მიმდინაეობს მოლაპარაკება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ვიზიტის დროს კი გაიგზავნა წერილი ვებ-გვერდის შექმნის თხოვნის თაობაზე. სკოლას აქვს აქტიური ფეიბუქგვერდი, სადაც პერიოდულად აქვეყნებს მიმდინარე აქტივობებსა და სასკოლო ცხოვრების შესახებ მასალას, რომელიც თავის მხრივ შესაძლოა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ცალკეულ ამოცანებს ასახავდეს. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა პირველად ავტორიზაციის პროცესშია, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობა დადებით კონტექსტში განვიხილეთ.

4.აღნიშნული ინდიკატორის შეფასება შესაძლებელია თვითშეფასებაზე დაყრდნობით, რომლის ხედვაც გაზიარებულია ექსპერტებისთვის და სრულებით მისაღებია - სკოლას, ადამიანური რესურსიდან გამომდინარე აქვს მზაობა ახალი სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად დახვეწოს ყველა ის მიმართულება, რომლის საჭიროების წინაშეც აღმოჩნდა. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა პირველად ავტორიზაციის პროცესშია, აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობა დადებით კონტექსტში განვიხილეთ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის თვითშეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1.სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2.სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქალაქ ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლაამ სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ამსახველი დოკუმენტი ამ ეტაპზე ვერ წარმოადგინა, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტებში არის აღწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო პროცესების ამსხველი მასალები ,პროცესები, ანგარიშვალდებული პირები, დირექტორის საქმიანობა, თვითმმართველობის, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და დისციპლინარული კომიტეტის მუშაობა. მოცემულია თვითმმართველობის არჩევნების ამსახველი ფოტო მასალა, შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას მოწოდებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში საგნობრივი კათედრების მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპები და მოვალეობები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც დაგეგმილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეტაპები და მათი მამოტივირებელი ბერკეტები. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ხარისხის განვითარების ჯგუფის დამტკიცების ბრძანება, ინტერვიურებით ჩანს ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა მკაფიოდ იცის თავისი ფუნქცია-მოვალეობები, სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებული პირები, ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც მკაფიოდაა აღწერილი თითოეული პოზიციის ფუნქცია-მოვალეობა საქართველოს კანონმდებლოს შესაბამისად. კლასის დამრიგებლისა და საგნობრივი კათედრების თავმჯდომარეების მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში.სკოლამ წარმოადგინა სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი, ხელშეკრულებები, პირადი საქმეები, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პერსონალის სახელობით სია, ინდიკატორის მოთხოვნა, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულებს/პირები ფუნქიები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია, ზემოაღწერილი უფრო წარმოადგენს პროცესების მაჩვენებელ მექანიზმებს, რომელთა მოქმედების შეფასების შესაძლებლობას კანონმდებლობა გვაძლევს, შესაბამისად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას სკოლამ წარადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (2-135) სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქიების დოკუმენტი, რომელშიც ნათლად ჩანს სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტებში არის აღწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულები, მათი მოვალეობები, პროცესები, ანგარიშვალდებული პირები, დირექტორის საქმიანობა, თვითმმართველობის, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და დისციპლინარული კომიტეტის მუშაობა. მოცემულია თვითმმართველობის არჩევნების ამსახველი ფოტო მასალა, შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა. სკოლას მოწოდებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და მოვალეობები. სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა , სადაც დაგეგმილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეტაპები და მათი მამოტივირებელი ბერკეტები. სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგინა სკოლის დირექტორის ხარისხის განვითარების ჯგუფის დამტკიცების ბრძანება, წარმოდგენილ დოკუმენტაციებში არის მოსწავლეთა წარმატების ამსახველი მასალა, მასწავლებლების ტრენინგზე დასწრების დამადასტურებელი მასალა და სხვადასხვა ღონისძიებები .მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორის შესაბამისობის ერთ-ერთი მტკიცებულება - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი ამ ეტაპზე არ ჰქონდა გაწერილი, ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობაშია, რადგან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსპირებს შორის ფუნქიებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და ექსპეტთა ვიზიტისას აღნიშნული თვალნათლივ ჩანდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;

2. ბრძანებები;

3. სასკოლო სასწავლო გეგმა;

4. ბიბლიოთეკის მუშაობის წესი;

5. საქმისწარმოების წესი;

6. საშტატო განრიგი;

7. ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;

8. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

9.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

10. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11.ფოტო მასალა;

12. საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

13. სადამრიგებლო პროგრამა;

14. დამრიგებლის და კათედრის პორტფოლიოები;

15. პირადი საქმეები;

16.განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზა;

17. სკოლის დირექტორის ბრძანება 2-135 ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი გუნდის დამტკიცების შესახებ.

18. სკოლის დირექტორის ბრძანება (2-135) სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქციების განსაზღვრის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, რაც წარმოდგენილია სკოლის შინაგანაწესში და შრომით ხელშეკრულებებში. შინაგანაწესით რეგულირებულია სამუშაო და შესვენების დრო, დისციპლინარულ დარღვევებზე რეაგირების წესი, შრომის პირობების დაცვის წესი, მოსწავლისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და დასაქმებულების წახალისების წესი, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები და ა.შ. დადებულ ხელშეკრულებებში მკაფიოდაა განსაზღვრეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო თანამშრომლის მიღების პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ თანამშრომლის მიღება ხდება კანონდმებლობით გათვალისწინებული წესით. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი რომლის მიზანიცაა დასაქმებულთა სწორი მართვის ხელშეწყობა, მათ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა, დასაქმებულების მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა , მათთვის შესაფერისი, კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა და ამ გზით, სკოლის მთავარი მისიის შესრულების ხელშეწყობა. ინტერვიუირების შედეგად იკვეთება მართვის პროცესების ორგანიზებულობა.

2.სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლაში რეგულირდება: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და გარკვეულწილად შინაგანაწესითაც . ინტერვიუირების შედეგად: გამოიკვეთა, რომ გარემო არის თანამშრომლობითი და გუნდური, რაც ხელს უწყობს პერსონალის მართვის პროცესებს, მოვალეობების დელეგირებასა და მოქნილობას - ნათლად გამოჩნდა რომ სკოლაში თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მშვიდი და საქმიანი ორგანიზაციული კულტურაა. დირექტორი და კათედრის თავმჯდომარეები ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას (საათების გადანაწიილება, საგაკვეთილე ცხრილი და დღიური დატვირთვა) ითვალისწინებენ რისკებსა და პედაგოგების შესაძლებლობებს იმდაგვარად, რომ გუნდურობისა და მოვალეობების სწორად დელეგირების წყალობით, სკოლა ინარჩუნებს მოქნილობას, რაც თავის მხრივ უფრო აადვილებს მართვის პროცესებს.

3.სკოლა ახალი კადრების შერჩევისთვის სრულად მიჰყვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ვაკანსიების გამოცხადებას სკოლა უზრუნველყოფს teacherjobs.ge -ზე, რომლის თაობაზეც გამოსცემს ბრძანებას. ვაკანსიის ვადები არის დაცული და შესაბამისია კანონმდებლობასთან. სკოლამ ასევე წარმოადგინა კანდიდატთა გადარჩევისა და ვაკანსიის ეტაპების დამადასტურებელი ოქმები. შეჩევითობის შემთხვევის პრინციპით შეჩეულ პერსონალის პირად საქმეებში:ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევის, სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები ყველა მათგანში არ იყო წარმოდგენილი. დირექტორთან ინტერვიურებით კი გამოიკვეთა, რომ ახალმიღებულ პედაგოგებს მომდევნო სასწავლო წლიდან უზრუნველყოფენ აღნიშნული ცნობების წარმოდგენას.

4. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. სკოლის მასწავლებლების თითქმის სრული უმრავლესობა არის უფროსი მასწავლებელი, სკოლას ასევე ჰყავს 1 მენტორი, 3 მოწვეული და 1 მაძიებელი მასწავლებელი. სკოლა კანონმდებლობის მიხედვით ახორციელებს პერსონალის შერჩევის პროცესს-კონკურსის გამოცხადების გზით. სკოლას გაფორმებული აქვს სკოლის პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება, ასევე სკოლმა წარმოადგინა კონკურისი დროს გამოხადებული მასწავლებელთა საკვალიფიკციო მოთხოვნების ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისია და აკმაყოფილბს ინდიკატორის მოთხოვნებს,

5.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც კარგად ჩანს კათედრების მუშაობასა და სსსმ მოსწავლეებთან მუშაობაში. ვიზიტის დროსაც ნათლად იკვეთებოდა გუნდურობა, თანამშრომლობა, მოქნილობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და კეთილგანწყობილი გარემო.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების კულტურა. სკოლის შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს თანამშრომლების მოტივაციას, წახალისებას, პედაგოგიურ საბჭოზე წარმატებული გამოცდილების გაზიარებას. წარმატებული გამოცდილება, ურთიერთდასწრებების შემდეგ ზიარდება კათედრის სხდომებზე. აღსაღნიშნავია, როგორც თანამშრომლების, ასევე ყოფილი, დამსახურებული, ღვაწლმოსილი მასწავლებლებისადმი პატივისცემა სკოლის დირექციის მხრიდან. სკოლის დერეფანში გამოფენილი იყო დამსახურებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგების გასაცილებელი ღონისძიების ამსახველი მასალა, რომელსაც დირექციის წევრები და პედაგოგები ემოციურად იხსენებდნენ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. teacherjobs.ge
3. ვაკანსიის გამოცხადების ბრძანება და ოქმები;
4. შრომითი ხელშეკრულებები;
5. სკოლის პერსონალის პირადი საქმეები;
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
7. მაწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩარჩო დოკუმენტი;

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიულ განვითარების მიმართულებით: ჩარჩო-დოკუმენტი-სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზები და სტრატეგია, ამოცანები, პროფესიული განვითარება, ადამიანური რესურსების მართვა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოს შესრულების ხარიხის მართვა. დოკუმენტში სქემის სახით წარმოდგენილია: ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სტრუქტურა, რომელიც გულისხმობს როგორც გარემო ასევე შიდა ფაქტორების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზიდან დაწყებული კადრების პროფესიული განვითარების მიმართულებით დასრულებული ყველა ეტაპს ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. აღნიშნული ჩარჩო-დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიოებათა მექაზნიმის დადგენა შესაძლებელია და შესაბამისობაშია ინდიკატორთან.

2. სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია პერსონალის გამოვლენილი საჭიროებათა საფუძველზე შემუშავებული გეგმა, (იქიდან გამომდინარე რომ სკოლა პირველად ავტორიზაციის პროცესს გადის) მაგრამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი პრაქტიკაში განხორციელებისას იძლევა საშუალებას, მეტად დაიხვეწოს და შეივსოს აღნიშნული მიმართულება. ინტერვიუებით ჩანს, რომ სკოლის დირექცია აქტიურად ესწრება გაკვეთილებს და აკვირდება თითოეული პედაგოგის მუშაობას, შედეგად, ეხმარება თანამშრომლებს დეფიციტური უნარების გაუმჯობესებასა ან/და მომავალი შესაძლებლობების განხორციელებაში. მაგ. 2021-2022 სასწავლო წლისთვის გამოიკვეთა ონლაინ რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენების მეტი ეფექტურობის საჭიროება და გეოგრაფიის პედაგოგმა გეოგრაფიული წიგნიერების, ხოლო, მუსიკის პედაგოგმა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგაკვეთილო პროცესში უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის გაიარეს 20 საათიანი ტრენინგი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. წარმოდგენილი ჩარჩო-დოკუმენტი და აღნიშნული აქტივობების დამადასტურებელი მასალა იძლევა ინდიკატორთან შესაბამისობის საშუალებას.
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალს კარიერულ ზრდაში, განსაკუთრებით - მასწავლებლებს. მაგალითად, მასწავლებლობის მაძიებლები გახდნენ უფროსი მასწავლებლები - სკოლის ბაზაზე ხდება პედაგოგების ხელშეწყობა/ მაძიებლობის კურსის გავლა. კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სკოლის რამდენიმე მასწავლებელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. სკოლა , მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით,ასევე თანამშრომლობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონულ ორგანიზაციასთან, რომელიც სთავაზობს მასწავლებლებს უფასო ტრენინგებს. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 3 მოწვეული პედაგოგი, 1 მაძიებელი , 27 უფროსი პედაგოგი და ერთი მენტორი მასწავლებელი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს კოლეგებთან და მომავალშიც, კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის გზით, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებით, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლას. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლებს საჭირო ტრენინგებზე ხელმისაწვდომობით, თუმცა სკოლის მხრიდან სხვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა ნაკლებად ჩანს. სამომავლოდ, სკოლის დირექტორი გეგმავს ბიბლიოთეკარის კარიერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზრდისათვის ტრენინგის შეთავაზებას, ასევე სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში მთლიანი მიმართულება ეთმობა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, რომელშიც გაზომვადი ვადებითა და პასუხისმეგებლი პირებით გაწერილია სხვადასხვა ტიპის პროფესიული საჭიროებები.

4. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის (ან ამდაგვარი ტიპის) დოკუმენტი შემუშავებული, სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირი, პედაგოგის შემთხვევაში, არის შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი,, ხოლო სხვა პერსონალზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოადგილე. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას. აღნიშნული იძლევა ინდნიკატორთან შესაბამისობის საშუალებას.

5.სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი კანონმდებლობის შესაბამიად, ასევე სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, რასთანაც დაკავშირებულია პერსონალის ინიციატივები და მათი ჩართულობა პროექტებში. სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით კი გამოჩნდა მიგნება სკოლის დირექიის მხრიდან მათი მხარდაჭერა თუ წახალისება სხვადასხვა დროს. ასევე სკოლის გასული სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია თანამშრომელთა წახალისებისა და მასტიმულირებელი სისტემის ამოქმედება, ხოლო ერთ ერთ მთავარ აქტივობად კი ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლოშემოქმედებით კონფერენციებსა და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებულ პედაგოგთა და მოსწავლეთა წახალისებაა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
3. ტრენინგის დამადასტურებელი მასალა
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, წარმოდგენილია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები-ოქმები, ბრძანებები, ფოტომასალა. საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესული მიდგომა იკვეთება სკოლის მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადებიდან დაწყებული კანონმდებლობის შესაბიმისად, საათობრივი ბადის, სადამრიგებლო პროგრამების თუ კათედრების მუშაობის გამართული მექანიზმების მუშაობით დასრულებული. როგორც სკოლის დირექციამ თქვა ინტერვიურებისას, სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას და უზრუნველყოფს ციკლის შემუშავებას ზემოაღნიშნულ პროცესული მიდგომების გამოცდილებით. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ჰყავს ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები, რომლებსაც ევალებათ ხარისხის მონიტორინგი და ხელშეწყობა.სკოლამ ამ ეტაპზე ვერ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს დაანახებდა ხარისიხის უზრუნველყოფის ციკლს, შესაბამისად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება წარმოდგენილ დოკუმენტში ციკლის შესაბამისად.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა მარგეულირებელი დოკუმენტი: სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, სამოქმედო გეგმა, ინკლუზიური განათლების წესი, ადამიანური რესურსების მართვის, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკაშირებული ყველა პროცესი და იდენტიფიცირებულია საგანამანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი თუ დამხმარე პროცესებთან. გასათვალისიწინებელია ასევე, რომ სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობის ფორმატით ესწრება გაკვეთილებს. დოკუმენტებში აღწერილი პროცესები, რომელიც სხვადასხვა აქტივობებად განხორციელებული და დანერგიული აქვს სკოლას შესაბამისია ინდიკატორთან და ემსახურება საგანამანთლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად თუ დამხმარე პროცესებს.

3.სკოლის შინაგანაწესში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის გასაჩივრების კონკრეტული მუხლი, რომელიც ექვემდებარება კანონმდებლობას. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი.

4.სკოლის თანამშრომლების და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლა მიჰყვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ უსაფრთხოების წესებს. სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი „მე მაქვს უფლება“, რომლის განხორციელების პროცესში მშობლებიც იყვნენ ჩართული. შინაგანაწესით რეგულირდება მშობლის ინფორმირება - გამოყოფილია დღე, როდესაც მშობელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეუძლია ინფორმაცია მიიღოს შვილის სასკოლო ცხოვრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. პერსონალთან და მშობლებთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან დადებულ ხელშეკრულებებშიც გაწერილია უფლებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;

2. ხელშეკრულებები;

3.დისციპლინური კომიტეტის ოქმი #1

4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები- სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. მშობელთა უკუკავშირის მისაღებად სასკოლო სივრცეში განთავსდა მშობელთა რჩევებისა და იდეების ყუთი.კლასის დამრიგებლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა კი იყოს შუამავალი სკოლასა და მშობელს შორის და მოახდინოს ინფორმირება. მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილია კონკრეტული კლასის მშობელთა კრების ოქმი მეორე უხო ენის არჩევის შესახებ. დირექტორმა ინტერვიურების დროს აღნიშნა, რომ ყოველწლიურად იმართება შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და მშობლებს შორის , რეკომენდაციებისა და სასკოლო რეგულაციების გაცნობის მიზნით. ზემოაღნიშნული დოკუმენტებით და აქტივოებების ფოტომასალით (თვითმმართველობის, პედ.საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, კათედრების სხდომის, მშობელთა კრებების) ჩანს რომ სკოლაში გამართულად მუშაობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, უკუკავშირის მიღებისა და მასზედ რეაგირების პროცესები.

2. სკოლაში, ზოგადი განათლების შესაბამისად წარმოდგენლია ყველა კოლეგიაური ორგანო: რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში თუ სკოლის მართვის პროცესებში ჩართულობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტუქტურული ერთეულების ოქმები;

2. მშობელთა კრების ოქმები;

3. სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

6.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლაში მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის შექმნილია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია და ფუნქციონირებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სკოლის დირექტორი, მანდატური, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლაში არის დარაჯი, რომელიც სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრისა და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს.

სკოლას აქვს საევაკუაციო გეგმა, რომელიც განთავსებულია ყველა სართულზე, ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - სახანძრო ფარი და ცეცხლმაქრი. ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები (სულ 8 ცეცხლმაქრი).

სკოლაში მოწყობილია საევაკუაციო გზის მიმართულების მაჩვენებლი მანათობელი ნიშნები, საევაკუაციო გზაზე დამონტაჟდა ავარიული განათება, აღდგა სპორტული დარბაზიდან გაუქმებული საევაკუაციო გასასვლელი, დაინიშნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი ,,112", სკოლის შენობაში შეკეთდა ელ.მეურნეობა, ელ.სადენები გაყვანილ იქნა უწვი საკაბელო არხების გამოყენებით, შენობის სხვენი დამუშავდა ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით. სკოლამ წარმოადგინა წერილის მიღების დასტური საგანგებო სიტუაციების სააგენტოს მიერ თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შეთანხმება შესრულებული სამუშაოების შესახებ საგანგებო სიტუაციების სამსახურთან, არის მოლოდინის რეჟიმში,სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროს არ ჰქონდა:

- ✓ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ✓ დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (არც გაცემული
- ✓ მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ)
- ✓ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ არ ჰყავს ექიმი

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, პირველ სართულზე განთავსებული ექიმის კაბინეტი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია ყველა საჭირო ინვენტარი და მედიკამენტები. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ექიმის ვაკანსია და მიმდინარეობდა აპლიკაიების მიღება. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით უფლებამოსილი პირი ექიმის ან ექთნის სახით. დირექციასთან ინტერვიურებით - სასწავლო წლის დასრულებამდე ანალოგიური პრობლემა იყო, რადგან ძალიან ჭირს ადგილობრივი შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის პოვნა და ისინი საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სასწრაფოო სამედიცინო დახმარებას.

✓ სკოლას 2023 წლის ივნისის თვეში მიწერილი აქვს კომპანია ,,რეალიექსპერტთან" შენობის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოთხოვნით, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკტორი არ არის შესაბამისობაში.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას შესაბამისობის გეგმით მიიჩნევს, რომ 2024 წლის 20 ივლისის მდგომარეობით აღნიშნული ინდიკატორს მოიყვანს შესაბამისობაში.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის;
2. შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების;
3. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის შესახებ.

წარმოდეგნილი კორესპონდენციით - პროცესების სისრულეში მოყვანა დაწყებულია, ხოლო ექთნის შტატზე სკოლას მოპოვებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა ექთნის აყვანის თაობაზე, რადგან სკოლის ინფორმაციით ექიმის შტატზე შესაბამისი კვალიფიკაციის კანდიდატის შერჩევა ვერ ხერხდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის შენობა შემოღობილია, ნაწილზე არის ძველი ღობე, სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ბავშვთა დაცვის მიმართვიანობაზე/რეფერირებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლის შენობის სამივე სართულზე, ასევე ეზოში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების სამსახურის ტელეფონის ნომრები. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია მანდატურის სამსახური. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სამსახურებრივი ქცევის მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები, თანამშრომელთა, მოსწავლეთა და მშობელთა უფლებები და მოვალეობები, დისციპლინური დევნისა და დისციპლინური წარმოების წესი.აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3.სკოლას არ ჰყავს შტატში ფსიქოლოგი. საჭიროების დადგენის შემთხვევაში მიმართავენ მანდატურების სამსახურს. რამდენჯერმე სკოლას მოუხდა ისეთი, ფსიქოლოგის მოწვევა, რომელიც სპეც საჭიროების მქონე ბავშვებთან სპეციალიზირდება. ასევე სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება რეფერირების პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ, აღნიშნულ ბრძანება საფუძვლად კი საქართველოს განათლებისა და მეცნერების მინიტრის ბრძანება ,,რეფერირების შესახებ" უდევს.

ასევე ამ მიმართულებით სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო საათის საინტერესო თემატიკა და სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, რომელიც ერთ-ერთი მაჩვენებელია ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის თვალსაზრისით.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოძველებულია, (მიუხედავად იმისა რომ შენობა საჭიროებს შიდა სამუშაოებს) დიდი ეზო და დერეფნები ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალიზაციას. აღნიშნულიდან გამოდმინარე ინდიკატორი დაკმაყოფილებულია რადგან სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. დაწესებულების ყველა სართულზე ცალ-ცალკე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, პერსონალისთვის და შშმ პირებისთვის. სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი.

სველ წერტილებში არის გამართული ონკანები, ნიჟარები და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახები. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება ჩაკეტილ სათავსოში.

5.სკოლას ბრძანებით (N2-149) განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში კანონით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება.სკოლას დოკუმენტად არ წარმოუდეგნია ინფორმაციის დაცვის მექანიზმები გარდა დირექტორის ბრძანებისა, შესაბამისად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში, რადგან მხოლოდ ბრძანება არ არის საკმარისი აღნიშნულის შეფასებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მონიტორინგის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალური მონაცემების მექანიზმები და რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.

5. დირექტორის მოადგილისა და საქმის მწარმოებლის განმარტებით, სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. ისტ-ის პედაგოგი პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე, თუმცა, სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არა აქვს შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურები.შესაბამისად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა მიმართულებების უსაფრთხოების დაცვის მექნიზმები, ამასთანავე სკოლის მიერ გაწერილ შესაბამისობის გეგმაში სკოლა თვლის რომ აღნიშნული ინდიკატორი შესაბამისობაში 1.09-08.09 პერდიოდში უნდა მოსულიყო, შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია შემუშავებული მექნიზმები მოიყვანოს სისრულეში.

7.იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველდი ავტორიზაიის პროცესს, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანზიმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა. სკოლამ ინტერვიურების დროს არაერთხელ დაადასტურა მისი პრიორიტეტები და მზობა აღნიშნული მიმართულებითაც მომდევნო სასწავლო წლიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისობაშია რადგან მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლას ექნება შესაძლებლობა უსაფრთხოების მექანზიმის შეფასებისა და შედეგებზე დაყრდნობით მისი გაუმჯობესებითვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შრომითი ხელშეკრულებები: სპეც პედაგოგთან, ისტ-ის პედაგოგთან, დარაჯებთან, დამლაგებლებთან;

2. მიწერილობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მომზადებასთან დაკავშირებით;

3. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა (დათვალიერებით);

4. კორესპონდეცია: შესაბამის უწყებებთან:
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ;
შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების;
შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის შესახებ.
თანხმობა ექთნის შტატზე;
5. სკოლის დირექტორის ბრძანება #2-160 საგანგებო გეგმის მართვისა და შტაბის შესახებ;
6. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐შეესაბამება

X მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა, სამივე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურსს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მდებარეობს ქალაქ ლაგოდეხში, ჭავჭავაძის N49-ში.

სკოლა სარგებლობის სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან სარგებლობის უფლებით გადაცემული 14504 კვ.მ ფართზე არსებული შენობა-ნაგებობით. შენობა არის 3 სართულიანი. სკოლის შენობა ძველია, გარედან ფასადი ახალი შეკეთებულია, თუმცა შიდა სივრცე მოძველებულია.

ნულოვან სართულზე განთავსებულია 70.83 მ2 სარდაფი.

პირველ სართულზე (952.49 მ2) - ბიბლიოთეკა (25 მ2 მდე), საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი (275.47 მ2), გოგონების და ვაჟების სველი წერტილები (ჯამში 10 უნიტაზი და 8 ხელსაბანი და 2 შშმ პირის სველი წერტილი), მანდატურის ოთახი, ექიმის კაბინეტი.

მეორე სართულზე (675.81 მ2) განთავსებულია კომპიუტერული ოთახი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბუღალტერია, რესურს-ოთახი, სველი წერტილები პერსონალისათვის.

მესამე სართულზე (577.2 მ2) კი საკლასო ოთახებია.

სკოლაში ჯამში 18 საკლასო ოთახია: პირველ სართულზე 7 საკლასო ოთახია, მეორე სართულზე - 4 საკლასო ოთახი და მესამე სართულზე - 7 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები, რესურს ოთახი და კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით, კარადებით, გამწოვი სისტემებით.

სკოლას ეზოში აქვს სპორტული მოედანი, რეკრეაციული ზონა, ველოსიპედების დასაყენებელი სივრცე და მოსასვენებელი ზონა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის სივრცე, თუმცა აქვს შესაბამისი ინვენტარი, რომელიც შენახულია სათავსო ოთახში. საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგები, ამის გამო, იყენებენ ვირტუალურ ლაბორატორიას და ონლაინ რესურსს.

სკოლის ინვენტარი აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N572 (09/08/2011) ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე.

2.სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. კომპიუტერების კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი, სამასწავლებლო და სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სასწავლო პროცესში მოსწავლეს პირად სივრცესთან ერთად აქვს სივრცე კლასგარეშე და ფიზიკური აქტივობებისთვის.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში შესვლა ადვილია ეტლით მოსარგებლეთათვის, რადგან სკოლას აქვს პანდუსი პირველ სართულზე. სკოლაში უზრუნველყოფილია განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად მათი საჭიროების, რელიგიური და რასობრივი კუთვნილებისა. სკოლაში არის კეთილმოწყობილი და ადაპტირებული საპირფარეშოები. სკოლის პირველი სართული ხელმისაწვდომია შშმ პირთათვის - პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და საკლასო ოთახი შშმ პირთათვის, ასევე ექიმის და მანდატურის კაბინეტი. თუმცა, კომპიუტერების ოთახი და რესურს ოთახი მეორე სართულზეა განთავსებული, დირექტორმა აღნიშნა რომ შშმ პირებისთვის კომპიუტერულ უზრუნველყოფას ლენოვოს მარკის პერსონალური კომპიუტერებით ახერხებენ. აღსაღნიშნავია, რომ სკოლას ჰყავს ერთი ეტლით მოსარგებლე მოსწავლე, რომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკლასო ოთახი გათავსებულია პირველ სართულზე, რადგან მას ჰქონდეს განათლების ხელმისაწვდომობა, სკოლის შენობა ძველია და შიდა ინფრასტუქტურა სარემონტოა, არ გააჩნია სხვა ტიპის გადაასადგილებელი საშუალება სართულიდან სართულზე გარდა კიბეებისა.

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, ნათელი დიდი დერეფანი, გამწვანებული დიდი ეზო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, კომპიუტერების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საგამოფენო სივრცე და სამუშაო სივრცეები სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის შესაძლებლობას ქმნის სკოლის ბაზაზე განხორციელდეს მრავალფეროვანი სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები (ფეისბუქ გვერდიდან და ფოტო მასალიდანაც ჩანს რომ სკოლაში მრავალფეროვანი აქტივობები და ღონისძიებები ტარდება).

5.სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული თითქმის ყველა საჭირო რესურსი, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისა (შესაბამისი ინვენტარი და ვიზუალური მასალა, ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები - კოლბები, მულაჟები, მიკროსკოპები, მაგნიტები, თემატური პლაკატები, თვალსაჩინოებები სათავსო ოთახშია გათავსებული. პედაგოგები ვირტუალური და ონლაინ რესურსებით ატარებენ გაკვეთილებს - ცდებსა და ექსპერიმენტებს მოსწავლეებს აჩვენებენ პროექტორების დახმარებით .

დაწესებულების მეორე სართულზე ფუნქციონირებს კომპიუტერების კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. ლაბორატორიაში განთავსებულია ინტერნეტის მუდმივ ქსელზე ჩართული 13 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერებით აღჭურვილია სამასწავლებლო და ადმინისტრაციის ოთახები.

ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი წიგნები - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამხმარე, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა. წიგნები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავებული არაა შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით, მინიჭებული არ აქვს საინვენტარო ნომერი და შეტანილი არაა კატალოგში, შექმნილი არაა მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

2. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;

3. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

4. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;

5. ინვენტარიზაციის ოქმი

6. ფინანსური ანგარიშების დოკუმენტები.

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. განათლებისა და მეცნიერების სამინიტსროს მიერ განხორციელებულ რეფორმის ფარგლებში სკოლას მიღებული აქვს კომპიუტერები და პროექტორები. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით - ფუნქციონირებს ჯეოსელის მიერ თანამედროვედ აღჭურვილი საინფორმაციო ტექნოლოგიების ოთახი, სადაც 13 კომპიუტერი, 2 პროექტორი, სმარტ დაფა და კამერაა განთავსებული. ჯამში, სკოლაში არის 33 მუშა კომპიუტერი (18 პერსონალური კომპიუტერი და 15 ნოუთბუქი), 4 პროექტორი, 2 პრინტერი, 1 სმარტ დაფა . სკოლის მოსწავლეები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით. მასწავლებლების, მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლაში არის მუდმივი ინტერნეტ კავშირი.

2.სკოლას მთლიანად ფარავს მუდმივი ინტერნეტ კავშირი. ინტერნეტ კავშირის ხარვეზით მიწოდების შემთხვევაში, მიმართავენ ცხელ ხაზს. სკოლის კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა ხელმისაწვდომია პერსონალისთვისაც და მოსწავლეთათვისაც. სკოლას ჰყავს აიტი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნოლოგიების გამართულობას და ტექნიკურ მომსახურებას. მომავალი სასწავლო წლისათვის, სკოლა გეგმავს შეიმუშაოს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაიწერება არსებული ტექნიკის გამოყენების წესი, განრიგი და ცხრილის სახით გამოიკვრება ისტ-ის კაბინეტში და საინფორმაციო დაფაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია, რადგან მოსწავლლებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომობის შეფასების შესაძლებლობა მიეცა ექსპერტთა ჯგუფს ვიზუალური დათვალიერების დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინვენტარიზაციის ოქმი

2. ფოტო მასალა და ადგილზე დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებისა დაცვით, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად - სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, სკოლის კანცელარიის უფლება-მოვალეობებს, დაარქივების წესს და ნომენკლატურას. სკოლაში ოფიციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტები და წერილები ფორმდება კანონის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს ბრძანებებისა და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, მოსწავლეთა პირადი საქმეების ანბანური წიგნი.

2.სკოლა მართვის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კერძოდ, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, ელექტრონულ ფოსტას და საინფორმაციო ბაზას: eflow, outlook, gmail, Eschool.

3.ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი. Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის საკლასო ჯგუფები, სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილება, განათლება, პროფესიული განვითარება, სერტიფიკატები, ანაზღაურებადი სააავადმყოფო ფურცელი/შვებულება. ბაზის წარმოებასა და განახლებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.

4.სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს და ანგარიშებს. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;

2. საქმისწარმოების წესი;

3. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

4. სკოლის ელექტრონული ფოსტა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებისა და ფორმების საშუალებით. სკოლაში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია გაკვეთიილების ცხრილი, სასკოლო სასწავლო გეგმა, განცხადებები, სასკოლო დოკუმენტები და სიახლეები. სკოლას ჯერ არ აქვს ოფიციალური ვებ გვერდი, თუმცა დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება ვებ გვერდის შექმნასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი, სადაც განთავსებულია ძირითადი ინფორმაცია და სიახლეები სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, ასევე მშობლებთან პირად თუ ონლაინ შეხვედრებს. დამრიგებლები სასწავლო წლის განმავლობაში რამდენჯერმე ხვდებიან მშობლებს და აწვდიან საჭირო ინფორმაციას მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებისა თუ აკადემიური მოსწრების შესახებ. სკოლა თანამშრომლობს etaloni-ge-სთან და პერიოდულად აწვდის სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა სკოლას არ აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შესაბამისად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც ის 30.11.2023 პერიოდისთვის ფიქრობს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას, მანამდე კი გადადგმული აქვს პროცედურული ნაბიჯები: კორესპოდენია შესაბამის უწყებასთან, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული პერიოდითვის სისრულეში მოიყვანოს ინდიკატორი.

2.სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საინფორმაციო დაფაზე დაუშვებელია დირექციასთან შეთანხმების გარეშე განცხადების ან სხვა ინფორმაციის განთავსება. ასევე, სკოლის ფეისბუქ გვერდზე, მხოლოდ დირექტორთან შეთანხმებით ხდება ნებისმიერი ინფორმაციის დადება/განახლება.

3.დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ხშირად ხვდება მშობლებსა და მოსწავლეებს (მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე ...) და იღებს მათგან უკუკავშირს. მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად. სკოლას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის რაიმე კონკრეტული წესი, რომლის საშუალებითაც შესაძლოა უფრო კონკეტულად შეფასდეს ინდიკატორის მოთხოვნა, მაგრამ მშობელთა კრების ოქმები, ფოტო-მასალით, სკოლის დირექციასტან ინტერვიურებით შესაძლო მიგნებაა, რომ სკოლა აქვს კომუნიკაცია საზოგადოებასთან და მის უკუკავშირს იყენებს საქმიანობის გასაუმჯბესებლად, შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.

,4.სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი, თუმცა მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს ვებ გვერდის შექმნას და ამასთან დაკავშირებით დაწყებული აქვს მოლაპარაკებები განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. შესაბამსად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მას 30.11.2023 პერიოდისთვის ფიქრობს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას, მანამდე კი გადადგმული აქვს პროცედურული ნაბიჯები: კორესპოდენია შესაბამის უწყებასთან, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული პერიოდითვის სისრულეში მოიყვანოს ინდიკატორი.

5.სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი. ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მას 30.11.2023 პერიოდისთვის ფიქრობს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას, მანამდე კი გადადგმული აქვს პროცედურული ნაბიჯები: კორესპოდენია შესაბამის უწყებასთან, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. სკოლას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული პერიოდითვის სისრულეში მოიყვანოს ინდიკატორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. https://www.facebook.com/profile.php?id=100054485709877

2. საინფორმაციო დაფის ამსახველი ფოტო მასალა
3. კორესპოდენია შესაბამის უწყებებთან ვებ-გვერდის შესახებ;
4. სკოლის დირექტორის ბრძანება (2-164) ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐შეესაბამება

X მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2.სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომლითაც დამტკიცებულია სკოლის ბიუჯეტი, მიმდმიანრე წლის შესყიდვების გეგმა და სკოლის ბიუჯეტი. სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით იმგვარად, რომ სკოლის მოწყობისათვის, სარემონტო სამუშაოების, სასწავლო რესურსებისა თუ სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხები პრიორიტეტების მიხედვითაა განაწილებული. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად - მის შედგენაში სასკოლო საზოგადოებაა ჩართული. ამასთან ბიუჯეტირების პროცესი დინამიურია და საჭიროებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანაც შესაძლებელია. ბიუჯეტი შეესაბამება წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმას და შესაბამისია ინდიკატორთან.

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის) სისტემა. ბიუჯეტი დგება კონკრეტული საფუძვლებისა და გაანგარიშების შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ადგენს საკუთარ ფინანსურ ანგარიშს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტში ცვლილებების წესი და პროცედურები განსაზღვრულია კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სკოლაში ყოველი წლის ბოლოს ტარდება ინვენტარიზაცია. დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საინვენტარიზაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომისია. კომისია ინვენტარიზაციას ახორციელებს სკოლის ბალანსზე რიცხული აქტივების ფიზიკურად დათვალიერების გზით .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საპროგნოზო ბიუჯეტი

2. ფინანსური ანგარიშგება

3. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

4. ინვენტარიზაციის შედეგების აქტი

5. ინვენტარიზაციის შედეგების ოქმი

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

4.მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესში არეგულირებს მოსწავლის კანონით გათვალსიწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიებს. შინაგანაწესში კანონმდებლობის შესაბამიად გაწერილია დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისცილინური წარმოების წესი, მოსწავლეთა წახალისებისა და გამოყენების ფორმები, აქვე შინაგანაწესში ვხვდებით სკოლის თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომელიც უმეტესობა მოსწავლეთა უფლებების დაცვაზეა ორენტირებული და განსაზღვრავს მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მოსწავლის მიმართ კანონმდბლობით გათვალისიწნებული უფლებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობათან დაკავშირებული შიდა ინსტუქციa, რომლეშიც გაწერილია ყველა საფეხური: ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენიდან დაწყებული რეფერეიბებისა და ინფორმაციის კონფდენციალურობის დაცვით დასრუებული ყველა ეტაპი.

2. სკოლის დერეფანში გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია სკოლის ვებ-გვერდი, მეტი საჯაროობის თვალსაზრისით, მაგრამ აქტიური მომხარებელია სკოლის ფეისბუქ გვერდის.

3. სკოლის მოსწავლის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერილური სახით შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩეული იყო რამდენიმე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და შესაბამისობაშია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლს შინაგანაწესი;

2. მშობელთან დასადები ხელშეკრულება,

3. სკოლის დირექტორის ბრძანება 2-129-ით დამტკიებული ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლააში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორცილედება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის მიერ წარდგენილი დირექტორის ბრძანებები საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით ჩანს , რომ მიყვებიან საქართველოს კანონმდებლობას მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საფეხურს. სკოლას არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნული პროცედურების წარმართველი მექაზნიმები , შესაბამისად ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-166) დამტკიებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეერებისა და შეწყვეტის წესი, რომელში ზედმიწევნით გაწერილი აღნიშნული პროცედურები.

2.სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორცილედება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის მიერ წარდგენილი დირექტორის ბრძანებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. შესაბამისად, წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, შესაძლებელია ითქვას რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია და სკოლა იცავს ზემოაღნიშნულ პროცედურებს.

3.სკოლა ჩართულია სხვადსხვა ტიპის პროექტებში არაფორმალური განათლების მიმათულებით, რაც აქტიურად შუქდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. სკოლას არ აქვს მომსასკოლის დირექციასთან ინტერვიურებისა და სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს, რომ გეგმავს სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზებას საჭიროებიდან გამომდინარე, მაგალითად: ქართული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინგლისური გერმანული ენა, ჭადრაკი და მათემატიკა კლუბების სახით. თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში საზაფხულო არდადეგების პერიოდი და სხვადასხვა მომსახურების სახეების შეთავაზება დაგეგმვის პროცესში იყო.

4. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა სხვადასხვა ტიპის პროგრამებისა თუ მომსახურების სახეების სერვისები .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანებები;

2. სკოლის ფეისბუქგვერდი;

შეფასება:

ოგთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ოშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობის მექანიზმი;

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სასკოლო საწავლო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს დამრიგებლის ვალდებულებებს, მუშაობის პრინციპებს და სადამრიგებლო საათის თემატიკის რეკომენდაციებს. სკოლა დამრიგებელთან ერთად ეხმარება მოსწავლეს გარემოსთან ადაპტაციაში და სადამრიგებლო საათის ჩასატარებელი თემატიკა მოიცავს ყველა ხელისშემწყობ ფაქტორს, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება ადაპტირებაში. ასევე, მაგალითად, სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო პროექტი ,,მე მოქალაქე". სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ერთ-ერთი მსხვილი აქტივობა: სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ფოლკლორი - თამაშები, ხელნაკეთი ნივთები/აქსესუარები (თექა, ქარგვა, ხის ნივთები წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაშე. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ ის კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა თემში, გარემოსთან ადაპტირებისას სწორი ღირებულებებზე აქცენტრების დასმით ერთ-ერთი მიზეზია მისი, როგორც სოციო -კულტურული სივრცის ცენტრად ყოფნა თემის ფარგლებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმით ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, დამრიგებლის ვალდებულებებს შორის შედის მოსწავლის ახალ გარემოსთან ადაპტირების ხელშეწყობა. დამრიგებელია ის პირი, რომელიც სწავლის დაწყების მომენტიდან ეხმარება მოსწავლეს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში.

3. სკოლა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის დიდ ყურადღებას უთმობს განმავითარებელი შეფასების დანერგვას - საგნობრივ კათედრებთან ინტერვიურებიდან და სკოლის თვითშეფასებაში ნათლად ჩანდა აღნიშნული საკითხისადმი აუცილებლობად განპირობება პედაგოგების მხრიდან, ასევე სკოლა ასახელებს თვითშეფასების მარტივ ფორმებს მოსწავლეებისთვის, მაგალითად, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება ,,შუქნიშანი". აღნიშნული მეთოდები უფრო ეფექტურს ხდის მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. ხოლო ექსტერნის ან სხვა ნებისმიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში სკოლა მზაობას გამოხატავს გასწიოს კონსულტირება და მხარი დაუჭიროს მოსწავლეებს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სკოლა ჩართულია სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო თუ ადგლობრივ პროექტებში, მუდმივად ცდილობს განვითარებას ამ მიმართულებით. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა თვითმმართველობის ასარჩევად ჩატარებული არჩევნები და შემდეგ, მათი სამოქმედო გეგმა, ერთ-ერთი დამადასტურებელია, რომ სკოლა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს კანონმდებლობით გათვლისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.

5. სკოლა ჩართულია USAID PH INTERNTIONL -ის მიერ განხორიელებულ სამოქალაქო განათლების პროექტში. პროექტის ფარგლებში შექმნილია სამოქალაქო კლუბი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. ასევე სკოლა ჩართულია გარემოსდაცვით ,,ნიკო კეცხოველის" პროექტში. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი სათანადო კვალიფიკაციისაა. დამატებით - ის დამოკიდებულებები და ღირებულებები, რომელიც სკოლაში ვიზიტის დროს დაგვხდვა იძლევა შესაძლებლობას, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

6. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებითა და სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს, რომ სკოლა მომდევნო სასწვლო წლიდან უფრო მეტად მოახდენს მოსწავლეთა ან დაინტერსებულ პირთა უკუკავშირის დოკუმენტირებას, რომლის საფუძველზეც გააუმჯობესებს მომსხურებას. იქიდან გამმდინარე, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესს გადიიოდა ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის ვიზიტის დროს ინდიკატორი შესაბამისია, რადგნ მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლას ექნება შესაძლებლობა მიიღოს დანტერესბულ მხარეთა უკუკავშირი და გააუმჯობესოს მომსახურება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწვლო გეგმა;

2. USAID PH INTERNATIONAL -ის წერილი;

3. სკოლის დიექტორის ბრძანებები;

4. სასკოლო პროექტი- მე-მოქალაქე;

5. სკოლის თვითმმართველობის ოქმი#1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექციასთან ინტერვიურებითა და სკოლის თვითშეფასებით ჩანს, რომ სკოლა პერიოდულად მოსწავლეებს სთავაზობს და აცნობს სხვადასხვა პროფესიის შესახებ ინფორმაციას. ასევე სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ტექნო-პარკის წერილი, რომლითაც სკოლა ხდება ,,ახალგაზრდა ტექნოლოგიების კლუბების ქსელის წევრი". სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით, პროექტი მომდევნო სასწავლო წლიდან იწყება და განვითარების ეტაპების ხილვის შესაძლებლობა ცოტა მოგვიანებით გვექნება. ასევე სადამრიგებლო საათს სარეკომენდაციო თემატიკაში დამრიგებელი აძლევს შესაძლებლობას მოსწავლეთა ინტერესების გათვლისიწინებით მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი იყოს კარიერული დაგეგმვისა თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული ორიენტირების მომსახურება სხვადასხვა საშუალებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული იძლევა ინდიკატორის შესაბამისობის საშუალებას.

2.სკოლა დამრიგებელთან ერთად მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას საფეხურის დაძლევის შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, როგორც ელექტრონულად, ასევე პირისპირ ფორმატით - დამრიგებლის მეშვეობით.

3.სკოლის თვითშეფასებისა და სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით სკოლა მომდევნო სასწავლო წლისთვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სასწავლო წლის დაგეგმვისთვის ჩაატარებს კვლევას, რომლის ანალზის საფუძველზეც გაწეული მომსახურების გაუმჯობესების ხარისხის გათვალისიწნება მოხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტექნო-პარკის წერილი ,,ახალგაზრდა ტექნოლოგიებს კლუბის ქსელის წევრობის" შესახებ;

2. სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ჰყავს 8 სსსმ მოსწავლე და 2 სპეციალური მასწავლებელი, სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის წესი, რომლის მიზანია სსსმ მოსწავლისთვის ხარისიხიანი განათლების მიღების კონტროლის უზრუნველყოფა, ისგ ჯგუფის მუშაობის შეფასება, დოკუმენტში წარმოდგენილი მექანიზმები, შესაბამისია კანონმდებლობასთან და უზრუნველყოფს შიდა მონიტორინგის განხორციელებას ამ მიმართულებით და იძლევა ინდიკატორის შესაბამისობის დადგენას. სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან ინტევიურებით ცხადად გამოჩნდა მიგნება -სკოლაში სსსმ მოსწავლითვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების პროცესი. სკოლაში მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობიდან დაწყებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასრულებული სკოლა გააზრებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესი, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასახულია მის განხორციელებულ საქმიანობაში, რომლის შეფასების საშუალებაც სხვადასხვა დოკუმენტებიდან მიეცა ექსპერტთა გუნდს, შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისია.

2. .ინდივიდაულია სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებელი, მშობელი, სპეციალური მასწავლებლები, მულტიდისციპლინურ გუნდთან აქტიური თანამშრომლობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაწერაში, შესრულებაში, მონიტორინგში, აქტიური თანამონაწილეობა მიუთითებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ითანხმებს სამეურვეო საბჭო და ამტკიცებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგიური საბჭო, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილად, რაც შესაძლოა მეტი ჩართულობისა და თანამშრომლობით პრინციპად მოვიაზროთ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინდივიდუალური საწავლო გეგმა;

2. სასკოლო სასწავლო გეგმა;

3. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესი.

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში ხორციელდება ტრანსპორტირების სერვისი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული მომსახურეობა ხორცილედება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის გახორციელების უფლების მიღების შემდეგ. სკოლამ წარმოადგინა ტრანსპორტირების გადაადგილების ტაბელი თარიღების მიხედვით, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-147 მომსახურების გაწევის მონიტორინგზე კი სკოლის დირქტორის მოადგილეა პასუხისმგებელი პირი.

2.ტრანსპორტირების გარდა სხვა არასავალდებულო მომსახურება სკოლას არ აქვს. სკოლის დირექციასთან ინტერვურებით, იგეგმება გრაფიკული დიზაინის შესწავლის მომსახურების შეთავაზება მოსწავლეებისთვის.

3.სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორილედება ,,საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში", რომელზეც პასუხისმგებელი პირია სკოლის დირექტორის მოადგილე შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება #2-147 მომსახურების გაწევის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;

2. ტრასპორტის გადაადგილების ტაბელი;

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (დაწყებითი საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1 კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, აღწერილია კურიკულუმის განხორციელების პროცესში პედაგოგთა პრაქტიკის გაზიარების პროცედურა და ამოცანები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას და რევიზიას, რათა მომავალ სასწავლო წელს სკოლა შეხვდეს გადამუშავებული კურიკულუმით, რომელიც პასუხობს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობის ხარისხი და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, სოციალური ქსელით კომუნიკაციისას, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით. ის გარემოება, რომ სკოლა ჩაერთო განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ავტორიზაციის მხარდამჭერ ღონისძიებაში და სამინისტროს მხარდამჭერ ჯგუფთან, მათ შორის საგნობრივი ექსპერტების კონსულტაციების შედეგად დაამუშავა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ანუ სკოლამ კურიკულუმის დაგეგმვის ინსტრუმენტად უკვე გამოიყენა „საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო“, რომელიც კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი ინსტრუმენტია, მნიშვნელოვნად მეტყველებს სკოლის პოტენციალზე გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს ამ კუთხით. ამდენად, ამ გამოცდილებით, საზოგადოების ჩართულობის, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ჩატარდება SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები, რომელიც ასახვას ჰპოვებს ახალ კურიკულუმში.

2.სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს საუბრისას არკვევენ მათ ინტერესებს, სურვილებს და ასახავენ კურიკულუმში. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის საკითხი, რომელიც კურიკულუმის მონიტორინგს და განვითარებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით დაგეგმილია სასკოლო პროექტი ,,ადამიანის უფლებები“, სასკოლო პროექტის პრიორიტეტულ პრობლემად მიჩნეულია მშობელთა ჩართულობა. სკოლის სტრატეგიული გეგმიდან ჩანს, რომ სასწავლო აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობს მთელი სასკოლო საზოგადოება: ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები.
მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა კათედრის მუშაობა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით. მასწავლებლები ასევე საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს, ვიყენებთ კითხვარებსა და პირისპირ კომუნიკაციას, ასევე სოციალურ ქსელებს მშობლებისაგან უკუკავშირის მისაღებად“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში.

3.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია, როგორ უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავებაში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დაწყებითი საფეხურის კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ. აგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად, მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციების დასანერგად. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ფეისბუქგვერდი, ელექტრონული ფოსტა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ყველა დონეზე. თითქმის ყველა საგნობრივი მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან, დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებთან გაზიარების პრაქტიკა. პირველი კლასის დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას მშობლებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ, უკეთ შეისწავლონ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურუკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. ინტერვიურების მიგნების თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან. თუკი ინტერვიუს/ფოკუს-ჯგუფის ფორმატში გამოიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას, ჩაითვლება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან, სკოლა გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან ამ პროცესმა მიიღოს მასშტაბური ხასიათი. სკოლის ბლოგზე თუ სოციალურ სივრცეში უფრო აქტიურად იყოს წარმოდგენილი მათ მიერ განხორციელებული კურიკულუმები, სასწავლო პროექტები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2.დაწყებითი კათედრის ოქმი.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას მას სჭირდება შემოქმედებითობა, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ-მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შეთავაზებულია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. მაგ. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა „მზის სისტემის მოდელის შექმნა“ კონტექსტ-მაგალითად აღებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი სიტუაცია-ვარსკვლავიანი ცა. მასწავლებელმა დაგეგმა უამრავი საინტერესო რესურსის გამოყენება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ინტერესს. მე-4 კლასში თემის „ციკლური პროცესები ბუნებაში“ , დაგეგმილია კომპლექსური დავალების ფოტოკოლაჟის „მცენარის სასიცოცხლო ციკლი“ შექმნა. დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს მცირე კვლევის განხორციელებას მცენარეების აღმოცენებასა და განვითარებაზე, რაც ხელს შუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას და დაეხმარება საკითხის ღრმად გააზრებაში.

სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს ყველა კლასისთვის შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები. კურიკულუმებში ერთი ან ორი თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, კონტექსტ-მაგალითები, რესურსები. კურიკულუმებში, ზოგიერთ კლასში, მაგ. (I-II), გათვალისწინებული არ არის ყველა თემა, თუმცა მათი შევსება და დახვეწა სავსებით შეაძლებელია მომავალი სასწავლო წლისთვის. დაწყებითების კათედრის სხდომის N2 ოქმში ვკითხულობთ: ,, კომპლექსური დავალებების განხორციელებისას ხელისშემშლელი პირობები არ არსებობდა. ყველა კლასში და ყველა საგანში ჩატარდა სხვადასხვა რაოდენობის კომპლექსური დავალება. ბავშვები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მათ განხორციელებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაანალიზდა თითოეული დავალების განხორციელების ხარისხი და გამოვლენილი ხარვეზები. ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მოხდება შემდგომი კომპლექსური დავალებების დაგეგმვისას.“ დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ამგვარი მიდგომის დასადასტურებლად ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალებაზე. გამოყვეს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში მათ ჩართულობას. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.

მათემატიკის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კათედრამ წარმოადგინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩო. შემუშავებული I-VI კლასის მათემატიკის საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ინდიკატორით დგინდება შესაბამისობა სტანდარტთან.
დაწყებით საფეხურზე (I – IV კლასებში) საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდან გათვალისწინებულია ,,მე და საზოგადოების“ სწავლება. აღნიშნული საგნის კურიკულუმი, რომელიც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზეა, მასწავლებელთა თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული ნათლად ავლენს იმ გარემოებას, რომ კურიკულუმი ან და კურიკულუმები ნათლადაა ორიენტირებული გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ როგორც III კლასის ასევე IV კლასის ,,მე და საზოგადოების“ კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მოსწავლის / მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობებზე მიზნობრივად ორიენტირებული. აღნიშნული საგნის კურიუკულუმის მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში სკოლის საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლის და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ასახავს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი.

კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც გამოჩნდა, რომ მათ გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების,კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ საგნის სწავლა-სწავლების ძრითადი მიზნები. იყნებენ სარეკომენდაციო რესურსებს. აქტიურად ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. აანალიზებენ კომპლექსური დავალებების განხორციელებისას წარმოქმნილ გამოწვევებს, სახავენ გამოწყვევების გადაჭრის გზებს და რაც მთავარია, აცნობიერებენ იმ დადებით შედეგებს, რაც მოაქვს კომპლექსურ დავალებებსა და მინი პროექტებზე მუშაობას მოსწავლეებისთვის. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმის მიხედვით. სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად.მიზნები მუშავდება ე.წ. სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლთა შესრულებისას მოსწავლეს განუვითარდება შემოქმედებითი აზროვნება და ლოგიკურ-ალგორთმული უნარები.

სკოლას წარმოდგენილი აქვს უმეტესად კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი უცხო ენის კურიკულუმები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, ხოლო მოსწავლე კი კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კიდევაც კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. დაწყებითი საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს და სასწავლო შედეგებს, რასაც ადასტურებს უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც.

დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მესამე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა ნახატი/მაკეტი თემაზე "ჩემი სახლი". გარდა იმისა, რომ მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს საბოლოო პროდუქტს რა სახით წარადგენს, მაკეტს შექმნის, თუ დახატავს მას, ასევე მოცემული აქვს მაგალითი შედარებისთვის, რომლის მიხედვითაც შეძლებს დამოუკიდებლად გაართვას თავი აღნიშნულ დავალებაზე მუშაობას, მიწოდებული აქვს რესურსები, რაც ასევე ზრდის მისი ავტონომიურობის ხარისხს. ამავე დროს, პრეზენტაციის დროს, ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. აღნიშნული მიდგომა შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მაგალითად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებით საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმებში ისეთი თემები, საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებებია შერჩეული, რომელთაგან თითოეული მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა.

სკოლიში ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის 1-6 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

2. ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ყველა თემის ფარგლებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილია, რომელი ქვეცნებები მუშავდება სხვადასხვა თემის კონკრეტული საკითხების შესწავლისას. თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმებში ნათლად იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგ. მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ იგეგმება 2 ძირითად თემაზე მუშაობა: „ჩემი ქვეყნის ბუნება“, „მზის სისტემა“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ხუთი სამიზნე ცნება: „სხეული“, „მოვლენა“, „სივრცეში ორიენტირება“, „ორგანიზმი, საარსებო გარემო“, „გარემოს დაცვა“. თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები და საკითხთა კლასტერი, ძირითადი და დამატებითი რესურსები. მაგ. თემის „ჩემი ქვეყნის ბუნება“ შესწავლისას მოსწავლეები გაეცნობიან საკითხებს: საქართველოს გეოგრაფიული გარემო, საქართველოს ფლორა, საქართველოს ფაუნა საქართველოს ჰავა (სეზონები), ბუნებრივი და სტიქიური მოვლენები. მოცემულია რესურსები, რომლებივ საჭიროა ამ საკითხების გასააზრებლად. მე-4 კლასში ისწავლება სავალდებულო თემები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„დედამიწა“, „ციკლური პროცესები ბუნებაში;“ თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, გამოკვეთილია ძირითადი საკითხები,საკითხთა კლასტერი, საჭირო რესურსები.

სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. არსებული კომპლექსური დავალებებითა და კომპლექსური დავალების ბარათებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს მასწავლებლები მეტ ყურადღებას დაუთმობენ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტის შემცველი თემების გათვალისწინებით. ეს დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, დაწყებითი საფეხურისთვის შერჩეული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტშია წარმოდგენილი ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. თვითშეფასების კითხვარში მოცემული კონკრეტული კომპლექსური დავალების ანალიზი, რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული აქტივობები, სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები პედაგოგთა მხრიდან (გასაუბრებისას გაანალიზებული კონკრეტული დავალების პირობა, კონკრეტული აქტივობა) განიხილება გრძელვადიან სასწავლო მიზნებად, რომლებიც უნდა დაუკავშირდეს საფეხურის სასწავლო შედეგებს და შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ხელი შეუწყოს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას.

მათემატიკაში მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომპლექსურ დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების (მაგ. “ვირტუალური ფერმა“ პირველი კლასი, „დავეხმაროთ წითელქუდას“ მეორე კლასი, „დავეხმაროთ რწყილს ჭიანჭველას გადარჩენაში“ მესამე კლასი, ,, ყვავილების ორანჟერეა“ მეოთხე კლასი, „მცირე მეწარმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამოცანა“ მეხუთე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსიას - რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ.

სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნის სწავლება ხორციელდება და განხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე დაყრდნობით. სწორედ გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით ყალიბდება ქვეცნებები და საკითხები. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება სავალდებულო თემების გავლით სასწავლო პროცესი. სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე ყველა ცნება. გარდა აღნიშნულისა კურიკულუმები ორიენტირებულია გლობალურ ფუნქციურ უნარებზე. აღნიშნული უნარების სწავლება განხორციელდება კომლექსური დავალებებითა და კომპლექსური ტიპის პროექტული სახის დავალებებით. ეს ყველაფერი კი მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტის ანალიზს, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, მოსაზრებების დაცვასა, დასკვნის გამოტანასა, არგუმენტის შეფასებასა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული საგნის კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც.

რადგან ამ საფეხურზე წარმოდგენილი უცხო ენების კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება. დაწყებითი საფეხურის ორივე უცხოური ენის (ინგლისური, რუსული) კომპლექსური დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, სიმულაციური დიალოგი, როლური თამაში, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა ძალიან კარგად აღწერეს რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებენ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. შეფასების კრიტერიუმებიც კორელაციაშია მკვიდრ წამოდგენებთან. კურიკულუმის ჩარჩოსა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ ვფიქრობ, რომ პედაგოგებს სრულიად აქვთ გააზრებული ის რომ, კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეთ თანამშრომლობითი უნარები, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, აყალიბებს მის ხასიათს და პიროვნებას.

მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არსებული თითოეული თემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული თემისთვის მუსიკასა და ხელოვნებაში ეროვნული გეგმით განსაზღვრული, საფეხურის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებებია გაწერილი, რომელთა დამუშავებაც თითოეული ამ თემის ფარგლებში გულისხმობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა, შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება, კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია და სხვა. თემათა ფარგლებში ამ ცნებების და ქვეცნებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავება კი, მოცემული საკითხის კონტექსტში ეროვნული სასწარვლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე გაიყვანს მოსწავლეებს.
სპორტი-სკოლის მიერ წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები;

3. ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი აქტივობები შესთავაზოს მათ. სკოლის მასალებში წარმოდგენილია თემატური მატრიცები, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები, ნაბიჯები, რაც განახორციელეს მასწავლებელმა თავის მოსწავლეებთან ერთად. აქტივობები მრავალფეროვანია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. მაგ. 2022-2023 სასწავლო წელს მე-3 კლასში განახორციელეს კომპლექსური დავალება „მზის სისტემის მოდელის შექმნა“. როგორც წარმოდგენილი მატრიციდან ჩანს, დავალების შესასრულებლად განხორციელდა მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები: „არეული თანმიმდევრობა“, ინფორმაციის ანალიზი, თამაში „დაიჭირე ჩრდილი“, თამაში - „იპოვე შენი ქანდაკება“, ვიდეორესურსების „ბოცო და გვანცა“, „ჟირაფი ჟოზე - გავუფრთხილდეთ დედამიწას“ დემონსტრირება და დისკუსია და ა.შ. რაც შეესაბამებოდა მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს.

სახელმწიფო ენის მიმართულებით კურიკულუმების ჩარჩოში განსაზღვრული კომპლექსური დავალებების იდეები, ასევე განხორციელებული კომპლექსური დავალები, იმთავითვე გულისხმობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების გათვალისწინებას. სკოლა მიზნად ისახავს სწავლებაში ინკლუზიურ მიდგომებს, კერძოდ, კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას. ასევე, სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს, თავად აირჩიონ კომპლექსურ დავალებაში შესაქმნელი პროდუქტი, მაგ: სწავლების პირველსავე წელს, საანბანო პერიოდში მას შეუძლია აირჩიოს პერსონაჟის დახატვა ან გამოძერწვა. სკოლაში ვიზიტისას პედაგოგებთან საუბრიდან ნათელი გახდა, რომ მათი გამოცდილება ფრიად რეალური და გამოცდილებაზეა დაფუძნებული დიფერენცირებული თუ ინკლუზიური მიდგომების განხორციელების თვალსაზრისით, მით უფრო, რომ სკოლას აქვს გამოცდილება USAID საბაზისო განათლების პროგრამაში ჩართულობით , რომლის ფარგლებშიც ნერგავდნენ სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიფერენცირებულ მიდგომას და განმავითარებელი შეფასების სტატეგიებს. პედაგოგთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. თვითშეფასების კითხვარში, კომპიუტერულ ტექნოლოგიების კათედრის მიერ დიფერენცირებული მიდგომის ნიმუშად წარმოდგენილი დავალების პირობა და ამ დავალების შესრულებისას განხორციელებული აქტივობების დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ეს მეთოდიკური ორიენტირი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დააკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად.

მათემატიკაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სხვადასხვა ინსტრუმენტს. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნის სწავლება ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება და მიდგომები დეტალურადაა გაწერილი და ასახულია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, კურიკულუმის შედგენის მექანიზმსა და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ არა მარტო სსსმ მოსწავლეების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების პროდუქტის შექმნაში მოსწავლეები თავად ირჩევენ დავალების პროდუქტის ფორმას, იქნება ეს ბუკლეტი, საპრეზენტაციო ელექტრონული მასალა, პოსტერი და სხვა, რაც ცალსახად იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების უკეთ რეალიზების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია რაც სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის ჩართვას ითვალისწინებს ცალსახად. მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკული და სკოლაში მოქმედი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის შესაძლებლობასა და მზაობაც აქვთ აღნიშნული კუთხით. არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან პიროვნული და პროფესიული მზაობა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ამლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით., რაც შეეხება შეფასებას, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ეს არის საშუალება მოსწვალისთვის, გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ინდ. სასწავლო გეგმა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები, სადაც ჩანს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და თავისებურებების გათვალისწინება.

უცხო ენებში დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, და თემების მიხედვით კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ვასკვნით, რომ ის ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით იმ მოსწავლეების სწავლებას, რომლებიც ამას საჭიროებენ. ის, თუ როგორ მუშაობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით, ვიგებთ ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული ჩანს, ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობაშიც, რომელიც სხვადასხვა ფორმით სთავაზობს მოსწავლეს ნაშრომის წარმოდგენას. გარდა ამისა, მათ ინტერვიუში განაცხადეს, რომ ისინი მოარგებენ რესურსებს და შინაარსს მოსწავლეთა საჭიროებებს, შესთავაზებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მათი სწავლის ტიპს შეესაბამება, განმავითრებელი რუბრიკების მეშვეობით, გამოკვეთავენ მათ საჭიროებებს და მისცემენ ისეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებს, რომლებიც თითოეული მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას შეუწყობს ხელს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მათ გააზრებული აქვთ დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობა და საჭიროება.
მუსიკისა და სახვითი ხელოვნების კურიკულუმებში ისეთი კომპლექსური დავალებებია დაგეგმილი და შერჩეულია ისეთი რესურსი, რომელიც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვას გულისხმობს. სასწავლო მიზენბი იმგვარადაა გაწერილი, რომ შესაძლებელი ჩანს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა არჩევანის გაკეთება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ისიც აღინიშნა რომ არის ხოლმე იმგვარი შემთხვევები როდესაც დაწყებით საფეხურზე სსსმ მოსწავლეს ხელოვნებასა და მუსიკაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ესაჭიროება საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე.
სპორტი - სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

4 ბუნებისმეტყველების მიმართულებით წარმოდგენილია კომპლექსური დავალების „მზის სისტემის მოდელი“ სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს (სივრცეში ორიენტირება, მოვლენა, ორგანიზმი, საარსებო გარემო, გარემოს დაცვა) და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. დაწვრილებითაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები პრესტრუქტურული, უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი და აბსტრაქტული დონისთვის. წარმოდგენილია 2022 წლის 6 ივნისის დაწყებითების კათედრის N4 სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნისას, პედაგოგები ითვალისწინებენ გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს და ეყრდნობიან შედეგების ინდიკატორებს. მათ: სკოლის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ, ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს. როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. ინდიკატორით დგინდება შესაბამისობა სტანდარტთან. სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. შესაბამისად, სახელმწიფო ენის მიმართულებით, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოიაზრებს „სოლო“ ტაქსონომიით შეფასებას. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. სკოლას ასევე აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.
სახელმწიო ენა - სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. როგორც სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს სკოლა უპირატესობას ანიჭებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე შეირჩა და იყენებენ „ჯიპრაიდის“ შეფასების ინსტრუმენტებს. 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დანერგვას. მომავალ სასწავლო წელს კურიკულუმში შეიტანენ და განახორციელებენ უფრო მეტ კომპლექსურ დავალებას ვიდრე აქამდე განუხრციელებიათ.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასება ითვალისწინებს როგორც გრძელვადიან ასევე მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის მონიტორინგსა და განმავითარებელი შეფასების განხორციელებას. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შედგენის მექანიზმი და საგნობრივი ჭრილით თემატიკის შესაბამისი მკაფიო განმავითარებელი შეფასებები გაწერილია კომპლექსურ დავალებათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება ასათვისებელი ან და გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა დინამიკის აღწერას: სად იყო მოსწავლე საკითხის დამუშავებისას და სად მივიდა სწავლა სწავლების პროცესში. რა კონკრეტული ინსტრუმენტები იქნება საჭირო მიზნამდე მისასვლელად.

უცხო ენები - სკოლის მიერ წარმოდგენილი "სასკოლო სასწავლო გეგმის" მიხედვით, სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის აირჩია შეფასების პირველი მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები ფასდებიან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების წარმოების რუბრიკა, რაც ზოგად წარმოდგენას ქმნის, სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ტიპის წარმოების წესზე. წარმოდგენილია უცხო ენისთვის შეფასების ის ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელთა მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და ანალიზი.

კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა წარადგინეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ყველა კლასისთვის. პედაგოგები იყენებენ/გამოიყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. შეფასების დიზაინი, რომელსაც იყენებს მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებისას ქმნის მნიშვნელოვან პლატფორმას მოსწავლის მრავალმხრივი გაცნობისა და შესწავლისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა.შ. დასასრულს. კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში დაგეგმილ ყველა კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით უკვე აქვთ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწყებით საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში მტკიცებულებების სახით ძალზე მცირე სახით იყო წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (შეფასების რუბრიკა 2-ე, 5-ე კლასისთვის). თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა რომ აქტიურად იყენებენ მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას კომენტარების სახით როგორც მუსიკაში, ისევე ხელოვნებაში. კომპლექსური დავალებებიც ყოველთვის ფასდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით, სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. შეფასების შესახებ, უფრო მკაფიო წარმოდგენა თავად სკოლამ შემიქმნა, რომელსაც თვითშეფასების ფორმაში აქვს წარმოდგენილი დაწყებით კათედრაზე შერჩეული შეფასების ინსტრუმენტები. ესენია ჯიპრაიდის შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა დანერგვასაც აქტიურად გეგმავენ 2023-2024 სასწავლო წელს. ასევე, კომპლექსური დავალების განხორციელების შეფასების რუბრიკა. ასევე, კომპლექსური დავალების განხორციელების შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.
სპორტი - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდაში დაწყებით საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასება, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მაგ. მე-3 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა „მზის სისტემის მოდელის შექმნა“ კონტექსტ-მაგალითად აღებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი სიტუაცია-ვარსკვლავიანი ცა. მატრიცაში ნაბიჯების მიხედვით გაწერილია მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები: „არეული თანმიმდევრობა“, ინფორმაციის ანალიზი, თამაში „დაიჭირე ჩრდილი“, თამაში - „იპოვე შენი ქანდაკება“, ვიდეორესურსების „ბოცო და გვანცა“, „ჟირაფი ჟოზე - გავუფრთხილდეთ დედამიწას“ და ა.შ. აქტივობები დალაგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპით, გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინარე გამოცდილება. თითოეული ნაბიჯის ბოლოს მოცემულია სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რომლებზე პასუხებიც იძლევა ინფორმაციას, როგორ გაიაზრა მოსწავლემ კონკრეტული საკითხი.

სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ამას მოწმობს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ასვე კათედრის ჩანაწერები, სადაც მასწავლებლებს ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხად სწორედ სწავლების პროცესში დანერგილი კომპლექსური დავალებების ანალიზი შემოაქვთ. მათთვის მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგების ფართო ჭრილში დანახვა, მოსწავლეთა მიღწეული შედეგების გაანალიზება და მისი შესაბამისობა საფეხურის გრძელვადიან მიზნებთან, რათა გამოკვეთონ მომდევნო წლის ორიენტირები და მოდიფიცირების საფუძველზე შეიმუშავონ უფრო სწორი მიდგომები საჭიროებებისა და გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით.
კათედრაზე ხშირად ანალიზდება მიმდინარე სასწავლო პროცესი, მსჯელობენ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიებზე. შეფასების ინსტრუმენტებზე, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებზე, შედეგებზე - რამ იმუშავა კარგად, რის გამოსწორებაა უპრიანი და რა გზით უნდა მოხერხდეს პრობლემის გადაჭრა. Svot ანალიზი განიხილება უნივერსალურ ინსტრუმენტად, რომელიც ნათლად წარმოაჩენს განხორციელებული აქტივობების ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს. მას იყენებენ მოსწავლის, საკუთარი თავის, სასწავლო პროცესის შესაფასებლად.

კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ის, რომ მათემატიკის კურიკულუმის შექმნისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილების ანალიზი, პრაქტიკული გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია, კათედრის კოორდინირებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო გადამუშავებული კურიკულუმის შექმნას. ინდიკატორით დგინდება შესაბამისობა სტანდარტთან. დაწყებითი განთლების კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმში (N4) ვკითხულობთ: ,,კათედრის თავჯდომარემ, ე. ლ.-მ, დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რაოდენ მნაიშვნელოვანია საკუთარი პედაგოგიური საქმნიანობის რეფლექსია, ანალიზი, გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობა და გადამწყვეტი, ქმედითი ნაბიჯების ერთობლივად დაგეგმვა. რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც თითოეული მასწავლებლის პრაქტიკას, ასევე, მოსწავლეთა სწავლის ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას ხორციელდება წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მასწავლებლები წინარე ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კათედრის წევრ კოლეგებს, ახდენენ მათ ანალიზს და სახავენ ერთობლივად სამომავლო გეგმებს. აღნიშნული პრაქტიკის ნათელი დადასტურებაა შეხვედრის ამსახველი ის დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კათედრის სხდომის ანგარიშებსა და ოქმებში. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება - გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება საჭირო საკითხის ირგვლივ დიაგნოსტირება, რათა მომავალი სასწავლო პროცესი კიდევ უფრო რელევანტური, კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და მიზანზე ორიენტირებული იყოს. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის არსებობს ურთიერთთანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც სწავლა-სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების წინაპირობაა.

უცხო ენების კურიკულუმებში დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე შემუშავებულია კურიკულუმები. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, გაითვალისწინონ სწავლის პროცესის შედეგების ანალიზი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და მიგნებებს.

როგორც ინტერვიუდან გამოიკვეთა, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები სისტემატურად იკრიბებიან და აანალიზებენ მოსწავლეთა მიღწევებსა და საჭიროებებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას დაეყდნენ ახლანდელ გამოცდილებას, სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ვფიქრობ, რომ მომავალშიც კურიკულუმის დანერგვის პარალელურად ყოველთვის გამოკვეთენ იმ საჭიროებებს, რასაც გაითვალისწინებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას.

მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლების ინტერვიურების პროცესში და უფრო მკაფიოდ სკოლის თვითშეფასების ფორმაში გმოიკვეთა რომ დაგეგმვის დროს პედაგოგები აანალიზებენ და ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. სკოლის თვითშეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტში წერია, რომ საგნობრივი ჯგუფების, კათედრების, მიერ ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული აქტივობების შედეგად ბევრად უფრო დახვეწილი პროდუქტი იქმნება, რადგან რაც მეტი გამოცდილი და მცოდნე პედაგოგი ერთვება პროცესში, ხარისხობრივად მით უფრო სრულყოფილ პროდუქტს ვიღებთ. ამიტომ, კათედრაზე ხშირად აანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, განიხილავენ მშობელთა ჩართულობის საშუალებებს, შეფასების ინსტრუმენტებს, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებს, შედეგებს... რამ იმუშავა კარგად, რის გამოსწორებაა უპრიანი და რა გზით უნდა მოხერხდეს მისი გადაჭრა. Svot ანალიზი უნივერსალური ინსტრუმენტია, რომელიც აჩვენებს მასწავლებლებს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს. მას იყენებენ მოსწავლის, საკუთარი თავის, პროცესის შესაფასებლად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საჭიროების მიხედვით მოდიფიცირებას უკეთებენ კომპლექსურ დავალებას და თემას, ან შესაძლოა გამოცდილებამ აჩვენოს რომ ამა თუ იმ კომპლექსურის სხვა დროს ჩატარება სჯობს და გამოცდილებაზე დაყრდნობით გადააქვთ სასწავლო წლის სხვა მონაკვეთში, მაგალითად მეორე სემესტრში. პედაგოგები იზიარებენ კოლეგის გამოცდილებას, აანალიზებენ სამუშაო პროცესს და საბოლოო ჯამში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება. რაც მთავარია, ამ მიდგომის შედეგად სკოლის ბაზაზე იქმნება ხარისხობრივად უფრო სრულყოფილი და პრაქტიკაში გამოცდილი რესურსი კომპლექსური დავალებების, შეფასების ინსტრუმენტების სახით, რომელთა გამოყენებაც უკვე სხვა მასწავლებლებსაც შეუძლიათ.
სპორტი - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.

2. .კათედრების სხდომის *ოქმი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კათედრების სამოქმედო გეგმა

4. კომპლექსური დავალების ბარათები

5. სასკოლო სასწავლო გეგმა

6. კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას.
ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტები: მოდელი (კომპლექსური დავალება „მზის სისტემა“), კომიქსი (კომპლექსური დავალება „წყლის წრებრუნვა ბუნებაში“), პოსტერი (კომპლექსური დავალება „დღე-ღამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა“) და ა.შ., მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს. მაგ. წარმოდგენილია მე-3 კლასში განხორციელებული პროექტის „აირჩიე ცხოვრების ჯანსაღი წესი“ გეგმა და ფოტომასალა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს უამრავი საინტერესო აქტივობა: დისკუსია, დღის რეჟიმის და სწორი კვების რაციონის შედგენა, სპორტული აქტივობები, ჯანსაღი პროდუქტების გამოყენებით სალათების დამზადება.

სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა შემოქმედებით სასწავლო პროცესებში ჩართვას. მრავალფეროვანი ფოტო-ვიდეო მასალა: პლაკატები, კომიქსები, პოსტერები, ფაზლები, რომლებიც მოსწავლეთა მიერ არის შესრულებული, ცხადყოფს, რომ პედაგოგების მხრიდან წახალისებულია მოსწავლეთა კრეატიული, შემოქმედებითი მიდგომები და ამ კუთხით ისეთი სერიოზული თემების გაშუქებაც კი, როგორიცაა, მაგ: ,,ბავშვთა უფლებები“ . ამასვე ცხადყოფს სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ავითარებს წარმოსახვას, ფანტაზიას, კრიტიკულ აზროვნებას და იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმში კონტექსტ-მაგალითებად წარმოდგენილი მხატვრული ტექსტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩეული თემები, კომლექსური დავალებების იდეები, კონსტრუქტივისტული მეთოდიკით განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. შეხვედრისას პედაგოგებმა გააანალიზეს ერთი კომპლექსური დავალების შემოქმედებითი ასპექტები. საკუთარი პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითით შეძლებისდაგვარად ახსნეს, როგორ, რატომ უწყობს ხელს ეს დავალება მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.

მათემატიკის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში იქნება ჩართული. მოსწავლეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში დასჭირდება პრობლემის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა და შეფასება. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, პოსტერების შედგენა, სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემის გადაჭრა, მოხსენებით კლასის წინაშე გამოსვლა თუ დისკუსია სხვადასხვა საკითხებზე. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

საზოგადოებრივი მეცნიერების კუთხით სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ის იძლევა ცალსახად მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენას და საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით მათ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში. აღნიშნული კუთხით მოსწავლეთა ინტერაქციის მექანიზმს იცნობს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას იძლევა კომპლექსური დავალების სტრუქტურა და მისი თემატური ხასიათი. მოსწავლეები სწავლობენ ფიქრს, მსჯელობას, პრობლემის გადაჭრას, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ ყველაფერში კი მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით.

უცხო ენები - წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქმედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში არაფორმალური განათლების აქტივობებში და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითარონ.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლამ თვითშეფასების კითხვარში აღნიშნა, რომ „მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულებები სხვადასხვა სოციალურ პროექტებში, საკლუბო მუშაობაში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში, საწრეო სამუშაოებში“ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. აღნიშნეს, რომ ახალი ცოდნის გადაცემას ახორციელებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით (კონსტრუქტივიზმი). პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ციფრული პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფროვანი პროდუქტის შექმნისთვის. აგრეთვე, სასკოლო პროექტებში, კონფერენციების დაგეგმვა-ჩატარებისას, საწრეო მუშაობებში მონაწილეობისას. ამას მოწმობს სკოლაში წარმოდგენილი მოსწავლეთა მიერ შესრულებული ციფრული ნამუშევრები, მოსწავლეთა და მასწავლებლეთა პორტფოლიოები, სხვადასხვა ციფრული აქტივობის ამსახველი მასალები.

სასწავლო პროცესი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სახვით და გამაყონებით ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, პრაქტიკული საქმიანობის გზით. წხელოვნებაში განხორციელებულ პროექტში „სასკოლო გამოფენა“ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები შემოქმედებითი და მრავალფეროვანი აქტივობებით იყვნენ ჩართული. ჩართულნი იყვნენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და შემოქმედებითი პროდუქტებით.
სპორტი - 1-6 კლასის დაწყებით საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც დაწყებით საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას.

2..კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან . დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მაგ. ბუნებისმეტყველების მაგ.მე-3 კლასის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა „მზის სისტემის მოდელის შექმნა“ კონტექსტ-მაგალითად აღებულია მოსწავლეებისთვის ნაცნობი სიტუაცია-ვარსკვლავიანი ცა. მატრიცაში ნაბიჯების მიხედვით გაწერილია მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები: „არეული თანმიმდევრობა“, ინფორმაციის ანალიზი, თამაში „დაიჭირე ჩრდილი“, თამაში - „იპოვე შენი ქანდაკება“, ვიდეორესურსების „ბოცო და გვანცა“, „ჟირაფი ჟოზე - გავუფრთხილდეთ დედამიწას“ და ა.შ. აქტივობები დალაგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპით, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. თითოეული ნაბიჯის ბოლოს მოცემულია სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რომლებზე პასუხებიც იძლევა ინფორმაციას, როგორ გაიაზრა მოსწავლემ კონკრეტული საკითხი.

სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, შერჩეული თემები, საკითხთა კლასტერი, კონტექსტ მაგალითები, ცნებათა იერარქია, იქვე კომპლექსური დავალების განსახორციელებელი ნაბიჯები ასახავს ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. მაგალითად: მეორე კლასის კურიკულუმის მიხედვით ვიდრე მოსწავლეები შეუდგებიან კომპლექსური დავალების, კერძოდ ,,ნაცარქექიას წერილი ძმებს“ დაწერას, მანამდე იხსენებენ ზღაპრისთვის დამახასიათებელ წინადადებებსა და შესიტყვებებს, გრძნობების გამომხატველ სიტყვებს, ეცნობიან წერილის ნიმუშებს, აკვირდებიან წერილის სტრუქტურას და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ მასზე მუშაობას. ინტერვიუში მასწავლებლები ადასტურებენ, რომ კონსტრუქტივისტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპები მათთვის ამოსავალია სწავლებაში. ირკვევა, რომ USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდათ ამ კუთხით და მომავალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ, რომ შექმნილი და დანერგილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს წინარე ცოდნას დაეფუძნოს. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება სადიაგნოსტიკო შეფასებას. პედაგოგთა რეფლექსია საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ კათედრას შეძლებისდაგვარად, მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას.

მათემატიკის სასწავლო პროგრამები (კურიკულუმები) ითვალისწინებს ცოდნის კონსტრუირებას, ძველზე ახლის დაშენების პრინციპს, როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდურად. მასწავლებელთა განმარტებით, მომავალი სასწავლო წლისათვის შერჩეული კომპლექსური დავალებების ხასიათიც მიმართულია არსებული გამოცდილებიდან ნაბიჯ-ნაბიჯ ახლის დაუფლებისაკენ. კომპლექსური დავალებებში პირობას მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოაქვს და ნაცნობი საკითხის მეშვეობით შეძლებენ დავალებაში არსებული პრობლემის გადაჭრას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები ქმნიან ისეთი სახის კომპლექსურ დავალებებს, რომელიც შენდება წინარე ცოდნაზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშიროს უკვე შესწავლილ ინფორმაციასა და ცოდნას. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ახდენენ გამოცდილების გაზიარებას, ახორციელებენ შესასწავლი თემატიკის / მასალის დიაგნოსტირებას და მიღებულ შედეგებს უსადაგებენ ახალ მასალას, ისე რომ შეიკრას მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებში მთლიანი ცოდნის კონსტრუქცია. ძველი და ახალი მასალის ურთიერთთან კონსტრუქტივისტული მიდგომებით აქვთ შედგენილი საგნის (მე და საზოგადოების) კურიკულუმი, რომელიც შედგენისას გათვალისწინებულია კათედრის სხდომაზე ურთიერთშორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ცოდნის ამგვარად დაკავშირების მექანიზმს იცნობს და არეგულირებს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა.

უცხო ენები - შუალედური მიზნები კომპლექსური დავალებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად, დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მეექვსე კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებს ევალებათ წერილის დაწერა უცხოელი თანატოლისთვის სკოლის პირველი დღის შესახებ. აღნიშნული დავალება ეფუძნება იმ წინარე ცოდნას, ენობრივ საშუალებებს (ლექსიკას, გრამატიკა) სამეტყველო ქმედებას, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, კომპლექსური დავალების პირობა კი ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის საინტერესოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.
კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, დაასახელეს რამდენიმე მაგალითი და კურიკულუმის ჩარჩოშიც გამოიკვეთა, რომ ისინი სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ სგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. ლაგოდეხის N3 საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი აქვთ რამდენიმე კომპლექსური დავალება ყველა სამიზნე ცნებათან მიმართებით. მათ მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა/პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის გადაცემა ხდება წინარე ცოდნის გამოყენებით. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავასკვნათ-დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა , მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

3. ბუნებისმეტყველების წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში მოცემულია კითხვები: „რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?“ ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობს ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი ქართული ენის გაკვეთილების გეგმებიდან, დავალების ბარათებიდან, განხორციელებული პროექტებიდან, ვიზუალური სქემებიდან და მაორგანიზებლებიდან ჩანს, როგორ გამოიყენება სასწავლო პროცესში მრავალფეროვანი მეთოდები დამოუკიდებლად ცოდნის ასაგებად. მაგალითად, პირველ კლასში, ტექსტი ,,აი ია“ -ს გაცნობამდე მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ასოციაციური კავშირების რუკას და აქედანვე აჩვევს, როგორ შეიძლება ცოდნის ორგანიზება. ცოტა მოგვიანებით სთავაზობს ,,პერსონაჟის რუკას“, სადაც მოსწავლემ უნდა განათავსოს ინფორმაცია, როგორია პერსონაჟი და იქვე დაასაბუთოს, ეს ინფორმაცია პირდაპირ ეწერა ტექსტში, მინიშნებას დაეყრდნო თუ თავისი წარმოდგენით ჩამოაყალიბა. აღნიშნული აქტივობები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კონკრეტული კომპლექსური დავალების აქტივობებში, ასევე ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე მათი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციური მართვა.

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მეტაკოგნიციის უნარების განვითარებას . საგაკვეთილო პროცესში იყენებენ ისეთი აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს სწავლის სტრატეგიებზე, სამოქმედო გეგმაზე, თვითშეფასებაზე, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. თემატურ მატრიცებში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია ისეთი საკვანძო შეკითხვები, რომლებიც მოიაზრებს ინფორმაციის მოძიებას, გადამუშავებას, შედარებას, ანალიზს, შეფასებას, ასევე დასმულია შეკითხვები საიდანაც ჩანს ყურადღების გამახვილება მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებაზე და თვითშეფასების გაკეთებაზე. რაც მიუთითებს სასწავლო პროცესში სწავლის სტრატეგიების გამოყენების დაუფლების ხელშეწყობაზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე სწავლებისას აქტიურადაა გამოყენებული სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი, რომლებიც სწავლების ბაზისად მიიჩნევს სწავლის სწავლების პრინციპებს. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილის თემატური კომპლექსური დავალებები ისეთი სტრუქტურითა და მიდგომებითაა გაწერილი, რომ მოსწავლე ცოდნასა და გამოცდილებას იღებს არა მზა ინფორმაციის მიწოდებით, არამედ თავად ეცნობიან და ეუფლებიან სწავლების მექანიზმებსა და უნარებს. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები იძენენ სწავლისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს. ეცნობიან, აკვირდებიან, აანალიზებენ, ახდენენ მიღებული ინფორმაციის ორგანიზებას, დახარისხებასა და საჭირო პრაქტიკაში მიღებული ცოდნის გამოყენებას.

უცხო ენები - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნლოგიები - ამ ეტაპზე, ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩოში არ იყო სავალდებულო თემატური მატრიცების წარმოდგენა და ეს ყოველივე სექტემბრამდე უნდა შეიმუშაონ პედაგოგებმა ჩარჩოში წარმოდგენილ თითოეული კომპლექსური დავალების იდეასთან მიმარტებით, ბუნებრივია, ნათლად ვერ გამოიკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები და კონკრეტული აქტივობები, (რადგან ჯერ მატრიცები არ არის შემუშავებული), თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიმართულია სააზროვნო უნარების განვითარებისკენ; მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. თითოეული კომპლექსური დავალების განხორციელება მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზე, მსჯელობას-დისკუსიას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ აქტიურად იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს. შესაბამისად, შემიძლია დავასკვნა, რომ სკოლაში სრული მზაობაა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს „სწავლის სწავლაზე“, მიღწეულ შედეგებსა და მიზნების მისაღწევად განხორციელებულ გზებზე.

თვითშეფასების ფორმაში მუსიკისა და ხელოვნების საგნებში სკოლა წარმოადგენს ხედვას სწავლის სწავლის შესახებ. ასევე თვითშეფასების დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ სკოლაში დანერგილია გაკვეთილზე თვითშეფასების ბარათების, შესრულებული დავალების რეფლექსიის გამოყენება. სკოლას მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები. 2022-2023 წელს მე-2 კლასში ისტ-ში (eschool.emis.ge) შეისწავლეს პირობითი ნიშნები. მათი გამოყენებით მოსწავლეებმა შეადგინეს კვირის რეჟიმი. შედეგად ბავშვებმა გაითავისეს დაგეგმვის ციკლის საჭიროება. კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომ ისინიც აუცილებლად გულისხმობს საწვლის სწავლის სწავლას.

სპორტი - სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შემეცნილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

4 ბუნებისმეტყველებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას სქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მოსწავლეები არა მხოლოდ იძენენ დეკლარატიულ ცოდნას, არამედ პროცედურულ და პირობისეულსაც. მაგ. მე-4 კლასში თემის „ციკლური პროცესები ბუნებაში“ შესწავლისას , დაგეგმილია კომპლექსური დავალების ფოტოკოლაჟის „მცენარის სასიცოცხლო ციკლი“ შექმნა. დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს მცირე კვლევის განხორციელებას მცენარეების აღმოცენებასა და განვითარებაზე, რაც ხელს შუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას და დაეხმარება საკითხის ღრმად გააზრებაში. მოხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

სახელმწიფო ენის მიმართულებით წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. ქართული ენის კურიკულუმები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, განხორციელებული სასკოლო პროექტები, USAID-ის პროექტის ფარგლებში შესრულებული დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უყალიბებს მოსწავლეებს როგორც დეკლარაციულ, ისე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას. ინტერვიუში მასწავლებლები ამ პროცესებზე ხაზგასმით საუბრობენ. გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად იაზრებენ სასწავლო გარემოში განხორციელებული აქტივობების დანიშნულებას, მის ფუნქციას ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიისა და ზოგადად ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება მახვილდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. ამის დასტურად, თვითშეფასების კითხვარში წარმოგენილია კონკრეტული დავალების ნიმუში, შესაბამისი კითხვებით, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლადაა გამიზნული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკაში სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს, დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-4 კლასში კომპლექსური დავალება „საქართველოს რეგიონები“ განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ პროცედურული ცოდნის გამოყენება (მიმატება, გამოკლების მოქმედებების შესრულება) და ამ ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება (საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის რაოდენობების შეკრება და შედარება). ინდიკატორთან მიმართებით დგინდება შესაბამისობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება დაწყებით საფეხურზე იზიარებს და ახორციელებს მოსწავლეთა მიერ დაუფლებული ინფორმაციის დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულ ცოდნას. აღნიშნული მკაფიოდ იკვეთება იმ კომპლექსური დავალებების პირობასა და სტრუქტურაში, რომლითაც ხორციელდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში საგნობრივი ცნებების დამუშავებისას. მასწავლებელთა მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მოსწავლეები თავად მიდიან ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობებისაკენ. საგნის სწავლება რომ ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას ნათლად ვლინდება კომპლექსური დავალებების პირობებში. ცოდნის ამგვარი გაგების მექანიზმს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი.

უცხო ენები - წარმოდგენილი შუალედური მიზნები/ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას დაეუფლებიან, მას პრაქტიკაში გამოიყენებენ, არამედ ექნებათ უნარი მოახდინონ მისი ანალიზი, თუ სად და როგორ გამოიყენოს ის. მაგალითად დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მეექვსე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ პოსტერის პრეზენტაცია თემაზე “გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა”, ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება და იმის ანალიზი, თუ რა უნდა გააკეთონ ან არ გააკეთონ ბავშვებმა პლანეტის გადასარჩენად. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება.
ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით სწავლებისას მნიშვნელოვანია გააქტიურდეს როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. ვინაიდან, მომავალი სასწავო წლის კურიკულუმი ეფუძნება მე-3 თაობის ესგ-ს და ეროვნული სასწავლო გეგმა სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადა მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა- შესაბამისად, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვისას და პროექტების განხორციელებისას საჭირო იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის, მუსიკისა და სახვით ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები იძლევა შესაძლებლობას რომ მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) დონეზე გაიზრონ. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ამგვარად, დაწყებით საფეხურზე, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).
სპორტი - დაწყებით საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

5 ბუნებისმეტყველების კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. მაგ. მე-4 კლასში თემის „ციკლური პროცესები ბუნებაში“ შესწავლისას , დაგეგმილია კომპლექსური დავალების ფოტოკოლაჟის „მცენარის სასიცოცხლო ციკლი“ შექმნა. დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს მცირე კვლევის განხორციელებას მცენარეების აღმოცენებასა და განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას და დაეხმარება საკითხის ღრმად გააზრებაში. მოხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. შეძენილ დეკლარატიულ ცოდნას მოსწავლე გამოიყენებს კვლევის განხორციელების, შედეგების აღწერის და დასკვნების გაკეთების დროს. მასწავლებლის დახმარებით, შეეცდება განაზოგადოს მიღებული გამოცდილება.

სახელმწიფო ენის კუთხით სკოლის მიერ მოწოდებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალების სრული ნიმუშიდან, ასევე უშუალოდ კურიკულუმში მოცემული შუალედური (თემა, დავალების იდეა) და გრძელვადიანი (სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან გამომდინარე, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს საწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებელთა ინტერვიურებიდან გამოიკვეთა ის ძირითადი მიგნებები, რაც სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, კერძოდ, პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების სახეს მიიღებს.

მათემატიკაში სასწავლო პროცესის დანახვა საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით ზოგადად ხერხდება, შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ: კომპლექსური დავალებები, არაფორმალური აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლე ახდენს მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას და ახორციელებს ცოდნის ორგანიზებას. ეს ყოველივე კი მოსწავლეში მიღებული ინფორმაციის შესახებ კომპლექსურ ცოდნას განსაზღვრავს. დავალებებში ისეა პირობა გაწერილი, რომ მოსწავლე მარტივად, რიგ შემთხვევაში მასწავლებლის რეკომენდაციებით, მოახდენს ცოდნის ორგანიზებას და მრავალი მიღებული ცოდნის თემატურ დაჯგუფებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას.

უცხო ენები - კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის მეხუთე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა დაწერონ თხზულება თემაზე, სადაც თავის საყვარელ ქალაქს უცხო ქვეყნის ქალაქს შეადარებენ. ამ დავალების შესასრულებლად, კი მასში გააქტიურდება სხვადასხვა კომპონენტური უნარები, მაგ. არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოყვანა, სხვისი მოსაზრების გაზიარება, სხვისი გამოცდილების გათვალისწინება და სხვ.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მითუფრო კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცება რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა გამოცდილება (განხორციელებული კომპლექსური დავალებები) , მოსაზრებები და ხედვა მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშრებას და ორგანიზებას. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სპეციფიკა გაამარტივებს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. როგორც თავად აღნიშნავეს, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში კომპლექსური პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება, ურთიერთდაკავშრება და ორგანიზება. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას.

მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, დაწყებით საფეხურზე განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, კომპლექსური დავალებები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ხელოვნების პედაგოგის მიერ განხორციელებულ პროექტში „სასკოლო გამოფენა“ ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალფეროვან შემოქმედებით აქტივობებში. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. ამგვარად, დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
სპორტი - ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები

1.*პროექტის „აირჩიე ცხოვრების ჯანსაღი წესი“ გეგმა და ფოტომასალა.*

2.*კათედრის სამოქმედო გეგმა.*

3.*კათედრის ოქმები.*

4.*სასკოლო სასწავლო გეგმა*

5.*კურუიკულუმის შემუშავების მექანიზმი*

6.*შეფასების რუბრიკები*

7.*პროექტის გეგმა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ბუნებისმეტყველების სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. ბუნებისმეტყველების წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ. მე-5 კლასში თემის „კოსმოსი“ შესწავლისას, ერთ-ერთი საკითხია „ჩვენი პლანეტა-დედამიწა“ საკითხის შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები- სხეულის მოძრაობის სიჩქარე და ტრაექტორია, კოსმოსური სხეულები, მოძრაობა, თანაბარი მოძრაობა, ასტრონომიული მოვლენები, დედამიწის სტრუქტურა, სასიცოცხლო პირობები და სხვა. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე სხეული, ორგანიზმი, გეოგრაფიული ობიექტი, მოვლენა, პროცესი, მდგრადი განვითარება) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. მე-6 კლასში თემის „ენერგია და მისი გარდაქმნა“, მუშავდება ქვეცნებები: კოსმოსური სხეულები, ენერგიის სახეები, დედამიწის რელიეფი, არაგანახლებადი და განახლებადი ენერგიის წყაროები, ბუნებრივი რესურსები და სხვა. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნებებზე (სხეული, ორგანიზმი, გეოგრაფიული ობიექტი, მოვლენა, პროცესი, მდგრადი განვითარება) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს. მაგ. წარმოდგენილია მე-3 კლასში განხორციელებული პროექტის „აირჩიე ცხოვრების ჯანსაღი წესი“ გეგმა და ფოტომასალა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს უამრავი საინტერესო აქტივობა: დისკუსია, დღის რეჟიმის და სწორი კვების რაციონის შედგენა, სპორტული აქტივობები, ჯანსაღი პროდუქტების გამოყენებით სალათების დამზადება.

სახელმწიფო ენის კუთხით სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას. მაგ: მე-4 კლასში რ. ინანიშვილის ,,პატარა ბიჭის ფიქრების“ შესწავლისას ცნება ,,ტექსტის“ გააქტიურების პროცესში მოსწავლე შექმნის პოსტერს, სადაც გაიაზრებს ნაწარმოების მთავარ იდეას, სათაურს, გრძნობებს სხვა პერსონაჟებთან მიმართებით, ტექსტის არავერბალურ მაორგანიზებლებს და წერის სტრატეგიას. მხოლოდ ამის შემდეგ შექმნის ზეპირ თხზულებას ,,პატარა ბიჭის ფიქრები“ საკუთარი განცდების გადმოსაცემად.. პედაგოგები სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, იაზრებენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

მათემატიკაში სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, სადაც დეტალურად არის გაწერილი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები და ა.შ. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები შეძლებენ სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

სკოლა კარგად იცნობს ,,მეოთხე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას“ და კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმებს. ეს ყოველივე იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესი მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობითა და სიღრმისეული კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კერძოდ კი, კომპლექსური დავალებების საშუალებით ნათლად და მკაფიოდ არის განსაზღვრული სამიზნე ცნებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც სწავლა სწავლების პროცესს მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები. ასევე გამოკვეთილია ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები და კონტექსტ მაგალითები. სწავლების ამგვარ მიდგომას ნათლად ასახავს კურიკულუმის შექმნის მექანიზმის საფუძველზე შედგენილი III და IV კლასებში შესასწავლი საგნის - ,,მე და საზოგადოების“ კურიკულუმი.

უცხო ენები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ხდება ძირითადად შუალედური მიზნების/კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით, სადაც თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. ამასვე ადასტურებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაშია გაწერილი. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ თითოეული თავის ფარგლებში უნდა იქნეს ისეთი აქტივობები შერჩეული, რომლებიც ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მიმართულებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები, საკვანძ კითხვები ერთმანეთთან სწორადაა დაკავშრებული. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, ინტერვიუს დროს აღნიშული გამოცდილება კომპლექსური დავალებების დანერვისა და მეორე მხრივ მომავალი სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთ მოლოდინი კურიკულუმის განხორციელების პროცესისადმი.

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში სასწავლო პროცესი სრულად ეყრდნობა სტანდარტს. მკაფიოდ ჩანს კავშირი თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და საკითხებს შორის. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებშიც თემის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ორგანულად და ლოგიკურად არის თავმოყრილი, იძლევა მათი სიღრმისეულად გააზრებიც საშუალებას, რაც მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საწინდარია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი-დაწყებით საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

2. ბუნებისმეტყველების სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. თემატურ მატრიცებში წარმოდგენილია კითხვები: „რა გამოგივიდა კარგად? რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?“ და ა.შ. რაც ეხმარება მოსწავლეს, შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.

სახელმწიფო ენის კუთხით მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ და პიროვნულ განვითარებას ხელს შეუწყობს კომპლექსური დავალების თემები. მაგ: პირველი კლასის წინასაანბანო მატრიცაში შემოთავაზებულია თემა: ,,სასკოლო გარემო“ და შესაბამისად ჩაშლილია ეს თემა საკითხებსა და კონტექსტმაგალითებში: ,,მე პირველკლასელი ვარ“, ,,ბომბორა სწავლას იწყებს“, პირადი გამოცდილება, რაც მოსწავლისათვის ადვილად გასაგებს ხდის საკითხს, რომლითაც უნდა დამუშავდეს ცნება ტექსტი(ჟანრი) და ქვეცნება: მხატვრული ტექსტი-მოთხრობა, ტექსტის შინაარსობრივი მხარე - ეპიზოდი, პერსონაჟი. დოკუმენტურად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი პრობლემები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსახორციელებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

მათემატიკაში კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების , სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. კურიკულუმში მოცემული საკითხები , განხორციელებული სასკოლო პროექტები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესს. შესაბამისად, ის მიმართულია სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
კომპიუტერული ტექნოლოგიები წარმოდგენილ დოკუმენტაციებში და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების შელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა; თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური იუნარები, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებებზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას. მნიშვნელოვანია, სკოლის მიერ განხორციელებული/გასახორციელებელი სხვადასხვა ტიპის პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფსიქო-სოციალურ უნარებს, დაუკავშირდეს საგნობრივ კონტექსტს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე სწავლების ფარგლებში შედგენილი კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი რომ მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესისას არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარების შესაძლებლობას შეძლებენ, არამედ მათში განვითარდება მათივე პიროვნულ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობა. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა თავად დაგეგმოს სწავლის პროცესი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. მას მიეცემა საშუალება დაფიქრდეს, დააკვიდეს, გააანალიზოს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები. გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი თვისებები. მართოს საკუთარი ემოციები. მოახდინოს საკუთარი თავის თვითრეგულაცია, ჩამოუყალიბდეს სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ემოციისა და ნაფიქრის სხვისთვის გაზიარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გახდეს ემპათიური, ტოლერანტი ისწავლოს გუნდური მუშაობა და სხვა. კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და დავალებაზე მუშაობის პრინციპები ემიზნება და ემსახურება მოსწავლეთა ფსიქო - ცოციალურ განვითარებას.

უცხო ენები - კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. ზოგიერთი მათგანის პირობა ისეა მოცემული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა სახით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა ისეა შერჩეული, რაც მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, სადაც საშუალება მიეცემათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ამასთანავე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც. მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ხელს შეუწყობს მაგალითად, დაწყებითი საფეხურის მეექვსე კლასის რუსული ენის კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს პოსტერის პრეზენტაციას თემაზე "ჩემი სკოლა და კლასი", სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ არა მარტო დაახასიათონ ის, არამედ პირადი დამოკიდებულებები და ემოციებიც გამოხატონ მათთვის ნაცნობ თემაზე, ასევე მოისმინონ სხვების მოსაზრებაც. მოცემული კონტექსტ მაგალითი და რესურსები კი უზრუნველყოფენ მათთვის ნაცნობ და საინტერესო კონტექსტში მოახდინონ დავალების შესრულება.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა შემეცნებაზე, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას თუ ხელოვნების ნიმუშზე მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია რომ „პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების პროცესში, მოსწავლეები იძენენ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარებს; მოსწავლეებს შეუძლიათ ისაუბრონ საკუთარ პიროვნულ მახასიათებელებზე, გამოხატონ საკუთარი პოზიცია, ფასეულობები. გრძნობდნენ და გამოხატავდნენ ემპათიას ერთმანეთის მიმართ, აყალიბებდნენ და ავითარებდნენ სოციალურ ურთიერთობებს და იღებდენ პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებს .შეუძლიათ მოახდინონ თვითშეფასება და იმსჯელონ პიროვნულ განვითარებაზე. გამოკვეთონ პოზიტიური მიზნები და დასახონ სტრატეგია მათ მისაღწევად; მათ შეუძლიათ გააცნობიერონ საკუთარი როლი და ადგილი დემოკრატიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებაში . აღიქვან თავი მსოფლიოს ნაწილად და გააცნობიერონ არსებული გამოწვევები. იმსჯელონ სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე და საკუთარ წვლილზე ამ კულტურის ჩამოყალიბების–საგანმანათლებლო სივრცეებში მათი დანერგვის მნიშვნელობაზე“. სკოლა აღნიშნავს, რომ საგნობრივი კურიკულუმები შევიმუშავეს სწორედ ზემოთქმულის გათვალისწინებით.

სპორტი - სკოლაში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

3 .ბუნებისმეტყველებაში მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მაგ. წარმოდგენილია კომპლექსური დავალების „მზის სისტემის მოდელი“ სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს (სივრცეში ორიენტირება, მოვლენა, ორგანიზმი, საარსებო გარემო, გარემოს დაცვა) და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. დაწვრილებითაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები პრესტრუქტურული, უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურილი, მიმართებითი და აბსტრაქტული დონისთვის.

სახელმწიფო ენის მიმართულებით დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობაა, რადგან მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სასწავლო პროცესის შესაბამისად დაგეგმვა მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას შეუწყობს ხელს. .განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში ჩანს, რომ კათედრა შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის. სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. შემაჯამებელი წერების დროს მოსწავლემა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური).

მათემატიკის კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე . მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, სხვა მრავალი ინსტრუმენტის მსგავსად, კათედრა იყენებს მოსწავლეთა თვითშეფასებას. ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მოსწავლეთა შეფასებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები, მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტური გავითარებას. მასწავლებელთა მიერ ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისა და სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს გაკეთებული განმავითარებელი შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული.

უცხო ენები - რადგან დაწესებეულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გამდიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებით, რომლებიც მოიაზრებს მეტაკოგნიტურ კითხვებს და შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ანალიზური რუბრიკა, რომელთა ამოცანებია ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება, შეფასება ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ გაითვალისწინებს მოსწავლისთვის აქტუალურ სხვადასხვა გარემოებას. მასწავლებლები კი ხედავენ იმის საჭიროებას, რომ აქცენტი უნდა გააკეთონ უფრო მეტად განმავითარებელ შეფასებაზე.

კომპიუტერული ტექნოლოგიები - სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ: “ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების პროცესში ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლისაგან მაღალი მოლოდინები და შესაბამისად სასწავლო პროცესიც აქეთკენ არის მიმართული. ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით ვიყენებთ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას. თითოეული საფეხური წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს.“-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პრაქტიკა იძლევა საფუძველს რომ სკოლას შესწევს უნარი დანერგოს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების პრაქტიკა. თანაც, მასწავლებლებთან ინტერვიებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას გათვალისწინებულია არა მარტო მათი აკადემიური უნარები, არამედ სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. ამგვარი პოზიცია მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას შეფასება იყოს ჰოლისტური ხასიათის.

მუსიკასა და ხელოვნებაში კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით, არამედ ამ დონაზე დაყრდნობით შექმნილი პროდუქტიც, სადაც მას სრულიად თავისუფლად და მრავალფეროვნად შეუძლია გამოხატოს თავისი თავი. ძალზე მნიშვნელოვანია ამ დროს როგორც განმავითარებელი შეფასება, ასევე თვითშეფასებაც. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებას ყოველდღიურად იყენებენ, ძალზე ხშირად იყენებენ მოსწავლეებში თვითშეფასების სტრატეგიებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლას 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი ხედგა განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით.
სპორტი - ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ფიზიკურ აღზრდაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

4 ბუნებისმეტყველებაში წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკაში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიო და არაორაზროვანია შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.

ქართული ენის დაწყებით საფეხურზე შექმნილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების აუცილებელი კომპონენტია. მისი მთავარი ფუნქცია ობიექტურობის დაცვაა, რაც ადასტურებს, რომ შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემა არის სანდო და ვალიდური. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ სოლო ტაქსონომიას, რათა ზუსტად განსაზვრონ სასწავლო შედეგების მიღწევის დონე. პედაგოგთა თქმით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები გამოკრულია საკლასო სივრცეში ან მასწავლებელი აძლევს სიტყიერ მითითებას აღნიშნულთან დაკავშირებით. წლის ბოლოს დამრიგებლები წერენ მოხსენებით ბარათებს მოსწავლეების მიღწევების და გამოვლენილი ხარვეზების შესახებ. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის შემუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები,რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები შეეცდებიან თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად.

მათემატიკაში სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას, როგორიცაა მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში , რა ფაქტორები უწყობს/უშლის სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას ხელს, და ა.შ. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

უცხო ენები - კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან გამომდინარე, მასწავლებლები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, და რადგან ის ანალიზური ხასიათისაა, წარმოადგენს ე.წ. რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. მართალია შეფასების რუბრიკები, მხოლოდ საშუალო საფეხურისაა წარმოდგენილი, მაგრამ ჩანს, რომ კათედრას აქვს ამის გამოცდილება, რომ ისეთი შეფასების რუბრიკები შეადგინონ, რომლებიც ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან მიზნებზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმებს მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან; აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს დაეხმარება მათ შეფასება იყოს ობიექტური, მკაფიო, არაორაზროვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნოლოგიები - კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა.

სპორტი - სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს(დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს ,ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდაში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

5. დოკუმენტი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექსნიზმის შესახებ სკოლაში შემუშავების პროცესშია.
მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად სკოლა იყენებს შემაჯამებელი წერების ანალიზებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია. კერძოდ -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია 2022 წლის 6 ივნისის დაწყებითების კათედრის N4 სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება.

სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე განიხილება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და ხდება გაანალიზება თუ რამდენად ასრულებს არსებული შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში იგეგმება მოქმედი შეფასების სისტემის დახვეწა-განვითარება. სკოლის პედაგოგებს აქვს შეფასების სისტემის განვითარების სწორი ხედვა. მიმდინარე წელს მასწავლებლები ინდივიდუალურად ახორციელებენ კონკრეტულ კლასებში ჩატარებული ,,კომპლექსური დავალებების“ შეფასების ანალიზს და გამოკვეთილ პრობლემაზე მსჯელობენ კათედრის სხდომაზე.

ინტერვიურების დროს გაკეთდა მიგნებები:

მე-3 კლასის მოსწავლეებს აქვთ შექმნილი პორტფოლიოები, სადაც განთავსებულია მთელი წლის მანძილზე მათ მიერ შესრულებული დავალებები. პორტფოლიო იძლევა მოსწავლის ნაშრომების გაანალიზების და შეფასების შესაძლებლობას. 2022-2023 სასწავლო წლისთვის დანარჩენ კლასებშიც იგეგმება მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნა.

მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს. მაგ. წარმოდგენილია მე-3 კლასში განხორციელებული პროექტის „აირჩიე ცხოვრების ჯანსაღი წესი“ გეგმა და ფოტომასალა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს უამრავი საინტერესო აქტივობა: დისკუსია, დღის რეჟიმის და სწორი კვების რაციონის შედგენა, სპორტული აქტივობები, ჯანსაღი პროდუქტების გამოყენებით სალათების დამზადება.

იქიდან გამომდინარე რომ სკოლას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის მექანიზმი ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტის შემუშავების დროს, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-166) დამტკიცებული ვერიფიკაციის წესი, შესაბამისად აღნიშნული შესაბამისობაშია ინდიკატორთნ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, კომპლექსური დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები*;*

2. პროექტის „აირჩიე ცხოვრების ჯანსაღი წესი“ გეგმა და ფოტომასალა*;*

3. სასკოლო სასწავლო გეგმა*;*

4. კურუიკულუმის შემუშავების მექანიზმი*.*

5. სკოლის დირექტორის ბრძანება (8.09.2023, 2-166) ლაგოდეხის #3 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 წარმოდგენილია სკოლის სასწავლო გეგმა (2022-2023 სასწ. წელი), სკოლის რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, დაეხმაროს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს გლობალურად მოაზროვნე, პატრიოტ, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თანამედროვე უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილ მოქალაქედ, განუვითაროს მოსწავლეს კულტურული მრავალფეროვნებისა და ფასეულობათა პატივისცემა, დაეხმაროს მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ გამბედავ და ინიციატივის მქონე ადამიანებად, აუმაღლოს მოსწავლეებს თვითშეფასება და განუვითაროს მათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებით გათვალისწინებით სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა ითვალისწინებს შინ სწავლებას. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა ეროვნებისა (ავარიელები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, პოლონელები, რუსები, სომხები), და სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის (იეჰოვას მოწმე), კულტურის მქონე მოსწავლეები. სკოლა ამ თავისებურებების გათვალისწინებით სკოლა რთავს მათ ფორმალურ (კომპლექსურ დავალება და საკლასო აქტივობები) თუ არაფორმალურ (ექსკურსია, ღონისძიება, პროექტები, ღირსშესანიშნავი თარიღები...) საგანმანათლებლო აქტივობებში. კათედრის მიერ განხორციელებული სასკოლო-საგანმანათლებლო აქტივობები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავება ხდება პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობის გზით,მიანიშნებს იმაზე, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება სავარაუდოდ ასახვას ჰპოვებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდასა და მათი ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საფეხურის კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

.2..სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. მაგალითად, კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული. ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც ჩანს, რომ გააქტიურებულია სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი. პედაგოგები აღნიშნავენ მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტმაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. ამ მიზნით მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა ტიპის რესურსებს: სქემებს, მაორგანიზებლებს, პლაკატებს, მოდელებს, ელექტრონულ წიგნებს, დიდ წიგნებს ერთობლივი კითხვისთვის, ნახატებიან და მოძრავ ანბანს. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე და უკუკავშირი, მშობლების მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და მათი ჩართულობა ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. წარმოდგენილია 2022 წლის 6 ივნისის დაწყებითების კათედრის N4 სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. პედაგოგებთან ინტერვიურებით ნათლად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კათედრებს შორის თანამშრომლობის მაგალითია მე-2 კლასში ქართული ენისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა) მასწავლებლების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალება: დიორამა - წელიწადის დროები.

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მაგ. .2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილი იყო სასკოლო პროექტი “მე მაქვს უფლება”. სასკოლო პროექტის პრიორიტეტული თემაა ,,ადამიანის უფლებები“. პროექტის ბენეფიციარებია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. წარმოდგენილა, აგრეთვე, 2021-2022 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტის “მე- მოქალაქე” გეგმა. . პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო დისკუსია თემაზე: ტოლერანტული მიდგომის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე სამყაროში. ,ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა - ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში აქტივობების განხორციელება დაწყებით და საბაზო საფეხურზე. (ფილმის, „საოცრება“, ჩვენება), კომპლექსური დავალება - კულტურული მრავალფეროვნება ჩემს გარშემო. (საბაზო საფეხური-VII კლასი), საკლასო პრეზენტაცია-,,ჩვენ კაცთა მოგვცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“... მოსწავლეთა მიერ მოკლე ისტორიულ - გეოგრაფიული ცნობების მოძიება პოლონეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის, დაღესტნის შესახებ და თანასკოლელებისთვის გაცნობა, სასკოლო კონფერენცია: თემა - ,,ერთიანობა მრავალფეროვნებაშია” მოსწავლეები განიხილავენ: სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ჩვენი ქალაქის, ქვეყნის სამსახურში (ლუდვიგ მლოკოსევიჩი, თამარ სხირტლაძე, ბერდია ბერიაშვილი. კომპლექსური დავალება მოსწავლეთათვის - „ტოლერანტობა - მრავალეროვანი ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

*1.*კურიკულუმი

*2.*ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

*3.*სკოლის შინაგანაწესი

4.სასკოლო პროექტები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

X შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია,…სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).
მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

2.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. ის არის საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.

3. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

*1.*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები*;*

2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა.
2..ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პედაგოგები მოსწავლის საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მიღებას გეგმავენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ.
მაგალითად მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, გაითვალისწინებს ამავე დროს ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა.

4..ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებს, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმები;
1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1..სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:
- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას.
მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები)
კათედრის მუშაობა: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით.
სკოლის დირექცია: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:
- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

2.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობის ეფექტურობა, მოხდება წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინება კურიკულუმების გადამუშავების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.1.სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (საბაზო საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, აღწერილია კურიკულუმის განხორციელების პროცესში პედაგოგთა პრაქტიკის გაზიარების პროცედურა და ამოცანები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას და რევიზიას, რათა მომავალ სასწავლო წელს სკოლა შეხვდეს გადამუშავებული კურიკულუმით, რომელიც პასუხობს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობის ხარისხი და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, სოციალური ქსელით კომუნიკაციისას, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით. ის გარემოება, რომ სკოლა ჩაერთო განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ავტორიზაციის მხარდამჭერ ღონისძიებაში და სამინისტროს მხარდამჭერ ჯგუფთან, მათ შორის საგნობრივი ექსპერტების კონსულტაციების შედეგად დაამუშავა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ანუ სკოლამ კურიკულუმის დაგეგმვის ინსტრუმენტად უკვე გამოიყენა „საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო“, რომელიც კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი ინსტრუმენტია, მნიშვნელოვნად მეტყველებს სკოლის პოტენციალზე გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს ამ კუთხით. ამდენად, ამ გამოცდილებით, საზოგადოების ჩართულობის, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ჩატარდება SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები, რომელიც ასახვას ჰპოვებს ახალ კურიკულუმში.

2.სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს საუბრისას არკვევენ მათ ინტერესებს, სურვილებს და ასახავენ კურიკულუმში. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის საკითხი, რომელიც კურიკულუმის მონიტორინგს და განვითარებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით დაგეგმილია სასკოლო პროექტი ,,ადამიანის უფლებები“, სასკოლო პროექტის პრიორიტეტულ პრობლემად მიჩნეულია მშობელთა ჩართულობა. სკოლის სტრატეგიული გეგმიდან ჩანს, რომ სასწავლო აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობს მთელი სასკოლო საზოგადოება: ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები.
მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა კათედრის მუშაობა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით. მასწავლებლები ასევე საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს, ვიყენებთ კითხვარებსა და პირისპირ კომუნიკაციას, ასევე სოციალურ ქსელებს მშობლებისაგან უკუკავშირის მისაღებად“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში.

3.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია, როგორ უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავებაში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დაწყებითი საფეხურის კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ. აგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად, მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციების დასანერგად. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ფეისბუქგვერდი, ელექტრონული ფოსტა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ყველა დონეზე. თითქმის ყველა საგნობრივი მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან, დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებთან გაზიარების პრაქტიკა. პირველი კლასის დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას მშობლებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ, უკეთ შეისწავლონ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურუკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. ინტერვიურების მიგნების თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან. თუკი ინტერვიუს/ფოკუს-ჯგუფის ფორმატში გამოიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას, ჩაითვლება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან, სკოლა გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან ამ პროცესმა მიიღოს მასშტაბური ხასიათი. სკოლის ბლოგზე თუ სოციალურ სივრცეში უფრო აქტიურად იყოს წარმოდგენილი მათ მიერ განხორციელებული კურიკულუმები, სასწავლო პროექტები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კათედრის სხდომის ოქმი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურის კათედრის მიერ (სახელმწიფო ენა) წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ამგვარი მიდგომის დასადასტურებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალებაზე. გამოყვეს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში მათ ჩართულობას. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული საბაზო საფეხურის (VII-IX) კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. შესწავლის შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნული კურიკულუმები, სასწავლო შინაარსთან ერთად, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, წინარე ცოდნას და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდა გათვალისწინებულია: ,,ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ და ,,გეოგრაფიის“ სწავლება. აღნიშნული საგნების სწავლების დაგეგმა და განხორციელება ხდება მასწავლებელთა მიერ წინასწარ შედგენილი კურიკულუმის გამოყენებით. თითოეული საგნის შესაბამისი კურიკულუმი კი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის აქტიური ურთიერთ თანამშრომლობის შედეგად. შემუშავებული კურიკულუმი კარგად ავლენს იმ გარემოებას, რომ საგნის კურიკულუმები აშკარად ორიენტირებულია სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებულ როგორც გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აშკარა დადასტურებაა იმასა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული. აღნიშნული საგნების კურიუკულუმების მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში ზოგადი განათლების საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს მკაფიოდ განსაზღვრავს და ნათლად ასახავს სკოლაში არსებული სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმები.

სამივე საბუნებისმეტყველო საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას მას სჭირდება შემოქმედებითობა, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. მაგ. ქიმიის VIII და IX კლასების კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ - მაგალითები, მაგალითები შედარებისთვის, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შეთავაზებულია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ. მე-9 კლასის, ქიმიის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა „Power Point-ის საშულებით ქიმიური რეაქციების კლასიფიცირების წარმოდგენა და დაკავშირება ყოფა-ცხოვრებასთან.“ კონტექსტ-მაგალითად აღებულია კავშირის ჩვენება ბუნებაში მიმდინარე მოვლენებსა და მათ ამსახველ ქიმიურ რეაქციათა ტიპებს შორის. შესადარებლად მასწავლებელი გამოიყენებს მჟავა წვიმებს, ჟანგვის და წვის რეაქციებს ბუნებაში. ცხოვრებისეული მაგალითები გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და ჩართულობას სწავლის პროცესში და ხელს შეუწყობს საკითხის ღრმად გააზრებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმებში ისეთი თემები, საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებებია შერჩეული, რომელთაგან თითოეული მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა.

უცხო ენები - რადგან ამ საფეხურზე წარმოდგენილი უცხო ენების კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ ძირითადად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება. საბაზო საფეხურის ორივე უცხოური ენის (ინგლისური, რუსული) კომპლექსური დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, სიმულაციური დიალოგი, როლური თამაში, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ.

სპორტი - სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

2..სახელმწიფო ენა - სასწავლო მასალა - სავალდებულო მხატვრული ტექსტები, საბაზო საფეხურისთვის შერჩეული და რეკომენდებული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტშია წარმოდგენილი ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. თვითშეფასების კითხვარში მოცემული კონკრეტული კომპლექსური დავალების ანალიზი, რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული აქტივობები, სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები პედაგოგთა მხრიდან (გასაუბრებისას გაანალიზებული კონკრეტული დავალების პირობა, კონკრეტული აქტივობა) განიხილება გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო მიზნებად, რომლებიც უნდა დაუკავშირდეს საფეხურის სასწავლო შედეგებს და შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ხელი შეუწყოს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას.

მათემატიკა - მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროექტებში, მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათი ანალიზის და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.შესაბამისად, ,,კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)“ .

სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნების სწავლება სრული შესაბამისობითა წარმოდგენილი და სრული თანხვედრით ხორციელდება (განხორციელდება მომდევნო სასწავლო წელსაც) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით. სწავლებისას დაგეგმილი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით არის ჩამოყალიბებული ის ქვეცნებები, საკითხები და შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რაც სასწავლო პროცესის პოზიტიური დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნების სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით მთელი სასწავლო პროცესი. თითოეული საგნის ფარგლებში შესასწავლი სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება, მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით სრულად მოცული იქნება საგნებისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. გარდა აღნიშნული გარემოებისა, საზოგადოებრივი მეცნიერების ჭრილში შემავალი ყველა საგნის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციურ უნარების ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული უნარების სწავლება განხორციელდება დაგეგმილი კომლექსური დავალებებით და კომპლექსური ტიპის პროექტული სახის მრავალფეროვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებით. ყველა სახის დავალება თავის თავში მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, საკითხის ირგვლივ დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებასა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული ამა თუ საგნისათვის გათვალისწინებულ კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ სფეროს არეგულირებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ყველა თემის ფარგლებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილია, რომელი ქვეცნებები მუშავდება სხვადასხვა თემის კონკრეტული საკითხების შესწავლისას. ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. კურიკულუმებში ნათლად იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგ. მე-7 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ იგეგმება 5 ძირითად თემაზე მუშაობა: „მიკროორგანიზმები“, „სოკოები“, „მცენარეები“ ცხოველები“, „სასიცოცხლო ციკლი“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება: „სტრუქტურა და ფუნქცია“, „სასიცოცხლო თვისებები“, „ბიომრავალფეროვნება“, „ჯანმრთელობა და დაავადება“. თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები და საკითხთა კლასტერი, ძირითადი და დამატებითი რესურსები. მაგ. თემის მცენარეები შესწავლისას მოსწავლეები გაეცნობიან საკითხებს: „მცენარეთა სისტემატიკური ჯგუფები“, „ფოტოსინთეზის პროცესი და მისი მნიშვნელობა“ „მცენარეთა მნიშვნელობა ბუნებასა და ადამიანის ცხოვრებაში“ . მასწავლებელს მოცემული აქვს რესურსები, რომლებიც საჭიროა ამ საკითხების გასააზრებლად. ფიზიკაში მე-7 კლასში ისწავლება სავალდებულო თემები: „ნივთიერების აგებულება და მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური თვისებები“, „თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა“, „ძალა და წნევა“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, გამოკვეთილია ძირითადი საკითხები,საკითხთა კლასტერი, მრავალფროვანი რესურსები. ჩანს, რომ მასწავლებელი ინტენსიურად იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიას.

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის შემოწმების მიზნით სკოლაში განხორციელდა ადგილზე ვიზიტი. ვიზუალური დათვალიერების დროს ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიული ინვენტარი ერთ საკლასო ოთახში კარადებში იყო მოთავსებული. სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ ჰქონდა. ასევე არ დაფიქსირებულა ლაბორატორიული ინვენტარის შეძენის მიღება-ჩაბარების აქტი.

მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში არსებული თითოეული თემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული თემისთვის მუსიკასა და ხელოვნებაში ეროვნული გეგმით განსაზღვრული, საფეხურის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებებია გაწერილი, რომელთა დამუშავებაც თითოეული ამ თემის ფარგლებში გულისხმობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა, შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება, კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია და სხვა. თემათა ფარგლებში ამ ცნებების და ქვეცნებების დამუშავება კი, მოცემული საკითხის კონტექსტში ეროვნული სასწარვლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე გაიყვანს მოსწავლეებს.

უცხო ენები - რადგან ამ საფეხურზე წარმოდგენილი უცხო ენების კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებიდან ჩანს, რომ ძირითადად გააზრებულია ის სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმას შეესაბამება. საბაზო საფეხურის ორივე უცხოური ენის (ინგლისური, რუსული) კომპლექსური დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად, სიმულაციური დიალოგი, როლური თამაში, პოსტერის პრეზენტაცია, მაკეტის შექმნა, დღიური, ბუკლეტის შექმნა და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, ხასიათი/ნებელობა და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები.

3.სახელმწიფო ენა - პედაგოგთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. თვითშეფასების კითხვარში, სკოლის მიერ სხვადასხვა საგანში დიფერენცირებული მიდგომის ნიმუშად წარმოდგენილი დავალების პირობები და ამ დავალებათა შესრულებისას განხორციელებული აქტივობების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ეს მეთოდიკური ორიენტირი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დააკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად. შექმნილია და წარმოადგინეს ისგ. თითოეული მოსწავლისთვის,სადაც გათვალისწინებულია მათი ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები.

მათემტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ ესა თუ ის საკითხი, იმსჯელონ მასზე, გააფორმონ ნაშრომი და წარადგინონ იგი კლასის წინაშე. ასევე, სსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. ასევე, 2023-24 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნების სწავლება ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სასწავლო პროცესისადმი ამგვარი მიდგომები და დამოკიდებულებები აღიარებულია და ადმინისტრირებულია სკოლაში მოქმედი დოკუმენტებით: შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიითა და საგნობრივ კურიკულუმებში. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ არა მარტო სსსმ. მოსწავლეების, არამედ სხვა ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის ფორმას მოსწავლეები თავად ირჩევენ, იქნება ეს ციფრული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული ნამუშევარი, გრაფიკული ჩანახატი, დიაგრამები თუ და სხვა. სწავლისადმი ასეთი მიდგომა შესანიშნავად იძლევა მოსწავლეთა პიროვნული შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების რეალიზების შესაძლებლობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისას გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგაროვნება და მრავალფეროვნება მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლები საკუთარი პროფესიული პრაქტიკული გამოცდილებიდან და სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმების საშუალებთ ფლობენ სსსმ. მოსწავლეებთან მუშაობისათვის საჭირო ფორმალურ და არაფორმალურ მხარეებს. (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები). აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და სრული მზაობაც აქვთ. სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან პიროვნული და პროფესიული მზაობა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შექმნაში მოაწილეობა აქვთ მიღებული საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ გაერთიანებაში შემავალ მასწავლებლებს, სხვა კოლეგენთან კონსულტაციისა და კოორდინაციის გზით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მასალებში წარმოდგენილია თითო თემატური მატრიცა ბიოლოგიაში და ქიმიაში, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები, ნაბიჯები, რაც განახორციელეს მასწავლებელმა თავის მოსწავლეებთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობები მრავალფეროვანია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. მაგ. 2021-2022 სასწავლო წელს ბიოლოგიაში შეასრულეს კომპლექსური დავალება „რჩევების წიგნის შექმნა ჯანსაღი კვების შესახებ“ . როგორც წარმოდგენილი მატრიციდან ჩანს და ინტერვიურების დროსაც გამოიკვეთა, დავალების შესასრულებლად განხორციელდა მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები: მოსწავლეებმა გაანალიზეს ცხრილი-ვიტამინების შემცველობა საკვებ პროდუქტებში, დღიური ნორმა და მნიშვნელობა, გამოთვალეს საკუთარი ძირითადი ენერგეტიკული ცვლის დონე, გამოთვალეს საკუთარი სმმ, შეადგინეს ერთი დღის რაციონი ენერგეტიკული საკუთარი მოთხოვნილების შესაბამისად, კვლევის საფუძველზე დაადგინეს საკვებ პროდუქტებში C ვიტამინის შემცველობა, გააანალიზეს კვებითი პირამიდა, გაეცნენ ნუტრიენტებს და მათ მნიშვნელობას, კითხვარის გამოყენებით განახორციელეს კვლევა-,, რამდენად ჯანსაღია ჩემი კვებითი ჩვევები” და წარმოადგინეს კვლევის ანგარიში. სკოლამ წარმოადგინა მე-9 კლასელი მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილია ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში მისაღწევი გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი მიზნები, მიზნის მისაღწევი აქტივობები, მრავალფეროვანი რესურსები. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. მაგ. ქიმიის კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების „წყლის თვისებები“ პროდუქტად შეთავაზებულია პოსტერი ან PPT-პრეზენტაცია, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის მისაღები საშუალებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი აქტივობები შესთავაზოს მათ.

მუსიკისა და სახვითი ხელოვნების კურიკულუმებში ისეთი კომპლექსური დავალებებია დაგეგმილი და შერჩეულია ისეთი რესურსი, რომელიც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვას გულისხმობს. სასწავლო მიზნებიც იმგვარადაა გაწერილი, რომ შესაძლებელი ჩანს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა არჩევანის გაკეთება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ამ ეტაპზე, საბაზო საფეხურზე არის ერთი სსსმ მოსწავლე რომლისთვისაც შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სხვადასხვა საგანში და მათ შორის მუსიკასა და ხელოვნებაშიც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხო ენები-დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, და თემების მიხედვით კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ვასკვნით, რომ ის ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით იმ მოსწავლეების სწავლებას, რომლებიც ამას საჭიროებენ. ის, თუ როგორ მუშაობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით, ვიგებთ ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული ჩანს, ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობაშიც, რომელიც სხვადასხვა ფორმით სთავაზობს მოსწავლეს ნაშრომის წარმოდგენას. გარდა ამისა, მათ ინტერვიუში განაცხადეს, რომ ისინი მოარგებენ რესურსებს და შინაარსს მოსწავლეთა საჭიროებებს, შესთავაზებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მათი სწავლის ტიპს შეესაბამება, განმავითრებელი რუბრიკების მეშვეობით, გამოკვეთავენ მათ საჭიროებებს და მისცემენ ისეთ დავალებებს, რომლებიც თითოეული მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას შეუწყობს ხელს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მათ გააზრებული აქვთ დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობა და საჭიროება.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.

4.სახელმწიფო ენა - სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. როგორც სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს სკოლა უპირატესობას ანიჭებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში.

მათემატიკა - სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალება(„ფინანსური მათემატიკა“). კომპლექსური დავალების პირობა მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ, ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს.
მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, სხვა მრავალი ინსტრუმენტის მსგავსად, კათედრა იყენებს მოსწავლის ან წყვილის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემას. სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

საბუნებიმეტყველო მეცნიერებები - განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საბუნებისმეტყველო საგანში. განმსაზღვრელი შეფასება მიემართება სამიზნე ცნებებს და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. მაგ. წარმოდგენილია გამნსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საკითხის „ერთუჯრედიანი სოკოები“ მიმართ. აღწერილია შეფასების კრიტერიუმები ყველა სამიზნე ცნების მიმართ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი წონა. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ბიოლოგიაში საკითხზე „მწერები“ სამიზნე ცნების „სასიცოხლო თვისებები“ მიმართ, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.
წარმოდგენილია 2022 წლის 20 ივნისის კათედრის სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში. ნათლად იკითხება, სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ შედეგებს მიემართება თითოეული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მიღებული შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერები - ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და ამჟამად მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნის პერიოდულ და სისიტემატიურ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შედგენის მექანიზმი და საგნობრივი ჭრილით შექმნილი თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი კომპლექსურ დავალებათა პირობებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში. განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვაროვნება და დეტალიზირება განხორციელებულია შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: ... თუ სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებამდე და სად მივიდა საკითხზე მუშაობის დროს, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები არის საჭირო მიზნამდე მისასვლელად.
მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილი დოკუმენტებიდან მტკიცებულებების სახით ძალზე მცირე სახით იყო წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (მეშვიდე კლასისთვის). თუმცა ინტერვიუს დროს გაირკვა რომ აქტიურად იყენებენ მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას კომენტარების სახით როგორც მუსიკაში, ისევე ხელოვნებაში. კომპლექსური დავალებებიც ყოველთვის ფასდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით, სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენები სკოლის მიერ წარმოდგენილი "სასკოლო სასწავლო გეგმის" მიხედვით, სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის აირჩია შეფასების პირველი მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები ფასდებიან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების წარმოების რუბრიკა, რაც ზოგად წარმოდგენას ქმნის, სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ტიპის წარმოების წესზე. მართალია, წარმოდგენილია მხოლოდ საშუალო საფეხურის შეფასების ის ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელთა მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და ანალიზი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, მაგრამ ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა სხვა საფეხურებზეც აღნიშნული პრინციპით განახორციელებს შეფასების რუბრიკების შედგენას, რაც მათთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა.

სპორტი - წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები შეესაბამება სტანდარტს, არის ზოგადი.

5..სახელმწიფო ენა - კათედრის სხდომებზე ანალიზდება სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებები, ჩატარებული გაკვეთილების ძლიერი და სუსტი მხარეები და ხდება წინარე გამოცდილების რეფლექსია. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მასწავლებლები წერენ ანალიზს, რომელიც ეხება მოსწავლეების მიღწევებს, პრობლემებსა თუ საჭიროებებს. კათედრებზე ზეპირი კომუნიკაციით ხდება გამოცდილების გაზიარება და საერთო სასკოლო ინტერესების გამოკვეთა.

მათემატიკა - მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმის შექმნის გამოცდილება , წინა წლებში შექმნილმა სასწავლო გეგმებმა გაუადვილა მათ კურიკულუმის კომპონენტებში გარკვევა, თემატურ-სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ზოგიერთ კურიკულუმში შესული კომპლექსური დავალების იდეა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმეს. ასევე კურიკულუმებში აპირებენ უფრო მრავალფეროვანი რესურსების გათვალისწინებას და კომპლექსური დავალების პროდუქტის გამრავალფეროვნებას. შესაბამისად, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლებისას ხორციელდება წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებით ადგენენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის დონესა და მდგრადობას. სწორედ არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდეგ ხდება ახალი საკითხის, ინფორმაციისა და თემის მიწოდება და დამუშავება. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასაგებად გამოყენებულია არაერთი საშუალება: შემაჯამებელი სამუშაო, დიაგნოსტირება საჭირო საკითხზე და სხვა. მასწავლებლები საკუთარ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კათედრის წევრ კოლეგებს, ახდენენ მათ ანალიზსა და სახავენ ერთობლივად სამომავლო გეგმებს. აღნიშნული პრაქტიკის ნათელი დადასტურებაა იმ შეხვედრის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კათედრის სხდომის ოქმებში. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარე - გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება საჭირო საკითხის ირგვლივ კვლევა და დიაგნოსტირება, რათა მომავალი სასწავლო პროცესი კიდევ უფრო პროდუქტიული, რელევანტური, კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და მიზანზე ორიენტირებული იყოს. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის არსებობს ურთიერთ თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც სწავლა სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების წინაპირობაა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერები - დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მაგ. ქიმიის მასწავლებელი მე-9 კლასის მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით პოლიმერების თვისებების, მნიშვნელობისა და გარემოზე მათი ზემოქმედების წარმოჩენა“, რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „პოლიეთილენი - საფრთხე თუ სარგებელი?“, მოსწავლეები იცნობენ პოლიეთილენს, აქვთ გარკვეული წარმოდგენა მის თვისებებზე და გამოყენებაზე ყოფა-ცხოვრებაში. არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას პოლიმერების შესახებ და ქმნიან საინფორმაციო ბუკლეტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლების ინტერვიურების პროცესში და უფრო მკაფიოდ სკოლის თვითშეფასების ფორმაში გამოიკვეთა რომ დაგეგმვის დროს პედაგოგები აანალიზებენ და ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში წერია, რომ საგნობრივი ჯგუფების, კათედრების, მიერ ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული აქტივობების შედეგად ბევრად უფრო დახვეწილი პროდუქტი იქმნება, რადგან რაც მეტი გამოცდილი და მცოდნე პედაგოგი ერთვება პროცესში, ხარისხობრივად მით უფრო სრულყოფილ პროდუქტს ვიღებთ. ამიტომ, კათედრაზე ხშირად აანალიზებენ მიმდინარე პროცესებს, განიხილავენ მშობელთა ჩართულობის საშუალებებს, შეფასების ინსტრუმენტებს, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებს, შედეგებს... რამ იმუშავა კარგად, რის გამოსწორებაა უპრიანი და რა გზით უნდა მოხერხდეს მისი გადაჭრა. Svot ანალიზი უნივერსალური ინსტრუმენტია, რომელიც აჩვენებს მასწავლებლებს ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს. მას იყენებენ მოსწავლის, საკუთარი თავის, პროცესის შესაფასებლად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ საჭიროების მიხედვით მოდიფიცირებას უკეთებენ კომპლექსურ დავალებას და თემას, ან შესაძლოა გამოცდილებამ აჩვენოს რომ ამა თუ იმ კომპლექსურის სხვა დროს ჩატარება სჯობს და გამოცდილებაზე დაყრდნობით გადააქვთ სასწავლო წლის სხვა მონაკვეთში, მაგალითად მეორე სემესტრში. პედაგოგები იზიარებენ კოლეგის გამოცდილებას, აანალიზებენ სამუშაო პროცესს და საბოლოო ჯამში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება. რაც მთავარია, ამ მიდგომის შედეგად სკოლის ბაზაზე იქმნება ხარისხობრივად უფრო სრულყოფილი და პრაქტიკაში გამოცდილი რესურსი კომპლექსური დავალებების, შეფასების ინსტრუმენტების სახით, რომელთა გამოყენებაც უკვე სხვა მასწავლებლებსაც შეუძლიათ.

უცხო ენები - კურიკულუმებში დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე შემუშავებულია კურიკულუმები. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, გაითვალისწინონ სწავლის პროცესის შედეგების ანალიზი. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და მიგნებებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა
2.კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი;
3.საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
4.კათედრების სხდომის ოქმები;
5. შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები
6.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ;
7.შეფასების რუბრიკები;
8.სასკოლო სასწავლო გეგმა.
9.ვირტუალური ლაბორატორია:
10.https://flexbooks.ck12.org/user:c2vuzc50by5zywxvbwvaz21hawwuy29t/cbook/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-7/ https://www.vascak.cz/data/android/physicsatschool/template.php?s=mech_kolo&l=ru https://www.vascak.cz/data/android/physicsatschool/template.php?s=mech_setrvacnost&l=ru, https://phet.colorado.edu/en/simulations/diffusion?locale=ka).

შეფასება:
გიგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სახელმწიფო ენის კურიკულუმში VII-IX კლასებში კონტექსტ მაგალითებად წარმოდგენილი სავალდებულო მხატვრული ტექსტები, შერჩეული თემები, კომლექსური დავალებების იდეები, კონსტრუქტივისტული მეთოდიკით განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. შეხვედრისას პედაგოგებმა გააანალიზეს ერთი კომპლექსური დავალების შემოქმედებითი ასპექტები. საკუთარი პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითით შეძლებისდაგვარად ახსნეს, როგორ, რატომ უწყობს ხელს ეს დავალება მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.

მათემატიკის კათედრის დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასები) სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებების შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები მიმართულია მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაციისკენ, მოსწავლე თავად აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, მოიპოვებს ახალ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა რაკურსით. კომპლექსურ დავალებები და თემატიკა რელევანტურია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან, რაც გაუადვილებს მოსწავლეს სამიზნე ცნებების გააზრებას, სწავლის პროცესში მოსწავლე თანამშრომლობს თანატოლებთან, შეფასება ხდება მრავალფეროვანი ფორმით, იგი იღებს და თავადაც გასცემს უკუკავშირს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია წარმოაჩენს, რომ მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ავტონომიურობას, წაახალისებს მათი მხრიდან ინიციატივას და ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას(მაგალითად. სიტუაციური პრობლემების გადაჭრა არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიის ფორმულების გამოყენებით).ზემოთ ჩამოთვლილი გამოიწვევს მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები (მაგ.მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „Power Point-ის საშუალებით ქიმიური რეაქციების კლასიფიცირების წარმოდგენა და დაკავშირება ყოფა-ცხოვრებასთან.“, „საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით პოლიმერების თვისებების, მნიშვნელობისა და გარემოზე მათი ზემოქმედების წარმოჩენა“, „მოგზაურის დღიური“, „ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები“ და ა.შ, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სკოლამ წარმოადგინა ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი და ხორციელდება პროექტი „ეკოსკოლა“, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განიხილონ გარემოს დაცვითი თემები საკლასო ოთახში თუ მის გარეთ აქტიური ქმედებების, დაკვირვების, კვლევის გზით, იმუშაოს საკუთარი გარემოს გაუმჯობესებისათვის და გახდეს უფრო მწვანე ნაკლებ დანახარჯიანი და უფრო პასუხისმგებლიანი გარემოს მიმართ, ჩაერთონ და ეფექტურად დაიცვან თავიანთი გარემო. სკოლა ჩართული იყო პროექტში „ნიკო კეცხოველის პრემია“-2023, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი ფოტოები. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი, სოლიდარობის და თანამშრომლობის უნარები. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, დაინახეს საკუთარი ხელით ცვლილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების შესაძლებლობებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. გახდნენ მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილეები.

საზოგადოებრივი მეცნიერების კუთხით სკოლაში სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ის იძლევა ნათლად და მკაფიოდ მოსწავლეთა მრავალფეროვანი შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და საკუთარი შემოქმედებითი უნარების პრეზენტაციისა და გამოვლენის საშუალებას. ამ კუთხით მოსწავლეები ინტერაქტიულები არიან მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე. მოსწავლეთა ინტერაქციის მექანიზმს იცნობს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა. გარდა ამისა კომპლექსური დავალებების ფორმა, შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია სასკოლო სასწავლო გეგმასთან. ის შედგენილია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას იძლევა. მოსწავლეები სწავლობენ ფიქრს, მსჯელობას, პრობლემის გადაჭრას, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ამ ყველაფერში კი მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებსა და პროცესებში.

სასწავლო პროცესი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სახვით და გამაყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, პრაქტიკული საქმიანობის გზით. ხელოვნებაში განხორციელებულ პროექტში „სასკოლო გამოფენა“ მოსწავლეები შემოქმედებითი და მრავალფეროვანი აქტივობებით იყვნენ ჩართული. ჩართულნი იყვნენ მრავალფეროვანი აქტივობებითა და შემოქმედებითი პროდუქტებით.

უცხო ენები - რადგან წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში არაფორმალური განათლების აქტივობებშიც და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითაროონ.

სპორტი - 7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მაში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას.

2..სახელწიფო ენა - კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, კონტექსტმაგალითები, დავალების პირობა, შეთავაზებული თემები..პედაგოგთა რეფლექსია საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ კათედრას შეძლებისდაგვარად, მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას.

მათემატიკა - ახალი მასალა მოსწავლეებს სათანადო დამუშავების გარეშე არ მიეწოდება,მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ ახალი ცოდნის მიღებას ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით,რათა გაუადვილდეს ახალი მასალის ათვისება, ამასთანავე, მოსწავლისთვის შეთავაზებული ნაცნობი თემატიკა, ხელს შეუწყობს მოტივაციის გაზრდას, მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას. კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი, ახლი ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება და გამოყენება. ახალი სასწავლო წლისათვის კომპლექსური დავალებების აქტივობებს იმგვარად დაგეგმავენ,რომ მოხდეს სათანადო ცოდნის ახალ ცოდნად გარდაქმნა,დასტურდება შესაბამისობა ინდიკატორთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები ქმნიან ისეთი სახის კომპლექსურ დავალებებს, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ახალი თემის ფარგლებში შესასწავლი მასალა დაუკავშირონ უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნასა, სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე ახდენენ გამოცდილების ურთიერთ გაზიარებას, ახორციელებენ შესასწავლი თემატიკის / მასალის დიაგნოსტირებას და მიღებულ შედეგებს უსადაგებენ ახალ მასალას, ისე რომ შეიკრას მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებში მთლიანი ცოდნის კონსტრუქცია. ძველი და ახალი მასალის ურთიერთთან კონსტრუქტივისტული მიდგომებით აქვთ შედგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმები, რომელთა შედგენისას გათვალისწინებულია კათედრის სხდომაზე ურთიერთ შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ცოდნის ამგვარად დაკავშირების მექანიზმს იცნობს და არეგულირებს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა.

საბუნებისმეტყველო მეცნიერები - კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან . დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მაგ. ქიმიის კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით პოლიმერების თვისებების, მნიშვნელობისა და გარემოზე მათი ზემოქმედების წარმოჩენა“, რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „პოლიეთილენი - საფრთხე თუ სარგებელი?“, მოსწავლეები იცნობენ პოლიეთილენს, აქვთ გარკვეული წარმოდგენა მის თვისებებზე და გამოყენებაზე ყოფა-ცხოვრებაში. არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას პოლიმერების შესახებ და ასრულებენ კომპლექსურ დავალებას.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეა/პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის გადაცემა ხდება წინარე ცოდნის გამოყენებით. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ-დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

უცხო ენები - შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად, საბაზო საფეხურის ინგლისური ენის მეშვიდე კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებს ევალებათ ბუკლეტის შექმნა და პრეზენტაცია თემაზე "ჩემი ქვეყნისა და უცხო ქვეყნის ეროვნული სპორტის სახეობის შესახებ". აღნიშნული დავალება ეფუძნება წინარე ფაქტობრივ ცოდნას, ენობრივ საშუალებებს (ლექსიკას, გრამატიკა), სამეტყველო ქმედებას, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, კომპლექსური დავალების პირობა კი ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის საინტერესოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

სპორტი- სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

3..სახელმწიფო ენა - კონკრეტული კომპლექსური დავალების აქტივობებში, ასევე ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე მათი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციური მართვა.

მათემატიკა - სკოლაში დაგეგმილი აქტივობები (კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტი) მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ სწავლის სხვადასხვა სტრატეგიის დაუფლებას. მოსწავლე ივითარებს ცოდნათა კომბინირებულად გამოყენების უნარ-ჩვევებს, ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას, ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა ინტერპრეტირების შესაძლებლობის განვითარების უნარს, ეუფლება გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევებს. სასწავლო პროცესში მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან , იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას . მასწავლებელთა აზრით, სასწავლო პროცესის, პროექტული სწავლებისა და არაფორმალური აქტივობების დროს მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ განუვითარებენ მოსწავლეებს მეტაკოგნიტურ უნარები. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების 2021-2022 სასწავლო წლის თემატურ მატრიცებში (ქიმია და ბიოლოგია) წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობს ხარვეზების გამოსწორების გზებზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე სწავლებისას აქტიურადაა გამოყენებული სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი, რომლებიც სწავლების საფუძვლად მიიჩნევს სწავლის სწავლების პრინციპებს. საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილი თემატური კომპლექსური დავალებები, ისეთი სტრუქტურით, შინაარსითა და მიდგომებითაა შექმნილი, რომ მოსწავლე დავალებაზე მუშაობისას იღებს თემატიკის შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. ამ ცოდნის გადაცემა არა მზა ინფორმაციის მიწოდებით ხორციელდება მასწავლებლის მხრიდან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არამედ თავად მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაეცნენ და დაეუფლნენ სწავლების მექანიზმებსა და უნარებს. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეები იძენენ სწავლებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს. იძიებენ, ეცნობიან, აკვირდებიან, აანალიზებენ, ახდენენ მიღებული ინფორმაციის ორგანიზებას, დახარისხებასა და საჭირო დროს საჭირო პრაქტიკულ ვითარებაში მიღებული ცოდნის აქტუალიზებას მიმართონ.
ხელოვნებისა და მუსიკის შესახებ თვითშეფასების ფორმაში სკოლა წარმოადგენს ხედვას სწავლის სწავლის შესახებ. ასევე თვითშეფასების დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ სკოლაში დანერგილია გაკვეთილზე თვითშეფასების ბარათების, შესრულებული დავალების რეფლექსიის გამოყენება. სკოლას მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები. 2022-2023 წელს მე-2 კლასში ისტ-ში შეისწავლეს პირობითი ნიშნები. მათი გამოყენებით მოსწავლეებმა შეადგინეს კვირის რეჟიმი. შედეგად ბავშვებმა გაითავისეს დაგეგმვის ციკლის საჭიროება. კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში ისეთი კომპლექსური დავალებებია მოცემული, რომ ისინიც აუცილებლად გულისხმობს საწვლის სწავლას.

უცხო ენები - შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს.

4..სახელმწიფო ენა - გასაუბრებისას, ასევე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილ დავალებების იდეებსა და ნიმუშებში იკვეთება, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად იაზრებენ სასწავლო გარემოში განხორციელებული აქტივობების დანიშნულებას, მის ფუნქციას ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიისა და ზოგადად ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება მახვილდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. ამის დასტურად, თვითშეფასების კითხვარში წარმოგენილია კონკრეტული დავალების ნიმუში, შესაბამისი კითხვებით, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლადაა გამიზნული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ახლად შემუშავებული მათემატიკის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. მე-9 კლასში არჩეულია კომპლექსური დავალება, რომელის განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. ამ დავალებაზე მუშაობისას მიზნის მისაღწევად საჭიროა ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლეს უწევს პრობლემის ანალიზი, საჭირო რესურსების მოძიება და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის გზების დასახვა. კომპლექსური დავალების ფარგლებში ქვე პროდუქტებისა და საბოლოო პროდუქტის შექმნაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-9 კლასში კომპლექსური დავალება „ ბანკში ანაბრის მართვა“ განხორციელებისას მოსწავლეებს მოუწევთ სხვადასხვა გამოთვლებისა და კვლევის ჩატარება, რომ შეარჩიონ სესხის მისაღებად საუკეთესო პირობების მქონე ბანკი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც (მაგ. პროექტი „ეკოსკოლა“), რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.
საბაზო საფეხურის ორივე საგნის, მუსიკისა და სახვით ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსურები დავალებები იძლევა შესაძლებლობას რომ მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) დონეზე გაიზრონ. კომპლექსური დავალების პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ამგვარად, საბაზო საფეხურზე, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება საბაზო საფეხურზე სრულად იზიარებს და მთელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებს მოსწავლეთა მიერ დაუფლებული ინფორმაციის დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულ ცოდნის მიღებას. სწავლისადმი აღნიშნული შეფასების კუთხით დამოკიდებულება მკაფიოდ იკვეთება იმ კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითებში, საკითხებში, პირობასა და სტრუქტურაში და სხვა ტიპის დავალებებში (შემაჯამებელი სამუშაო) რომლითაც ხორციელდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში საგნობრივი ცნებების დამუშავებისას. მასწავლებელთა მიერ შედგენილი დავალებები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მოსწავლეები თავად მიდიან ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობებისაკენ. საგნობრივი ჭრილის სწავლება რომ ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას ნათლად ვლინდება დავალებების, მათ შორის კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების პირობებსა და შეფასების რუბრიკებში. ცოდნის ამგვარი გაგების მექანიზმს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და ამა თუ იმ დავალების შეფასების რუბრიკები.
უცხო ენები - წარმოდგენილი შუალედური მიზნები/ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას დაეუფლებიან, მას პრაქტიკაში გამოიყენებენ, არამედ ექნებათ უნარი მოახდინონ მისი ანალიზი, თუ სად და როგორ გამოიყენოს ის. მაგალითად საბაზო საფეხურის ინგლისური ენის მეშვიდე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა გაითამაშონ ინტერვიუ თემაზე “სკოლის კეთილმოწყობა”, ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება და იმის ანალიზი, თუ როგორ და რატომ დასჭირდებათ სკოლის ეზოს შესაბამისი კეთილმოწყობა. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

სპორტი - სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შეძენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5..სახელმწიფო ენა - პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად.

მათემატიკა - სასწავლო პროცესის დანახვა , საგნობრივ კურიკულუმზე დაყრდნობით, ზოგადად ხერხდება. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც დასტურდება კურიკულუმის თემატური დაგეგმვით. კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

საბუნებიმეტყველო მეცნიერებებში - კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც. წარმოდგენილი პროექტები (მაგ. “ეკოსკოლა”, „ნიკო კეცხოველის პრემია“) ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლეები ახდენენ მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას და ახორციელებენ მიღებული ცოდნის ორგანიზებას. ეს ყოველივე კი მოსწავლეში მიღებული ინფორმაციის შესახებ კომპლექსურსა და მრავალფეროვან ცოდნას აყალიბებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებში ისეა პირობა გაწერილი, რომ მოსწავლე მარტივად, რიგ შემთხვევაში მასწავლებლის რეკომენდაციებით, მოახდენს ცოდნის ორგანიზებას და მრავალი მიღებული ცოდნის დახარისხებას, თემატურ დაჯგუფებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას.

მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, საბაზო საფეხურზე განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები, კომპლექსური დავალებები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ხელოვნების პედაგოგის მიერ განხორციელებულ პროექტში „სასკოლო გამოფენა“ ჩანს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან მრავალფეროვან შემოქმედებით აქტივობებში. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. ამგვარად, საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

უცხო ენები -კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მაგალითად, საბაზო საფეხურზე ინგლისური ენის მეცხრე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ესე თემაზე “როგორ აუმჯობესებს ტექნოლოგიები ჩვენს ცხოვრებას”. ამ დავალების შესასრულებლად, კი მათში გააქტიურდება სხვადასხვა კომპონენტური უნარები, გადმოსცემენ საკუთარ გამოცდილებას, გააკეთებენ შედარებას, მოახდენენ ფაქტების ანალიზს, გაიგებენ თანატოლთა მოსაზრებას საკითხის ირგვლივ და სხვ.

სპორტი -ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა მეხსიერებაში ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა
2.კურუიკულუმის შემუშავების მექანიზმი
3.საბაზო საფეხურის კურიკულუმი/ კურიკულუმები
4.კათედრის სხდომის ოქმი /ოქმები
5.შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები ;
6.შეფასების რუბრიკები;
7.პროექტის გეგმა -სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
8.ისგ;
9.პროექტი ,,ეკოსკოლა".

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა - კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, იაზრებენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმები, სადაც დეტალურად არის გაწერილი სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები და ა.შ. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას, შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებას და მათ მიერ შექმნილი პროდუქტების გაანალიზებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებიმეტყველო მეცნიერებებში სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ. ბიოლოგიაში საკითხის „ენდოკრინული სისტემა“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები- შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების სტრუქტურა და ფუნქცია, მეტაბოლიზმი, ზრდა-განვითარება, ჰომეოსტაზი, პრევენცია. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (სტრუქტურა და ფუნქცია, სასიცოცხლო თვისებები, ჯანმრთელობა და დაავადება) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ქიმიაში საკითხის „არაორგანული ნაერთების თვისებები“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები- მეტალები, არამეტალები, ოქსიდი, ფუძე, მჟავა, მარილი, ნეიტრალიზაციის რეაქცია, წვა, ჟანგვა, ვალენტობა, კოვალენტური ბმა, მეტალური ბმა, იონური ბმა. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ქიმიური ბმა) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას.

სკოლაში მყოფი საზოგადოებრივი კათედრის წევრი მასწავლებელები იცნობენ ,,მეოთხე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას“ და კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმებს. ეს ყოველივე იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესი მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობითა და სიღრმისეული კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კერძოდ კი, კომპლექსური დავალებების საშუალებით ნათლად და მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული შესასწავლი თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, რომელიც სწავლა სწავლების პროცესს მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები. ასევე გამოკვეთილია თემის ფარგლებში ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები და კონტექსტ მაგალითები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების ამგვარ მიდგომას ნათლად ასახავს კურიკულუმის შექმნის მექანიზმის საფუძველზე შედგენილი საბაზო საფეხურზე შესასწავლი საგნების კურიკულუმები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში სასწავლო პროცესი სრულად ეყრდნობა სტანდარტს. მკაფიოდ ჩანს კავშირი თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და საკითხებს შორის. შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებშიც თემის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ორგანულად და ლოგიკურად არის თავმოყრილი, იძლევა მათი სიღრმისეულად გააზრებიც საშუალებას, რაც მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საწინდარია. უცხო ენები-დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ხდება ძირითადად შუალედური მიზნების/კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით, სადაც თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ თითოეული თავის ფარგლებში უნდა იქნეს ისეთი აქტივობები შერჩეული, რომლებიც ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

2....ქართულ ენაში დოკუმენტურად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი პრობლემები, განსახორციელებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

მათემატიკის კათედრის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა,რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში,არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებაზე,დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი მხარეები,მართონ საკუთარი ემოციები. ფსიქო-ემოციური განვითარება ასევე მოიცავს თვითმართვის უნარსაც, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. აღნიშნული უნარის მოსწავლეებში ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა თუნდაც კომპლექსური დავალებების დროს საკუთარი სამუშაო პროცესისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაშრომის შეფასებისას, როდესაც იგი აფასებს რა გამოუვიდა კარგად, სახავს ახალ გზებს და ცდილობს გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ იცოდნენ რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.

საბუნებიმეტყველო მეცნიერებები - სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს მოუწევს შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრის საგნების კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი საბაზო საფეხურზე სწავლების ფარგლებში რომ, მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესისას არა მხოლოდ ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს განვითარების შესაძლებლობას შეძლებენ, არამედ მათში - მოსწავლეებში განვითარდება მათივე პიროვნულ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობა. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ და წარმართონ სწავლის პროცესი, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. მათ ეძლევათ საშუალება დაფიქრდნენ, დააკვიდნენ, გააანალიზონ, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები და საჭიროებები. გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი თვისებები. მართონ საკუთარი პიროვნული ემოციები. მოახდინონ საკუთარი თავის თვითრეგულაცია, ჩამოუყალიბდეთ სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ემოციისა და ნაფიქრის სხვისთვის გაზიარების უნარი. გახდენენ სხვათა მიმართ ემპათიურები, ტოლერანტულები, დაეუფლონ გუნდური მუშაობის ტექნიკას და სხვა. კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და დავალებაზე მუშაობის პრინციპები სრულად ემიზნება და ემსახურება მოსწავლეთა ფსიქო - სოციალურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი თემები, კომპლექსური დავალებები გვიჩვენებს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა შემეცნებაზე, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენისას თუ ხელოვნების ნიმუშზე მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა. სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია რომ „პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების პროცესში, მოსწავლეები იძენენ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარებს; მოსწავლეებს შეუძლიათ ისაუბრონ საკუთარ პიროვნულ მახასიათებელებზე, გამოხატონ საკუთარი პოზიცია, ფასეულობები. გრძნობდნენ და გამოხატავდნენ ემპათიას ერთმანეთის მიმართ, აყალიბებდნენ და ავითარებდნენ სოციალურ ურთიერთობებს და იღებდენ პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებს .შეუძლიათ მოახდინონ თვითშეფასება და იმსჯელონ პიროვნულ განვითარებაზე. გამოკვეთონ პოზიტიური მიზნები და დასახონ სტრატეგია მათ მისაღწევად; მათ შეუძლიათ გააცნობიერონ საკუთარი როლი და ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში . აღიქვან თავი მსოფლიოს ნაწილად და გააცნობიერონ არსებული გამოწვევები. იმსჯელონ სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე და საკუთარ წვლილზე ამ კულტურის ჩამოყალიბების– საგანმანათლებლო სივრცეებში მათი დანერგვის მნიშვნელობაზე“. სკოლა აღნიშნავს, რომ საგნობრივი კურიკულუმები შევიმუშავეს სწორედ ზემოთქმულის გათვალისწინებით.

უცხო ენები-კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. ზოგიერთი მათგანის პირობა ისეა მოცემული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა სახით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა ისეა შერჩეული, რაც მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, სადაც საშუალება მიეცემათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ამასთანავე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც. მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ხელს შეუწყობს მაგალითად, საბაზო საფეხურის მერვე კლასის ინგლისური ენის კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს პოსტერის პრეზენტაციას თემაზე “შეწყვიტე ძალადობა/ბულინგი”, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ არა მარტო გამოთქვან მოსაზრება თემის ირგვლივ, იმსჯელონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმაზე, თუ რა მიაჩნიათ ბულინგის თავიდან არიდების ეფექტურ გზად, არამედ პირადი დამოკიდებულებები და ემოციებიც გამოხატონ მათთვის ნაცნობ თემაზე, ასევე მოისმინონ სხვების მოსაზრებაც. მოცემული კონტექსტ მაგალითი და რესურსები კი უზრუნველყოფენ მათთვის ნაცნობ და საინტერესო კონტექსტში მოახდინონ დავალების შესრულება.

სპორტი-საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

3.სახელმწიფო ენის კათედრის მიერ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში ჩანს, რომ კათედრა შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის. სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. შემაჯამებილი წერების დროს მოსწავლემა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური).

მათემატიკა - სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, რადგანაც იგი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებთან კომუნიკაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მოსწავლის ხელშეწყობას პიროვნული განვითარებისთვის და სასწავლო გეგმის შედეგზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასასვლელად. სისტემატურად ტარდება დიაგნოსტიკური წერები და კეთდება მისი ანალიზი. რომლის გათვალისწინებითაც იგეგმება სასწავლო პროცესი. შესაბამისად,

საბუნებისმეტყველო მეცნერებებში - მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საბუნებისმეტყველო საგანში. მაგ. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ბიოლოგიაში საკითხზე „მწერები“ სამიზნე ცნების „სასიცოხლო თვისებები“ მიმართ, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებელს მიეცა რჩევა, შეადგინოს შესაბამისი რუბრიკა დანარჩენი სამიზნე ცნებების (სტრუქტურა და ფუნქცია, ბიომრავალფეროვნება, ჯანმრთელობა და დაავადება) მიმართაც. ქიმიაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე მეთანის წვა და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე. შეფასება ხდება ორი სამიზნე ცნების-„ნივთიერება“ და „ფიზიკური და ქიმიური მოვლენების მიმართ“. გაწერილია მოლოდინები თითოეული მკვიდრი წარმოდგენის მიმართ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მოსწავლეთა შეფასებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები არის როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტური გავითარებას. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისათვის გაკეთებული სხვადასხვა სახის შეფასებები: წერილობითი, ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისას შექმნილი შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად არის მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული. მოსწავლეთა შეფასების ამგვარი განხორციელების მეთოდი და სტრატეგიები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტებში.
უცხო ენები- რადგან დაწესებეულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გამდიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებით, რომლებიც მოიაზრებს მეტაკოგნიტურ კითხვებს და შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ანალიზური რუბრიკა, რომელთა ამოცანებია ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება, შეფასება ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ გაითვალისწინებს მოსწავლისთვის აქტუალურ სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოებას. მასწავლებლები კი ხედავენ იმის საჭიროებას, რომ აქცენტი უნდა გააკეთონ უფრო მეტად განმავითარებელ შეფასებაზე.

სპორტი-სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

4.წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკებში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიო და არაორაზროვანია შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.

5. დოკუმენტი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის შესახებ სკოლაში შემუშავების პროცესშია.
მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს..მაგალითად, ,წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები: მეორე სემესტრის შეჯამება, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა, 2021-2022 სასწავლო წლის II სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებების ანალიზი. გამოკვეთილია პრობლემები შეფასებასთან დაკავშირებით: ”თუ შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ სწრაფად არ ხდება უკუკავშირის გაკეთება, ბავშვი ინტერესს კარგავს თავისი ნამუშევრის შედეგების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოსწავლემ ზოგადად ინტერესი დაკარგოს სწავლის მიმართ.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იქნება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ჩატარდეს სხვადასხვა ტიპის შემაჯამებებლი დავალებები, თითოეული მოსწავლის ნაშრომები მასწავლებელმა დროულად შეასწოროს და თითოეულ მოსწავლეს განმარტებები მისცეს დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით. შეადგინოს თითოეული მოსწავლის განვითარების გეგმა (ანუ თუ რა მიმართულებით სჭირდება კონკრეტულ მოსწავლეს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, სხვადასხვა უნარების გაუმჯობესება, ცოდნის გაღრმავება და ა.შ), ასევე, ყველა მოსწავლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, იმსჯელოს მთელი კლასის მიღწევებსა და საჭიროებებზე.”

წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში. ნათლად იკითხება, სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ შედეგებს მიემართება თითოეული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მიღებული შედეგები. სკოლამ წარმოადგინა ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი და ხორციელდება პროექტი „ეკოსკოლა“., რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განიხილონ გარემოს დაცვითი თემები საკლასო ოთახში თუ მის გარეთ აქტიური ქმედებების, დაკვირვების, კვლევის გზით, იმუშაოს საკუთარი გარემოს გაუმჯობესებისათვის და გახდეს უფრო მწვანე ნაკლებ დანახარჯიანი და უფრო პასუხისმგებლიანი გარემოს მიმართ, ჩაერთონ და ეფექტურად დაიცვან თავიანთი გარემო. სკოლა ჩართული იყო პროექტში „ნიკო კეცხოველის პრემია“-2023, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი ფოტოები. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი, სოლიდარობის და თანამშრომლობის უნარები. მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, დაინახეს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. გახდნენ მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილეები.

იქიდან გამომდინარე რომ სკოლას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის მექანიზმი ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტის შემუშავების დროს, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-166) დამტკიცებული ვერიფიკაციის წესი, შესაბამისად აღნიშნული შესაბამისობაშია ინდიკატორთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, კომპლექსური დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. მაგალითად,წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები: მეორე სემესტრის შეჯამება, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა, 2021-2022 სასწავლო წლის II სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალებების ანალიზი. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში და ფიზიკაში. ნათლად იკითხება, სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ შედეგებს მიემართება თითოეული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მიღებული შედეგები. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, კომპლექსური დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბაზო საფეხურის კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა (
კურუიკულუმის შემუშავების მექანიზმი
შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები;
საბუნებიმტყველო კათედრის სხდომის ოქმი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილია სკოლის სასწავლო გეგმა (2022-2023 სასწ. წელი), სკოლის რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, დაეხმაროს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს გლობალურად მოაზროვნე, პატრიოტ, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თანამედროვე უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილ მოქალაქედ, განუვითაროს მოსწავლეს კულტურული მრავალფეროვნებისა და ფასეულობათა პატივისცემა, დაეხმაროს მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ გამბედავ და ინიციატივის მქონე ადამიანებად, აუმაღლოს მოსწავლეებს თვითშეფასება და განუვითაროს მათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებით გათვალისწინებით სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის. სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა ითვალისწინებს შინ სწავლებას. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისათვის. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლაში განხორციელებული სასკოლო პროექტები, სკოლის კედლებზე გამოკრული და სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით - არაერთი სხვადასხვა, მოსწავლეზე ორიენტირებული პროექტები,ასევე საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული. ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც ჩანს, რომ გააქტიურებულია სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი. პედაგოგები აღნიშნავენ მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტ-მაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. ამ მიზნით მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა ტიპის რესურსებს: სქემებს, მაორგანიზებლებს, პლაკატებს, მოდელებს, ელექტრონულ წიგნებს, დიდ წიგნებს ერთობლივი კითხვისთვის, ნახატებიან და მოძრავ ანბანს. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

3..სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე და უკუკავშირი, მშობლების მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და მათი ჩართულობა ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. წარმოდგენილია 2022 წლის 6 ივნისის დაწყებითების კათედრის N4 სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. პედაგოგებთან ინტერვიურებით ნათლად იკვეთება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კათედრებს შორის თანამშრომლობის მაგალითია მე-2 კლასში ქართული ენისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა) მასწავლებლების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალება: დიორამა - წელიწადის დროები. ასევე წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ, ერთობლივად განიხილავენ და აანალიზებენ შემაჯამებელი დავალებების და კოპლექსური დავალებების შედეგებს, ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს.კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება.

4.. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მაგ. .2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილი იყო სასკოლო პროექტი “მე მაქვს უფლება”. სასკოლო პროექტის პრიორიტეტული თემაა ,,ადამიანის უფლებები“. პროექტის ბენეფიციარებია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. წარმოდგენილა, აგრეთვე, 2021-2022 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტის “მე- მოქალაქე” გეგმა. . პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო დისკუსია თემაზე: ტოლერანტული მიდგომის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე სამყაროში. ,ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა - ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში აქტივობების განხორციელება დაწყებით და საბაზო საფეხურზე. (ფილმის, „საოცრება“, ჩვენება), კომპლექსური დავალება -კულტურული მრავალფეროვნება ჩემს გარშემო. (საბაზო საფეხური-VII კლასი), საკლასო პრეზენტაცია-,,ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“... მოსწავლეთა მიერ მოკლე ისტორიულ - გეოგრაფიული ცნობების მოძიება პოლონეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის, დაღესტნის შესახებ და თანასკოლელებისთვის გაცნობა, სასკოლო კონფერენცია: თემა -,,ერთიანობა მრავალფეროვნებაშია” მოსწავლეები განიხილავენ: სხვადასხვა ეროვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანები ჩვენი ქალაქის, ქვეყნის სამსახურში (ლუდვიგ მლოკოსევიჩი, თამარ სხირტლაძე, ბერდია ბერიაშვილი. კომპლექსური დავალება მოსწავლეთათვის - „ტოლერანტობა - მრავალეროვანი ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:
ოგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X ეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია,...სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).
მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

2. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. ის არის საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.

3. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგია;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭროს გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა.

2. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პედაგოგები მოსწავლის საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მიღებას გეგმავენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. მაგალითად მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, გაითვალისწინებს ამავე დროს ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

3. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებს, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბაზო საფეხურის კურიკულუები;
კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგია;
შეფასება:
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

Xშეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას.

მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები)

კათედრის მუშაობა: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით.

სკოლის დირექცია: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება.

თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:

- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობის ეფექტურობა, მოხდება წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინება კურიკულუმების გადამუშავების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდლოგია;
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
Xშეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	Xშეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.4	X შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (საშუალო საფეხური)

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, აღწერილია კურიკულუმის განხორციელების პროცესში პედაგოგთა პრაქტიკის გაზიარების პროცედურა და ამოცანები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის მონიტორინგს, შეფასებას და რევიზიას, რათა მომავალ სასწავლო წელს სკოლა შეხვდეს გადამუშავებული კურიკულუმით, რომელიც პასუხობს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე მაღალია მშობელთა ჩართულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხი და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათთან ყოველდღიური საუბრებით, სოციალური ქსელით კომუნიკაციისას, ასევე მოსწავლებზე დაკვირვებით. ის გარემოება, რომ სკოლა ჩაერთო განათლების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ავტორიზაციის მხარდამჭერ ღონისძიებაში და სამინისტროს მხარდამჭერ ჯგუფთან, მათ შორის საგნობრივი ექსპერტების კონსულტაციების შედეგად დაამუშავა საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ანუ სკოლამ კურიკულუმის დაგეგმვის ინსტრუმენტად უკვე გამოიყენა „საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო“, რომელიც კურიკულუმის განვითარების პროცესის მთავარი ინსტრუმენტია, მნიშვნელოვნად მეტყველებს სკოლის პოტენციალზე გაუმკლავდეს ახალ გამოწვევებს ამ კუთხით. ამდენად, ამ გამოცდილებით, საზოგადოების ჩართულობის, მათი ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარებისთვის სკოლაში ჩატარდება SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიკვეთება საჭიროებები და პრობლემები, რომელიც ასახვას ჰპოვებს ახალ კურიკულუმში.

2.სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება - მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია, სკოლის დირექცია. მოსწავლეებთან და სწავლის დაწყებამდე მშობლებთან პირისპირ შეხვედრის დროს საუბრისას არკვევენ მათ ინტერესებს, სურვილებს და ასახავენ კურიკულუმში. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ყველა ის საკითხი, რომელიც კურიკულუმის მონიტორინგს და განვითარებას უზრუნველყოფს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია), კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში).

სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით დაგეგმილია სასკოლო პროექტი ,,ადამიანის უფლებები“, სასკოლო პროექტის პრიორიტეტულ პრობლემად მიჩნეულია მშობელთა ჩართულობა. სკოლის სტრატეგიული გეგმიდან ჩანს, რომ სასწავლო აქტივობების დაგეგმვაში მონაწილეობს მთელი სასკოლო საზოგადოება: ადმინისტრაცია, პედაგოგები, მშობლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითად, სახელმწიფო ენის მიმართულებით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები ცხადყოფს მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. მასწავლებლებთან ინტერვიუში გამოიკვეთა კათედრის მუშაობა კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაყრდნობით. მასწავლებლები ასევე საუბრობენ მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაციასა და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. ,,კურიკულუმის შემუშავებისას ვითვალისწინებთ სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს, ვიყენებთ კითხვარებსა და პირისპირ კომუნიკაციას, ასევე სოციალურ ქსელებს მშობლებისაგან უკუკავშირის მისაღებად“ - აცხადებენ მასწავლებლები ინტერვიუში.

3.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია, როგორ უნდა იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავებაში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დაწყებითი საფეხურის კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ. აგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად, მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები, შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად, ინოვაციების დასანერგად. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ფეისბუქგვერდი, ელექტრონული ფოსტა, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამის შესახებ მასწავლებლები თავად საუბრობენ ინტერვიუს პროცესში, აგრეთვე, თითოეული მასწავლებლის როლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას ყველა დონეზე. თითქმის ყველა საგნობრივი მიმართულებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან, დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს კომპლექსური დავალების ბარათების მშობლებთან გაზიარების პრაქტიკა. პირველი კლასის დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას მშობლებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ, უკეთ შეისწავლონ მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კურუკულუმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში. ინტერვიურების მიგნების თანახმად, 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება ინტერვიუ/ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან. თუკი ინტერვიუს/ფოკუს-ჯგუფის ფორმატში გამოიკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას, ჩაითვლება, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ამასთან, სკოლა გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წლიდან ამ პროცესმა მიიღოს მასშტაბური ხასიათი. სკოლის ბლოგზე თუ სოციალურ სივრცეში უფრო აქტიურად იყოს წარმოდგენილი მათ მიერ განხორციელებული კურიკულუმები, სასწავლო პროექტები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

კათედრის ოქმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის კათედრის მიერ (სახელმწიფო ენა) წარმოდგენილი კურიკულუმი ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალების გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. ამგვარი მიდგომის დასადასტურებლად ინტერვიურებისას პედაგოგებმა ისაუბრეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალებაზე. გამოყვეს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივებასა და სასწავლო პროცესში მათ ჩართულობას. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებულ საშუალო საფეხურის კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის თვითშეფასებაში ვკითხულობთ „ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემუშავებული მიზნები განსაზღვრავს იმ ზოგად უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღწერილი მოქალაქის ფორმირებისთვისაა საჭირო; შესაბამისად მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნისა და საჭიროებების გათვალისწინებით განვსაზღვრეთ შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებების სახით), რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მისაღწევი შედეგები განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით.“ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით გამოიკვეთა , რომ კომპლექსური დავალებების განხორციელება მოსწავლეებში გამოიწვევს ინტერესს, ცნობისმოყვარეობას და მისცემს ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას. მასწავლებლებმა დეტალურად ისაუბრეს კურიკულუმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებზე, კურიკულუმის განვითარების და დახვეწის საჭიროებაზე .

სამივე საბუნებისმეტყველო საგანში წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. მაგ. ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია კომპლექსური დავალება „პოსტერის საშუალებით კავშირის დადგენა ქიმიური ელემენტის იზოტოპურ შედგენილობასა და პერიოდულ სისტემაში მდებარეობას შორის“. შესაბამისი კონტექსტ -მაგალითი- „იზოტოპების როლი სამყაროსთვის“, მაგალითები შედარებისთვის: იზოტოპები და არქეოლოგია, წყალბადის იზოტოპები, მძიმე წყალი, იზოტოპები და მედიცინა, რაც ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით.
ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შეთავაზებულია მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს, წარმოდგენილი მაგალითები შედარებისთვის ხელს შეუწყობს საკითხის გააზრებას. ცხოვრებისეული მაგალითები გაზრდის მოსწავლეთა დაინტერესებას და ჩართულობას სწავლის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჭრილიდან გათვალისწინებულია: სავალდებულო საგნების - ,,საქართველოს ისტორიის“; ,,მსოფლიო ისტორიის“; ,,მოქალაქეობისა“ და ,,გეოგრაფიის“ სწავლება. აღნიშნული საგნების სწავლების დაგეგმა და განხორციელება ხდება საგნის მასწავლებელების მიერ წინასწარ შექმნილი კურიკულუმების გამოყენებით. თითოეული საგნის შესაბამისი კურიკულუმი შექმნილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის აქტიური ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე. შემუშავებული კურიკულუმები კარგად ავლენენ იმ გარემოებას, რომ საგნების კურიკულუმები აშკარადაა ორიენტირებული სასწავლო სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე. განაცხადთან ერთად წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათელი დადასტურებაა იმასა, რომ საშუალო საფეხურის ყველა კლასში, საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნის კურიკულუმი მკაფიოდ არის მოსწავლეებზე ორიენტირებული. სასწავლო პროცესის დაგეგმა და მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობებზეა მეტწილად ორიენტირებული. აღნიშნული საგნების კურიუკულუმების მიზნობრიობა და ორიენტირება არის სრულ შესაბამისობაში ზოგადი განათლების სფეროში არსებულ საერთო ღირებულებებსა და ფასეულობებთან. სკოლისა და მათ შორის საზოგადოებრივი კათედრის ორიენტირებს ნათლად განსაზღვრავს და ასახავს სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავების მექანიზმი და საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები.

საშუალო საფეხურზე, მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმებში ისეთი საპროექტო თემები და რესურსებია შერჩეული, რომელთაგან თითოეული მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა.

უცხო ენები- სკოლას წარმოდგენილი აქვს უმეტესად კომპლექსური დავალებებით დაგეგმილი სასწავლო პროცესის ამსახველი უცხო ენის კურიკულუმები, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომად, ვინაიდან მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, ხოლო მოსწავლე კი კეთების პროცესში/დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. ამგვარი მიდგომით აქტიურდება კიდევაც კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპები. საშუალო საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და შეესაბამება ენობრივი ცოდნის დონეს. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს და სასწავლო შედეგებს.
საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მეათე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა სტატია სკოლაში ჩატარებული საშობაო კონცერტის შესახებ, მოსწავლეს მოცემული აქვს მაგალითი შედარებისთვის, რომლის მიხედვითაც შეძლებს დამოუკიდებლად გაართვას თავი აღნიშნულ დავალებაზე მუშაობას, მიწოდებული აქვს რესურსები, რაც ასევე ზრდის მისი ავტონომიურობის ხარისხს. ამავე დროს, დავალების პირობა ეფუძნება მისთვის ნაცნობ კონტექსტს, ესეში ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. აღნიშნული მიდგომა შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის მაგალითად.

სპორტი - წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე .
სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.

2.სახელწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სასწავლო მასალა - სავალდებულო მხატვრული ტექსტები, საბაზო საფეხურისთვის შერჩეული და რეკომენდებული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტშია წარმოდგენილი ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. თვითშეფასების კითხვარში მოცემული კონკრეტული კომპლექსური დავალების ანალიზი, რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული აქტივობები, სკოლაში შექმნილი პოზიტიური გარემო, შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპეტენტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები პედაგოგთა მხრიდან (გასაუბრებისას გაანალიზებული კონკრეტული დავალების პირობა, კონკრეტული აქტივობა) განიხილება გრძელვადიან სასწავლო მიზნებად, რომლებიც უნდა დაუკავშირდეს საფეხურის სასწავლო შედეგებს და შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით ხელი შეუწყოს სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას.

მათემატიკაში - მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს შეუწყობს მათ პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების , სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობირების უნარს. კომპლექსური ტიპის დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების და მაკროცნებების გააქტიურება იკვეთება კომლექსური დავალების განხორციელების ეტაპზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების(მაგ. „ მაღალი ობიექტის სიმაღლის გაზომვა“ მეათე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები. მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ.

წარმოდგენილია საშუალო საფეხურის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოები ბიოლოგიაში, ქიმიასა და ფიზიკაში. ვინაიდან მე-11 კლასის სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი ახალი დასრულებულია, მე-11 კლასის კურიკულუმების ჩარჩოები შევსებული იქნება სასწავლო წლის დასაწყისისთვის. ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ყველა თემის ფარგლებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. წარმოდგენილია, რომელი ქვეცნებები მუშავდება სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თემის კონკრეტული საკითხების შესწავლისას. ქიმიის, ფიზიკის ბიოლოგიის თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. კურიკულუმებში ნათლად იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმები აგებულია ეროვნულ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგ. მე-10 კლასის ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება, რომ იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 2 ძირითად თემაზე მუშაობა: „უჯრედის ბიოლოგია“, „უჯრედის გამრავლება“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება: „სტრუქტურა და ფუნქცია“, „სასიცოცხლო თვისებები“, „ბიომრავალფეროვნება“, „ჯანმრთელობა და დაავადება“. თითოეული თემის ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები და საკითხთა კლასტერი, ძირითადი და დამატებითი რესურსები. მაგ. თემის „უჯრედის ბიოლოგია“ შესწავლისას მოსწავლეები გაეცნობიან საკითხებს: „უჯრედის ქიმიური შედგენილობა“, „უჯრედის მორფოლოგია“ „მცენარეული უჯრედის მეტაბოლიზმი“, მატრიცული სინთეზის რეაქციები“ . მასწავლებელს მოცემული აქვს რესურსები, რომლებივ საჭიროა ამ საკითხების გასააზრებლად. ფიზიკაში მე-10 კლასში ისწავლება სავალდებულო თემები: „ელექტროსტატიკა“, „მუდმივი დენის კანონები“. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, გამოკვეთილია ძირითადი საკითხები,საკითხთა კლასტერი, მრავალფროვანი რესურსები. ჩანს, რომ მასწავლებელი ინტენსიურად იყენებს ვირტუალურ ლაბორატორიას)

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის შემოწმების მიზნით სკოლაში განხორციელდა ადგილზე ვიზიტი. ვიზუალური დათვალიერების დროს ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიული ინვენტარი ერთ საკლასო ოთახში კარადებში იყო მოთავსებული. სკოლას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ ჰქონდა. ასევე არ დაფიქსირებულა ლაბორატორიული ინვენტარის შეძენის მიღება-ჩაბარების აქტი.

სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის საგნების სწავლება სრული შესაბამისობითა წარმოდგენილი და სრული თანხვედრით, ტრადიციებისა და გამოცდილებების გათვალისწინებით განხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომდევნო სასწავლო წელსაც, წარმოდგენილი კურიკულუმების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე დაფუძნებით. სწავლებისას დაგეგმილი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით არის ჩამოყალიბებული ის ქვეცნებები, საკითხები და შემადგენელი თითოეული სტრუქტურული პუნქტი, რაც სასწავლო პროცესის პოზიტიური დაგეგმვისა და განხორციელების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, იგეგმება და განხორციელდება საგნების სწავლებისას სავალდებულო თემების გავლით მთელი სასწავლო პროცესი. თითოეული საგნის ფარგლებში შესასწავლი სავალდებულო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების ფორმატით დამუშავება ხორციელდება, მთელი სასწავლო წლის მანძილზე და კომპლექსური დავალებების დამუშავებით სრულად იქნება მოცული საგნებისათვის გათვალისწინებული ყველა ცნება. გარდა აღნიშნული გარემოებისა, საზოგადოებრივი მეცნიერების ჭრილში შემავალი ყველა საგნის კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა გლობალურ ფუნქციური უნარები. აღნიშნული უნარების სწავლება განხორციელდება დაგეგმილი კომლექსური დავალებებით და კომპლექსური ტიპის მრავალგვარი პროექტული სახის დავალებებით. ყველა სახის დავალება თავის თავში მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, ფაქტისა და მოვლები ანალიზის, იდეების გენერირებასა და ორგანიზებას, საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების დაცვას, საკითხის ირგვლივ დასკვნის გამოტანას, არგუმენტის შეფასებასა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლადაა ასახული ამა თუ საგნისათვის გათვალისწინებულ კურიკულუმსა და სასკოლო სასწავლო გეგმაში. აღნიშნულ სფეროს არეგულირებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაც.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში არსებული ორივე საპროექტო თემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული თემისთვის მუსიკასა და ხელოვნებაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული, საფეხურის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებებია გაწერილი, რომელთა დამუშავებაც თითოეული ამ თემის ფარგლებში გულისხმობს მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარების ისეთი უნარების განვითარებას, როგოებიცაა, შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება, კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია და სხვა. თემათა ფარგლებში ამ ცნებების და ქვეცნებების დამუშავება კი, მოცემული საკითხის კონტექსტში ეროვნული სასწარვლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე გაიყვანს მოსწავლეებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხო ენები რადგან ამ საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობა გამდიდრებულია კომპლექსური დავალებებით, შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალების პირობები კი ისეთ საკითხებზე მუშაობას მოიაზრებს, რომლებიც ააქტიურებენ გლობალურ ფუნქციურ უნარებს: მაგალითად,დისკუსია თემაზე "უსახლკარო ბავშვები", სტატია, ესე თემაზე"მობილური ტელეფონების გამოყენება სკოლაში", რეკლამა ქართული წარმოების პროდუქტის შესახებ და სხვ. ააქტიურებს ისეთ უნარებს, როგორიცაა კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა და სხვ.
სპორტი - -წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები;

3...სახელწიფო ენის კათედრის წარმომადგენელთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური, ფსიქო-ემოციური თავისებურებების მიხედვით კომპლექსური დავალებების შეძლებისდაგვარად მოდიფიცირება და სასწავლო პროცესში დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომების გამოყენება. თვითშეფასების კითხვარში, კათედრის მიერ დიფერენცირებული მიდგომის ნიმუშად წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ,,ისტორიული სინამდვილის ანარეკლი ვეფხისტყაოსანში".“ და ამ დავალების შესრულებისას განხორციელებული აქტივობების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ეს მეთოდიკური ორიენტირი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დააკვირდებიან მოსწავლეთა განვითარებას, შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად.
მათემატიკაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ რა პროდუქტი შექმნან და როგორ წარმოადგინონ, იმსჯელონ მასზე, გააფორმონ ნაშრომი და წარადგინონ იგი კლასის წინაშე. კათედრამ წარმოადგინა სსმ მოსწავლეებისთვის ადაპტირებული კომპლექსური დავალება და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები: სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის მასალებში წარმოდგენილია თითო თემატური მატრიცა ბიოლოგიაში და ქიმიაში, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები, ნაბიჯები, რაც განახორციელეს მასწავლებელმა თავის მოსწავლეებთან ერთად. აქტივობები მრავალფეროვანია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. მაგ. 2021-2022 სასწავლო წელს ბიოლოგიაში შეასრულეს კომპლექსური დავალება „რჩევების წიგნის შექმნა ჯანსაღი კვების შესახებ“ . როგორც წარმოდგენილი მატრიციდან ჩანს და ინტერვიურების დროსაც გამოიკვეთა, დავალების შესასრულებლად განხორციელდა მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები: მოსწავლეებმა გაანალიზეს ცხრილი-ვიტამინების შემცველობა საკვებ პროდუქტებში, დღიური ნორმა და მნიშვნელობა, გამოთვალეს საკუთარი ძირითადი ენერგეტიკული ცვლის დონე, გამოთვალეს საკუთარი სმმ, შეადგინეს ერთი დღის რაციონი ენერგეტიკული საკუთარი მოთხოვნილების შესაბამისად, კვლევის საფუძველზე დაადგინეს საკვებ პროდუქტებში C ვიტამინის შემცველობა, გააანალიზეს კვებითი პირამიდა, გაეცნენ ნუტრიენტებს და მათ მნიშვნელობას, კითხვარის გამოყენებით განახორციელეს კვლევა- ,,რამდენად ჯანსაღია ჩემი კვებითი ჩვევები” და წარმოადგინეს კვლევის ანგარიში. გატვალისწინებულია
ინტერვიურების მიგნებებიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება. მაგ. ქიმიის კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალება „პოსტერის საშუალებით კავშირის დადგენა ქიმიური ელემენტის იზოტოპურ შედგენილობასა და პერიოდულ სისტემაში მდებარეობას შორის“. მოსწავლეს პოსტერი შეუძლია წარმოადგინოს ელექტრონული ფორმით ან ხელით დამზადებული. ზოგ შემთხვევაში შეთავაზებულია სხვადასხვა სახის პროდუქტის წარმოდგენა (მაგ. პოსტერი ან PPT-პრეზენტაცია), რაც მოსწავლეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მისთვის მისაღები საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი აქტივობები შესთავაზოს მათ.

სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაში შემავალი საგნების სწავლება ხორციელდება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომებით. სასწავლო პროცესისადმი ამგვარი მიდგომები და დამოკიდებულებები ერთხმადაა აღიარებული და ადმინისტრირებულია სკოლაში მოქმედი შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიითა და საგნობრივ კურიკულუმებით. სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ მაწავლებლები ითვალისწინებენ როგორც სსსმ. მოსწავლეების, ასევე ნებისმიერი ტიპური განვითარების მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს, შემოქმედებით უნარებსა და ინტერესებს. კომპლექსური და არა მარტო კომპლექსური დავალებების დამუშავების საფუძველზე შესაქმნელი პროდუქტის ფორმას მოსწავლეები თავად ირჩევენ, იქნება ეს ვიზუალური თუ გრაფიკული ელექტრონული საპრეზენტაციო მასალა, ბუკლეტი, მაკეტი, ესე, რეფერატი, პოსტერი, კარტოგრაფიული და ფერწერული ნამუშევარი, გრაფიკული ჩანახატი, დიაგრამები, სქემები და სხვა. მასწავლებეთა მხრიდან სწავლისადმი ასეთი მიდგომა შესანიშნავად იძლევა მოსწავლეთა პიროვნული შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების რეალიზების შესაძლებლობას. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისას გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსები მრავალგვარი და მრავალფეროვანია. მათი მრავალგაროვნება და მრავალფეროვნება მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებებსა და შესაძლებლობებზეა მორგებული. ეს კი, სასწავლო პროცესის დიფერენცირებისა და მასში ყველა მოსწავლის თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას. სკოლაში მოქმედი სასწავლო პროცესის მაორგანიზებელი მექანიზმებისა და მასწავლებლების პროფესიული პედაგოგიკური პრაქტიკული გამოცდილებიდან და საშუალებთ სკოლაში არის სრული მზაობა სსსმ. მოსწავლეებთან მუშაობისათვის. ამ კუთხით შესაძლებელია როგორც ფორმალური, არაფორმალურ მხარეების (დოკუმეტტაციის წარმოება, სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები) რეგულირება და სისტემატიზება. აღნიშნული კუთხით მასწავლებელებს შესაძლებლობაც და სრული მზაობაც აქვთ. სკოლაში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმები და მასწავლებელთა მხრიდან პიროვნული და პროფესიული მზაობა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შექმნაში მოაწილეობა აქვთ მიღებული საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ გაერთიანებაში შემავალ მასწავლებლებს, სხვა კოლეგენთან კონსულტაციისა და კოორდინაციის გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე მუსიკა და სახვითი ხელოვნება სავალდებულო პროექტების სახით ისწავლება. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ისეთი პროექტებია დაგეგმილი, რომელიც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვას გულისხმობს. სასწავლო მიზნებიც იმგვარადაა გაწერილი, რომ შესაძლებელი ჩანს მოსწავლეთა მიერ სხვადასხვა არჩევანის გაკეთება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. საშუალო საფეხურზე სავსებით შესაძლებელია მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ კურიკლუმებში არსებული პროექტების მოდიფიცირება სსსმ მოსწავლის მოთხოვნების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში.

უცხო ენები- დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, და თემების მიხედვით კომპლექსური დავალებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ვასკვნით, რომ ის ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით იმ მოსწავლეების სწავლებას, რომლებიც ამას საჭიროებენ. ის, თუ როგორ მუშაობს მასწავლებელი თითოეულ მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით, ვიგებთ ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული ჩანს, ზოგიერთი კომპლექსური დავალების პირობაშიც, რომელიც სხვადასხვა ფორმით სთავაზობს მოსწავლეს ნაშრომის წარმოდგენას. გარდა ამისა, მათ ინტერვიუში განაცხადეს, რომ ისინი მოარგებენ რესურსებს და შინაარსს მოსწავლეთა საჭიროებებს, შესთავაზებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მათი სწავლის ტიპს შეესაბამება, განმავითრებელი რუბრიკების მეშვეობით, გამოკვეთავენ მათ საჭიროებებს და მისცემენ ისეთ დავალებებს, რომლებიც თითოეული მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას შეუწყობს ხელს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მათ გააზრებული აქვთ დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობა და საჭიროება.

სპორტი - სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ -ლაგოდეხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N3საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

4....სახელწიფო ენა- სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. როგორც სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს სკოლა უპირატესობას ანიჭებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში.

მათემატიკა -სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა. სკოლაში გამოიყენება შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც. მათი გამოყენება ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა,რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება.
სკოლას წარმოდგენილ მათემატიკაში საშუალო საფეხურის კურუკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალება, რომლის პირობა მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ, ვთვლი, რომ განმავითარებელი შეფასება მოხერხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს.
კათედრა გეგმავს, რომ კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება მოხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთშეფასების გზით. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და ამჟამად მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. აღნიშნული შეფასების ფორმები ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დაუფლების გზაზე მოსწავლეთა ცოდნისა და მიღებული უნარების პერიოდულ და სისიტემატიურ მონიტორინგსა და დიაგნოსტირებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შეფასების პროცესი კი სრულდება განმსაზღვრელი ან და განმავითარებელი შეფასებით. შეფასების ამგვარ მექანიზმს ცნობს სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შედგენის მექანიზმი და საგნობრივი ჭრილით შექმნილი თემატიკის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასებები მკაფიოდაა გაწერილი კომპლექსურ დავალებათა პირობებსა და კომპლექსური დავალებების ბარათებში. განმსაზღვრელი შეფასებების მრავალგვაროვნება და დეტალიზირება განხორციელებულია სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოს ფორმებში. განმავითარებელი შეფასების ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა და რეკომენდაციებისა და კუნსულტაციის გაწევა მოსწავლეებზე ასათვისებელი ან და, გასაუმჯობესებელი ცოდნისა და უნარების დაუფლების გზაზე. შეფასება მოიცავს მოსწავლეთა სწავლა - სწავლების სტატისტიკური მონაცემების შექმნას და ასევე სწავლის დინამიკის აღწერას. კერძოდ: სად იყო მოსწავლე ამა თუ იმ საკითხის დამუშავებამდე და სად მივიდა საკითხზე მუშაობის დროს, რა შედეგს მიაღწია სწავლა - სწავლების პროცესში. რა კონკრეტული მეთოდები, რესურსები და ინსტრუმენტები არის საჭირო მიზნამდე მისასვლელად.

საბუნებმისმეტყველო საგნებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს.
წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საბუნებისმეტყველო საგანში. განმსაზღვრელი შეფასება მიემართება სამიზნე ცნებებს და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს და მათ მკვიდრ წარმოდგენებს. მაგ. წარმოდგენილია გამნსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საკითხის „ერთუჯრედიანი სოკოები“ მიმართ. აღწერილია შეფასების კრიტერიუმები ყველა სამიზნე ცნების მიმართ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორების გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი წონა.
წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ბიოლოგიაში საკითხზე „მწერები“ სამიზნე ცნების „სასიცოხლო თვისებები“ მიმართ, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა საკითხზე „მატერიის თვისებები და თბოგადაცემის თავისებურებები“, რომელიც გაწერილია სამიზნე ცნებების „მატერია“, „ენერგია“, ფიზიკური პროცესი“ მიმართ და ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგების ინდიკატორებს. წარმოდგენილია, აგრეთვე, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კომპლექსური დავალებისთვის „როგორ გამოვიყენოთ მატერიის თვისებები და თბოგადაცემის თავისებურებები ენერგოეფექტური სახლის ასაშენებლად“, სადაც წარმოდგენილია მასწავლებლის მოლოდინები თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ.

წარმოდგენილია 2022 წლის 20 ივნისის კათედრის სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში. ნათლად იკითხება, სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ შედეგებს მიემართება თითოეული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მიღებული შედეგები.

საშუალო საფეხურზე ხელოვნებაც და მუსიკაც სავალდებულო პროექტების სახით ისწავლება. თითოეულისთვის არსებობს სახელმძღვანელო, რომელშიც წარმოდგენილია სავარაუდო თემები, რომელის ფარგლებშიც, მოსწავლეთა ინტერესების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს პროექტის მიზანი და თემა, შემდგომ კი შეირჩეს ამ თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომელთა მიხედვითაც მოხდება შეფასება. სახელმძღვანელოში მოცემულია სხვადასხვა შეფასების სქემა, რომლის შესახებაც ცხადია აქვთ მასწავლებლებს ინფორმაცია და როგორც აღნიშნეს სწორედ ამ რუბრიკებით ხელმძღვანელობენ და იხელმძღვანელებენ 2023-2024 სასწავლო წელსაც. უნდა აღინიშნოს რომ სავალდებულო პროექტები განმსაზღვრელი შეფასებით არ ფასდება, მხოლოდ განმავითარებლით.

უცხო ენები-სკოლის მიერ წარმოდგენილი “სასკოლო სასწავლო გეგმის” მიხედვით, სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლისთვის აირჩია შეფასების პირველი მოდელი, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები ფასდებიან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების წარმოების რუბრიკა, რაც ზოგად წარმოდგენას ქმნის, სკოლის ფარგლებში აღნიშნული შეფასების ტიპის წარმოების წესზე. წარმოდგენილია უცხო ენისთვის შეფასების ის ინსტრუმენტები/რუბრიკები, რომელთა მიხედვითაც მოხდება მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და ანალიზი. წარმოდგენილი აქვთ ასევე კომპლექსური დავალებისთვის ისეთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმებიც შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს მიემართება. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც გრძელვადიან მიზნებთან მიმართებაში აქვთ შემუშავებული.
სპორტი - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.

5..სახლმწიფო ენის კათედრის სხდომებზე ანალიზდება სასწავლო პროცესში გამოკვეთილი საჭიროებები, ჩატარებული აქტივობების ძლიერი და სუსტი მხარეები და ხდება წინარე გამოცდილების რეფლექსია. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მასწავლებლები წერენ ანალიტიკურ კომენტარს, რომელიც ეხება მოსწავლეების მიღწევებს, პრობლემებსა თუ საჭიროებებს. კათედრებზე ზეპირი კომუნიკაციით ხდება გამოცდილების გაზიარება და საერთო სასკოლო ინტერესების გამოკვეთა.

მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები მოწმობს, რომ საშუალო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. მათემატიკის კათედრის წევრები რეგულარულად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აკეთებენ რეფლექსიას, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. მიღებული ინფორმაციის და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კურიკულუმის გადამუშავება, დახვეწა და განვითარება. წარმოდგენილ კურიკულუმში არ არის ჩასმული ყველა კომპლექსური დავალება რომელსაც მომავალ სასწავლო წელს განახორციელებენ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ მიდის მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის შედეგადაც შერჩეული იქნება მომავალი წლისთვის განსახორციელებელი დავალებები საშუალო საფეხურისთვის. წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე დასტურდება სტანდარტებთან შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობები ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მაგ. ქიმიის მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია კომპლექსური დავალება „პოსტერის საშუალებით კავშირის დადგენა ქიმიური ელემენტის იზოტოპურ შედგენილობასა და პერიოდულ სისტემაში მდებარეობას შორის“. განიხილება კონტექსტ-მაგალითი- „იზოტოპების როლი სამყაროსთვის“, მოსწავლეები იხსენებენ ცოდნას იზოტოპების შესახებ და არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ასრულებენ კომპლექსურ დავალებას. მოცემულია საინტერესო მაგალითები შედარებისთვის: იზოტოპები და არქეოლოგია, წყალბადის იზოტოპები, მძიმე წყალი, იზოტოპები და მედიცინა, რაც ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლებისას აქტიურად ხორციელდება მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება. მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებით ადგენენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის დონესა და მდგრადობას. სწორედ არსებული სიტუაციის გაანალიზების შემდეგ ხდება ახალი საკითხის, ინფორმაციისა და თემის მიწოდება და დამუშავება. მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა წინარე ცოდნის გასაგებად გამოყენებულია არაერთი საშუალება: შემაჯამებელი სამუშაო, დიაგნოსტირება ამა თუ იმ საჭირო საკითხზე და სხვა. მასწავლებლები საკუთარ წინარე ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ კათედრის წევრ კოლეგებს, ახდენენ მათ ანალიზსა და სახავენ ერთობლივად სამომავლო გეგმებს. აღნიშნული პრაქტიკის ნათელი დადასტურება არის იმ შეხვედრის ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც თავმოყრილია კათედრის სხდომის ოქმებში. წინარე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება - გაანალიზების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ხორციელდება საჭირო საკითხის ირგვლივ კვლევა და დიაგნოსტირება, რათა მომავალი სასწავლო პროცესი კიდევ უფრო პროდუქტიული, პოზიტიური, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და მიზანზე ორიენტირებული რომ იყოს. კათედრის წევრ მასწავლებელთა შორის არსებობს ურთიერთ თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც სწავლა სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების წინა პირობაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან საშუალო საფეხურზე ხელოვნების და მუსიკის სწავლება სულ ახალი რამ არის და წინარე გამოცდილება ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ აქვთ მასწავლებლებს, ისინი საბაზო საფეხურზე არსებულ კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილებას ეყრდნობიან და ამის ანალიზის გამოყენებით გეგმავენ პროექტების განხორციელებას.

უცხო ენები-კურიკულუმებში დაგეგმვისას გათვალისწინებულია წარმატებული გამოცდილების პრაქტიკა. ასევე მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე შემუშავებულია კურიკულუმები. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან დადგინდა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს კათედრის წევრები გამოცდილების გაზიარებისთვის და სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად, რომ შეისწავლონ გამოკვეთილი პრობლემები, იმსჯელონ მათი გადაჭრის გზებზე, გაუზიარონ ერთმანეთს მიგნებები და სხვ. მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას, მომავალშიც გაითვალისწინონ სწავლის პროცესის შედეგების ანალიზი. მათ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და მიგნებებს.

სპორტი - ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევებს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
დამრიგებლის ანგარიში; შემაჯამებელი დავალება;
შემაჯამებელი შეფასების რუბრიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმა;
კათედრის/კათედრების სხომის ოქმები;
შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები
პროექტის გეგმა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში
ვირტუალური ლაბორატორია: (https://phet.colorado.edu/en/simulations/coulombs-law?locale=ka, https://phet.colorado.edu/en/simulations/john-travoltage?locale=ka, https://phet.colorado.edu/en/simulations/coulombs-law?locale=ka

შეფასება:
გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
X შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1...ქართული ენის კურიკულუმში XII კლასებში კონტექსტმაგალითებად წარმოდგენილი სავალდებულო მხატვრული ტექსტები, შერჩეული თემები, კომლექსური დავალებების იდეები, კონსტრუქტივისტული მეთოდიკით განხორციელების შემთხვევაში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. შეხვედრისას პედაგოგებმა გააანალიზეს ერთი კომპლექსური დავალების შემოქმედებითი ასპექტები. საკუთარი პრაქტიკიდან მოხმობილი მაგალითით შეძლებისდაგვარად ახსნეს, როგორ, რატომ უწყობს ხელს ეს დავალება მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას.

მათემატიკაში სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები დადგეგმილია იმგვარად, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას (მაგალითად: მაღალი ობიექტის სიმაღლის გაზომვა სხვადასხვა ხერხის გამოყენებით) ითხოვს საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტების შექმნა თავისთავად მოიაზრებს შემოქედებითობის გამოვლენას. მასწავლებელბმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ ცდილობენ მოსწავლეებს მისცენ შემოქმედებითი თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება, პოზიტიურ სასწავლო გარემო, რაც განაპირობებს მაღალ მოტივაციას. კომპლექსური ბუნების დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეს სჭირდება თავისუფალი აზროვნება, პრობლემის სხვადასხვა პერპექტივიდან დანახვა და შეფასება , ახალი იდეების გენერირება, შესაბამისად ამ დროს მოსწავლე აქტიური და შემოქმედებით პროცესში ჩართულია. ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. საბუნებისმეტყველო მეცნერებებში წარმოდგენილი კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სკოლამ წარმოადგინა ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი და ხორციელდება პროექტი „ეკოსკოლა“, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განიხილონ გარემოს დაცვითი თემები საკლასო ოთახში თუ მის გარეთ აქტიური ქმედებების, დაკვირვების, კვლევის გზით, იმუშაოს საკუთარი გარემოს გაუმჯობესებისათვის და გახდეს უფრო მწვანე ნაკლებ დანახარჯიანი და უფრო პასუხისმგებლიანი გარემოს მიმართ, ჩაერთონ და ეფექტურად დაიცვან თავიანთი გარემო. სკოლა ჩართული იყო პროექტში „ნიკო კეცხოველის პრემია“-2023, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი ფოტოები. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი, სოლიდარობის და თანამშრომლობის უნარები.
მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, დაინახეს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. გახდნენ მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილეები.

საზოგადოებრივი მეცნიერების კუთხით სკოლაში სასწავლო პროცესი იმგვარადაა არის დაგეგმილი, რომ ის იძლევა თვალნათლად და მკაფიოდ მოსწავლეთა მრავალფეროვანი შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და საკუთარი შემოქმედებითი უნარების პრეზენტაციისა და გამოვლენის საშუალებას. ამ კუთხით მოსწავლეები ინტერაქტიულები არიან სასწავლო პროცესის მანძილზე. მოსწავლეთა ინტერაქციის მექანიზმს იცნობს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა. გარდა ამისა კომპლექსური დავალებების ფორმა, შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტებთან. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი თითოეული საგნის კურიკულუმი შედგენილია იმგვარად, რომ სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას იძლევა. მოსწავლეები სწავლობენ და უვითარდებათ ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების უნარები და შესაძლებლობები. ამ ყველაფერში კი მოსწავლეებს საშუალება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეძლევათ აქტიურად იყვნენ ჩართულნი საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენით როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებსა და პროცესებში.

სასწავლო პროცესი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში საბაზო საფეხურზე იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებში სახვით და გამაყონებით ხელოვნებასა და მუსიკაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს ორი მრავალფეროვანი პროექტის და საკითხების საგნისა და არა მხოლოდ საგნის, კულტურის ჭრილში. ძალზე მრავლის მომცველი საპროექტო თემები მოსწავლეს საშუალებას მისცემს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, გადაჭრას პრობლემები, გაანალიზოს რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, შეაფასოს პროცესები.

უცხო ენები-რადგან წარმოდგენილი კურიკულუმები კომპლექსურ/ცხოვრებისეულ კონტექსტთან ახლოს მდგომ პროექტულ დავალებებს ეფუძნება, მოსწავლე გარანტირებულად არის შემოქედებით პროცესში ჩართული. იგი მიმართულია ისეთ აქტივობებზე, რომ მოსწავლემ კეთების პროცესში შეიძინოს ცოდნა და საბოლოოდ ისეთ პროდუქტს ქმნიან, რომელიც მოიაზრებს ინდივიდუალურ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა, რომ აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გასაძლიერებლად, ჩართავენ მოსწავლეებს მომავალში არაფორმალური განათლების აქტივობებშიც და წაახალისებენ მათ ინიციატივებს, სადაც მათ შეეძლებათ შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო განავითაროონ.
სპორტი - საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმები და მასში გაწერილი, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები, ისევე როგორც საბაზო საფეხურზე მოწყობილი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე და ინფორმირებულია მშობლები. უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით, სასწავლო პროცესში ჩართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2..ქართული ენის მასწავლებლებთან ინტერვიურებისას პედაგოგთა რეფლექსია საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ კათედრას შეძლებისდაგვარად, მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი და დანიშნულება. პედაგოგები მართებულად იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის როლსა და მნიშვნელობას.

მათემატიკაში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი (X კლასი) უზრუნველყოფს მოსწავლის ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანს, რომ ისინი კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ და გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება (კომპლექსური დავალება „მაღალი ობიექტის გაზომვა“) მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას , გამოცდილებას , ინტერესებს , ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში , სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლის ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან . დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მაგ. ქიმიის კურიკულუმებში მოცემულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. წარმოდგენილ თემატურ მატრიცებში აქტივობებიც ისეა დალაგებული, რომ ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებას „საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით პოლიმერების თვისებების, მნიშვნელობისა და გარემოზე მათი ზემოქმედების წარმოჩენა“, რომელიც ეყრდნობა კონტექსტ-მაგალითს: „პოლიეთილენი - საფრთხე თუ სარგებელი?“, მოსწავლეები იცნობენ პოლიეთილენს, აქვთ გარკვეული წარმოდგენა მის თვისებებზე და გამოყენებაზე ყოფა-ცხოვრებაში. არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას პოლიმერების შესახებ და ასრულებენ კომპლექსურ დავალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები ქმნიან ისეთი სახის კომპლექსურ დავალებებს, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას. მოსწავლეებს ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ახალი თემისა და შესასწავლი მასალის ფარგლებში მირებული ინფორმაცია დაუკავშირონ უკვე შესწავლილი საკითხებიდან მიღებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ ცოდნასა, სწავლა სწავლების პროცესში ჩამოყალიბებულ უნარ - ჩვევებს. მასწავლებლები ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე ახდნენ გამოცდილების გაზიარებას, ახორციელებენ შესასწავლი თემატიკის / მასალის დიაგნოსტირებას და მიღებულ შედეგებს უსადაგებენ ახალ მასალას, ისე რომ შეიკრას მოსწავლეთა ცოდნასა და უნარებში მთლიანი ცოდნის კონსტრუქცია. ძველი და ახალი მასალის ურთიერთთან კონსტრუქტივისტული მიდგომებით აქვთ შედგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმები, რომელთა შედგენისას გათვალისწინებულია კათედრის სხდომაზე ურთიერთ შორის გაზიარებული საუკეთესო პრაქტიკა. ცოდნის ამგვარად დაკავშირების მექანიზმს იცნობს და არეგულირებს კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და სასკოლო სასწავლო გეგმა.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი პროექტის იდეა და შინარსი მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის გადაცემა ხდება წინარე ცოდნის გამოყენებით. აღნიშნულის შესაბამისად ინდიკატორთან მიმართებით შესაძლებელია დავასკვნათ-დაწყებით საფეხურზე, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლა სწავლების პროცესში იკვეთება ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

უცხო ენები-შუალედური მიზნები კომპლექსური დავავლებების სახით იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის თანდათანობით და მოსწავლისთვის საინტერესო კონტექსტში კონსტრუირების შესაძლებლობას. წინარე ცოდნის გააქტიურებაში მათ ეხმარებათ შეკითხვები და სხვადასხვა აქტივობები. მაგალითად, საშუალო საფეხურის რუსული ენის მეათე კლასის კურიკულუმში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებს ევალებათ პრეზენტაციის წარდგენა თემაზე “ადამიანები და ცხოველები”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დავალება ეფუძნება იმ წინარე ფაქტობრივ ცოდნას, ენობრივ საშუალებებს (ლექსიკას, გრამატიკა), სამეტყველო ქმედებას, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს წარმოადგენს, კომპლექსური დავალების პირობა კი ისეა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს უკვე არსებული ცოდნის საინტერესოდ გამოყენების შესაძლებლობას აძლევს,სადაც მას ევალება როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მისი დახარისხება, ანალიზი და ეფექტიანად გადმოცემა.

სპორტი-კოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლების სკოლაში განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლის დახვეწასა და განვითარებას გეგმავს სკოლა, მათზე მუშაობისას პროცესში განხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის დაშენება. დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე, მუშაობისას მოსწავლეს, წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა.

3..ქართული ენის კონკრეტული კომპლექსური დავალების აქტივობებში, ასევე ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ პედაგოგები ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა რეფლექსიებზე მათი სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. კათედრის წევრებმა იციან, რომ ეს საგანმანათლებლო პრინციპი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და აკადემიური ცოდნის დონის ამაღლებაში. მასწავლებლები შეეცდებიან დავალების აქტივობები მოარგონ მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი გახდეს საკუთარი სწავლის პროცესის სოციო-ემოციური მართვა.

მათემატიკის კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების? დავალებების განხორციელება იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სტრატეგიების . კომპლექსური დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას მოიაზრებს. მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც. საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება ისეთი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს, აპოვნინებს პასუხებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე,იმ სტრატეგიებზე,რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსია რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბუნებისმეტყველო მეცნერებების 2021-2022 სასწავლო წლის თემატურ მატრიცებში (ქიმია და ბიოლოგია) წარმოდგენილია კითხვები: რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გაიაზრებენ მუშაობის პროცესს, ნამუშევრის ძლიერ მხარეებს, ფიქრობს ხარვეზების გამოსწორების გზებზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურზე სწავლებისას აქტიურადაა გამოყენებული სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი, რომლებიც სწავლების საფუძვლად მიიჩნევს სწავლის სწავლების პრინციპებს. საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილი თემატური კომპლექსური დავალებები, ისეთი სტრუქტურით, შინაარსითა და მიდგომებითაა შექმნილი, რომ მოსწავლე დავალებაზე მუშაობისას დამოუკიდებლად, ზოგ შემთხვევაში მასწავლებლის კონსულტაციის ქვეშ იღებს თემატიკის შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას. ამ ცოდნის გადაცემა არა მზა ინფორმაციის მიწოდებით ხორციელდება მასწავლებელის მხრიდან, არამედ თავად მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნენ და დაეუფლნენ სწავლების მექანიზმებსა და უნარებს. სასწავლო პროცესი ისეა გაწერილი და დაგეგმილი, რომ მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იძენენ სწავლებისათვის საჭირო უნარ - ჩვევებს. იძიებენ, ეცნობიან, აკვირდებიან, აანალიზებენ, ახდენენ მიღებული ინფორმაციის ორგანიზებას, დახარისხებასა და საჭირო დროს საჭირო ვითარებაში მიღებული ცოდნის აქტუალიზებას მიმართონ და მიიღონ პრაქტიკული შედეგიც.

თვითშეფასების ფორმაში სკოლა წარმოადგენს ხედვას სწავლის სწავლის შესახებ. ასევე თვითშეფასების დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ სკოლაში დანერგილია გაკვეთილზე თვითშეფასების ბარათების, შესრულებული დავალების რეფლექსიის გამოყენება. სკოლას მოსწავლეებთან ერთად შემუშავებული აქვს შეფასების კრიტერიუმები. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში ისეთი საპროექტო იდეებია წარმოდგენილი, რომელთა განხორციელბაც აუცილებლად გულისხმობს საწვლის სწავლას.
უცხო ენები-შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს.
სპორტი - სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში, განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები, ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათი შემენილი- ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

4.ქართული ენის მასწვლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად იაზრებენ სასწავლო გარემოში განხორციელებული აქტივობების დანიშნულებას, მის ფუნქციას ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიისა და ზოგადად ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება მახვილდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. ამის დასტურად, თვითშეფასების კითხვარში წარმოგენილია კონკრეტული დავალების ნიმუში, შესაბამისი კითხვებით, რომლებიც ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლადაა გამიზნული.

გასაუბრებისას მათემატიკის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ჯერ სრულად არ შეურჩევიათ საშუალო საფეხურისთვის კომპლექსური დავალებები, იგეგმება გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი მსჯელობა. ნებისმიერ შემთხვევაში კომპლექსური დავალება თავითავად მოიაზრებს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობას. არჩეულ კომპლექსურ დავალებაში დამხმარე კითხვები ისეა განაწილებული და დალაგებული რომ იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიაზე გასვლის შესაძლებლობას. სკოლას აქვს გამოცდილება პროექტების განხორციელების,სადაც ახერხებდნენ სასწავლო პროცესი ორიენტირებული ყოფილიყო ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. სწავლებისას გამოყენებულია პროექტებით სწავლებაც (მაგ. პროექტი „ეკოსკოლა“), რაც ასევე ხელს უწყობს დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება საშუალო საფეხურზე სრულად იზიარებს და მთელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ახორციელებს მოსწავლეთა მიერ დაუფლებული ინფორმაციის დეკლარაციულ, პროცედურულსა და პირობისეულ ცოდნის მიღებას. სწავლისადმი აღნიშნული შეფასების კუთხით დამოკიდებულება მკაფიოდ იკვეთება იმ კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითებში, საკითხებში, პირობასა და სტრუქტურაში და სხვა ტიპის დავალებებში (შემაჯამებელი სამუშაო) რომლითაც ხორციელდება ამა თუ იმ თემის ფარგლებში საგნობრივი ცნებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამუშავებისას. მასწავლებელთა მიერ შედგენილი დავალებები ისეთნაირადაა შედგენილი, რომ მოსწავლეები თავად მიდიან ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობებისაკენ. საგნობრივი ჭრილის სწავლება რომ ეფუძნება ცოდნის სამ კატეგორიას ნათლად ვლინდება დავალებების, მათ შორის კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების პირობებსა და შეფასების რუბრიკებში. ცოდნის ამგვარი გაგების მექანიზმს წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის შექმნის მექანიზმი და ამა თუ იმ დავალების შეფასების რუბრიკები.
საშუალო საფეხურის ორივე საგნის, მუსიკისა და სახვით ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საპროექტო იდეები იძლევა შესაძლებლობას რომ მოსწავლეებმა სამიზნე ცნებები ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) დონეზე გაიზრონ. პროექტის პროდუქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები მიიღებენ თეორიულ ცოდნას, მოახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას. ამგვარად, საშუალო საფეხურზე, მუსიკასა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

უცხო ენები- წარმოდგენილი შუალედური მიზნები/ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა გაწერილი, რომ მოახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას დაეუფლებიან, მას პრაქტიკაში გამოიყენებენ, არამედ ექნებათ უნარი მოახდინონ მისი ანალიზი, თუ სად და როგორ გამოიყენოს ის. მაგალითად, საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მეთორმეტე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ესე თემაზე “უნდა ჰქონდეთ თუ არა თინეიჯერებს ნახევარგანაკვეთიანი სამსახური”, ამ დავალებაზე მუშაობისთვის მოსწავლეებს დასჭირდებათ როგორც ფაქტობრივი ცოდნა საკითხთან მიმართებაში, ასევე კონკრეტული ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების სწორად გამოყენება, საკუთარი მოსაზრების გადმოცემა, მისი არგუმენტირება და ანალიზი. აღნიშნული ტიპის დავალებები უზრუნველყოფს იმას, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

სპორტი-საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული ცოდნის ტრანსფერი ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

5...ქართული ენის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების - თემის, საგნობრივი საკითხების, ცნებებისა და დავალების პირობის ურთიერთკავშირი საშუალებას აძლევთ ხელი შეუწყონ მოსწავლეთა კომპეტენტური უნარების განვითარებასა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირებას სასწავლო პროცესში. კათედრა გამოიყენებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა პორტფოლიოებს სასწავლო პროცესის გასაანალიზებლად.

ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირებულად წარმოდგენის კუთხით, შეიძლება ვიმსჯელოთ მათემატიკის მე-10 კლასის კურიკულუმისა და განხორციელებული კომპლექსური დავალების საფუძველზე. მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ:კომპლექსური დავალებები, არაფორმალური აქტივობები, გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს,რამდენად ეხმარება მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.ამ ინდიკატორში კათედრის მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტთან.
საბუნებისმეტყველო მეცნიერები - კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. იგივე როლს ასრულებს პროექტული სწავლებაც. წარმოდგენილი პროექტები (მაგ. "ეკოსკოლა", „ნიკო კეცხოველის პრემია") ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და დაკავშირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მასზე მუშაობისას მოსწავლეები ახდენენ მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას და ახორციელებენ მიღებული ცოდნის ორგანიზებასა და სისტემატიზაციას. ეს ყოველივე კი მოსწავლეში მიღებული ინფორმაციის შესახებ კომპლექსურსა და მრავალფეროვან ცოდნას აყალიბებს. დავალებებში ისეა პირობა გაწერილი, რომ მოსწავლე მარტივად, რიგ შემთხვევაში მასწავლებლის რეკომენდაციებით, მოახდენს ცოდნის ორგანიზებას და მრავალი მიღებული ცოდნის დახარისხებას, თემატურ დაჯგუფებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას.

მომავალი წლის (2023-24 სასწავლო წელი) კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, საშუალო საფეხურზე განსაზღვრულია იმგვარი საპროექტო თემები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. თან, საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტები მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში აუცილებლად სხვა საგნებთან ინტეგრირებით ხორციელდება. კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. ამგვარად, საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
უცხო ენები-კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს ისეთ საკითხებს, ისეთ სამიზნე ცნებებს თუ ქვეცნებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. კომპლექსური დავალებების საშუალებით მოიაზრებს დაწესებულება მოსწავლის მიერ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად ახალი ცოდნისა და უნარების გამოყენებას. მაგალითად, საშუალო საფეხურზე ინგლისური ენის მეათე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ ქართული წარმოების პროდუქტის რეკლამირება. ამ დავალების შესასრულებლად, კი მათში გააქტიურდება სხვადასხვა კომპონენტური უნარები, გადმოსცემენ საკუთარ ცოდნას, გააკეთებენ შედარებას, მოახდენენ ფაქტების ანალიზს, გაიგებენ თანატოლთა მოსაზრებას საკითხის ირგვლივ, გარდა ამისა, მათ შეუძლიათ შექმნან როგორც ციფრული ასევე მატერიალური რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტი - ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატეს პედაგოგებმა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად იძლევა სწავლების საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
პროექტი “ეკოსკოლა”;
სასკოლო სასწავლო გეგმა (
კურუიკულუმის შემუშავების მექანიზმი
კათედრის სხდომის ოქმი
შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები / შაბლონები;
პროექტის გეგმა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სახელმწიფო ენა- კათედრა, პედაგოგები, სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საფეხურის საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირს, იაზრებენ სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითადად საგანმანათლებლო პრინციპად და საშუალებად. პედაგოგები თვლიან, რომ მოსწავლეები დროთა განმავლობაში შეძლებენ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებასა და გაცნობიერებას. კომპლექსური დავალებების ანალიზისთვის სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.
მათემატიკაში წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხზე დაყრდნობით, მით უფრო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და პროცესის სწორი ხედვა. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებისმეტყველო მეცნიერები - სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) შორის. ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში გრძელვადიან მიზნებად განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. გამოკვეთილია საგნობრივი საკითხები (საკითხთა კლასტერი), რომელთა შესწავლაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. უმეტეს შემთხვევაში გამოკვეთილია ქვეცნებები, რომლებიც აკავშირებს საგნობრივ საკითხებს სამიზნე ცნებებთან. მაგ. ბიოლოგიაში საკითხის „უჯრედის ბიოლოგია“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები- არაორგანული და ორგანული ნივთიერებების სტრუქტურა და ფუნქცია, მეტაბოლიზმი, ნივთიერებათა მრავალფეროვნება, ჰომეოსტაზი. მოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (სტრუქტურა და ფუნქცია, სასიცოცხლო თვისებები, ბიომრავალფეროვნება, ჯანმრთელობა და დაავადება) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას. ქიმიაში საკითხის „ქიმიური კინეტიკა“ შესწავლისას მუშავდება ქვეცნებები-მოლური კონცენტრაცია, ნივთიერების ბუნება, კატალიზატორი, ტემპერატურის გავლენა, წნევის გავლენა, კონცენტრაციის გავლენა, კატალიზატორის გავლენა, მარტივი ბმა, ჯერადი ბმა, კოვალენტური ბმა, იონური ბმამოცემული ქვეცნებების დამუშავება ხელს უწყობს სამიზნე ცნებებზე (ნივთიერება, ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, ქიმიური ბმა) და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას.

სკოლაში მყოფი საზოგადოებრივი კათედრის წევრი მასწავლებელები იცნობენ ,,მეოთხე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას“ და კომპლექსური დავალებების შექმნის მექანიზმებს. ერკვევიან ზოგადი განათლების თანამედროვე გამოწვევებსა და საჭიროებებში. ეს ყოველივე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების პროცესი მოსწავლეზე იყოს მკაფიოდ ორიენტირებული, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობითა და სიღრმისეული კონსტრუქტივისტული მიდგომებით. კერძოდ კი, კომპლექსური დავალებების საშუალებით ნათლად და მკაფიოდა განსაზღვრული თითოეული საგის შესასწავლი თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები, რომელიც სწავლა სწავლების პროცესს მიემართება. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები. ასევე გამოკვეთილია თემის ფარგლებში ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები და კონტექსტ მაგალითები. სწავლების ამგვარ მიდგომას ნათლად ასახავს კურიკულუმის შექმნის მექანიზმის საფუძველზე შედგენილი სასუალო საფეხურის სკასებში შესასწავლი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრილის სავალდებულო საგნების საგნის კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მუსიკასა და ხელოვნებაში სასწავლო პროცესი სრულად ეყრდნობა სტანდარტს. მკაფიოდ ჩანს კავშირი საპროექტო თემასა და სამიზნე ცნებებს შორის. შერჩეულია ისეთი ორი საპროექტო იდეა, რომლებშიც თემის სამიზნე ცნებები და ქვეცნებები ორგანულად და ლოგიკურად არის თავმოყრილი, იძლევა მათი სიღრმისეულად გააზრებიც საშუალებას, რაც მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საწინდარია.
უცხო ენები დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება ხდება ძირითადად შუალედური მიზნების/კომპლექსური ბუნების დავალებების მეშვეობით, სადაც თემის ფარგლებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ ქვეცნებები, საგნობრივი საკითხები, რესურსები. კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ თითოეული თავის ფარგლებში უნდა იქნეს ისეთი აქტივობები შერჩეული, რომლებიც ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებას შეუწყობს ხელს.
სპორტი -საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

2...ქართულში დოკუმენტურად წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, თემატური ერთეულები, დავალების შესრულებისას გადასაჭრელი პრობლემები, განსახორციელებელი აქტივობები, კონკრეტული საგნობრივი საკითხები, კონტექსტმაგალითები, მორგებულია მოსწავლეთა კონკრეტული ასაკისათვის დამახასიათებელ ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს.

მათემატიკის საგნობრივი კონტექსტები ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ განხილული სასკოლო აქტივობებით შესაძლებელი იქნება მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სამომავლოდაც იგეგმება პროექტების და კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც ხელს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერები - სწავლის პროცესი ორიენტაცირებულია შემდეგ კომპეტენციებზე: თვითცნობიერება, თვითრეგულაცია, სოციალური ცნობიერება, ურთიერთობის უნარები, პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეს მოუწევს შეაფასოს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრების ძლიერი და სუსტი მხარეები, გაიაზროს სხვების პოზიცია და გამოხატოს პატივისცემა სხვების აზრის მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა და აიღოს პასუხისმგებლობა გადაწყვეტილებაზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჭრის საგნების კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი საშუალო საფეხურზე სწავლების ფარგლებში რომ, მთელი სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეები სასწავლო პროცესისას არა მხოლოდ ფიზიკური, შემეცნებითი და აკადემიური სფეროს განვითარების შესაძლებლობას შეძლებენ, არამედ მათში განვითარდება პიროვნულ ფსიქო - ემოციურ მდგომარეობა. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ და წარმართონ სწავლის პროცესი, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში. მათ ეძლევათ საშუალება დაფიქრდნენ, დააკვიდნენ, გააანალიზონ, შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, ინტერესები და საჭიროებები. გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი თვისებები. მართონ საკუთარი პიროვნული ემოციები. მოახდინონ საკუთარი თავის თვითრეგულაცია, ჩამოუყალიბდეთ სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ემოციისა და ნაფიქრის სხვისთვის გაზიარების უნარი. გახდენენ სხვათა მიმართ ემპათიურები, ტოლერანტულები, დაეუფლონ გუნდური მუშაობის ტაქტიკას და სხვა. კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და დავალებაზე მუშაობის პრინციპები სრულად ემიზნება და ემსახურება მოსწავლეთა ფსიქო - სოციალურ განვითარებას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში წარმოდგენილი საპროექტო თემები გვიჩვენებს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა შემეცნებაზე, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს პროექტზე მუშაობისას უწევთ კვლევა, შეფასება, შექმნა. ამ ქმედებებს თან ახლავს გარკვეული ემოციები, თვითგამოხატვა, შემოქმედებითი ქმედებები, უყალიბდებათ ფასეულობები, გამოხატავენ საკუთარ პოზიციას და ა.შ. . სკოლის თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნულია რომ „პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების პროცესში, მოსწავლეები იძენენ ცოდნას, ღირებულებებსა და უნარებს; მოსწავლეებს შეუძლიათ ისაუბრონ საკუთარ პიროვნულ მახასიათებელებზე, გამოხატონ საკუთარი პოზიცია, ფასეულობები. გრძნობდნენ და გამოხატავდნენ ემპათიას ერთმანეთის მიმართ, აყალიბებდნენ და ავითარებდნენ სოციალურ ურთიერთობებს და იღებდენ პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებს. შეუძლიათ მოახდინონ თვითშეფასება და იმსჯელონ პიროვნულ განვითარებაზე. გამოკვეთონ პოზიტიური მიზნები და დასახონ სტრატეგია მათ მისაღწევად; მათ შეუძლიათ გააცნობიერონ საკუთარი როლი და ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში . აღიქვან თავი მსოფლიოს ნაწილად და გააცნობიერონ არსებული გამოწვევები. იმსჯელონ სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე და საკუთარ წვლილზე ამ კულტურის ჩამოყალიბების– საგანმანათლებლო სივრცეებში მათი დანერგვის მნიშვნელობაზე“. სკოლა აღნიშნავს, რომ საგნობრივი კურიკულუმები შევიმუშავეს სწორედ ზემოთქმულის გათვალისწინებით.

უცხო ენები კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები აჩვენებს, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება. ზოგიერთი მათგანის პირობა ისეა მოცემული, რომ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, გააკეთოს არჩევანი, თუ რომელ საკითხზე ან რა ფორმით წარმოადგენს შესრულებულ დავალებას. გარდა ამისა, თემატიკა ისეა შერჩეული, რაც მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს და მათ ემოციურ განვითარებას ეხმიანება, სადაც საშუალება მიეცემათ გამოხატონ როგორც საკუთარი მოსაზრებები და ემოციები, ამასთანავე გააცნობიერონ სხვების პოზიციაც. მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას ხელს შეუწყობს მაგალითად, საშუალო საფეხურის მეათე კლასის ინგლისური ენის კომპლექსური დავალება, რომელიც მოიაზრებს ესეს დაწერას თემაზე “მობილური ტელეფონის გამოყენება სკოლაში”, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ არა მარტო გამოთქვან მოსაზრება თემის ირგვლივ, იმსჯელონ იმაზე, თუ რამდენად საჭიროდ მიაჩნიათ მობილური ტელეფონები სკოლაში, არამედ დაასაბუთონ არგუმენტირებულად მოსაზრება, საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრონ მათთვის ნაცნობ თემაზე, ასევე მოისმინონ სხვების ნააზრევიც. მოცემული კონტექსტ მაგალითი და რესურსები კი უზრუნველყოფენ მათთვის ნაცნობ და საინტერესო კონტექსტში მოახდინონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალების შესრულება. აღსანიშნავია, რომ სკოლა არჩევით საგნად სთავაზობს მოსწავლეებს საშუალო საფეხურზე გერმანულ ენას, რაც ასევე მოსწავლეთა ინტერესებს ეხმიანება.
სპორტი--სკოლაში საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას.

3.ქართული ენის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშებში ჩანს, რომ კათედრა შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის. სკოლა ცდილობს მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ სასწავლო პროცესში. სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას სამიზნე ცნების ფლობის დონის განსასაზღვრად. შემაჯამებელი წერების დროს მოსწავლემა წინასწარ იციან, რომელ კომპონენტში და რამდენი ქულით შეფასდებიან. თითოეული თემისათვის, შემაჯამებელი დავალებებისათვის კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეძლებისდაგვარად გააანალიზებს მოსწავლის განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური).

მათემატიკაში მოსწავლეთა შეფასების მეთოდები და სტრატეგიები ორიენტირებულია მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებზე, ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის (სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია), როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა და იყენებენ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საბუნებისმეტყველო საგანში. მაგ. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ბიოლოგიაში საკითხზე „მწერები“ სამიზნე ცნების „სასიცოცხლო თვისებები“ მიმართ, რომელიც ეყრდნობა შესაბამისი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებელს მიეცა რჩევა, შეადგინოს შესაბამისი რუბრიკა დანარჩენი სამიზნე ცნებების (სტრუქტურა და ფუნქცია, ბიომრავალფეროვნება, ჯანმრთელობა და დაავადება) მიმართაც. ქიმიაში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკა კონტექსტ-მაგალითზე მეთანის წვა და მასთან დაკავშირებულ ქვესაკითხებზე. შეფასება ხდება ორი სამიზნე ცნების- „ნივთიერება“ და „ფიზიკური და ქიმიური მოვლენების მიმართ“. გაწერილია მოლოდინები თითოეული მკვიდრი წარმოდგენის მიმართ.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მოსწავლეთა შეფასებაში გამოყენებული სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები არის როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი. მათ შედგენაში კი უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჰოლისტური გავითარებას. მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებისათვის გაკეთებული სხვადასხვა სახის შეფასებები: წერილობითი, ზეპირი, კომპლექსური დავალებების შეფასებისას შექმნილი შეფასებები, რომელიც წინასწარ შედგენილ რუბრიკას ეფუძნება, ცალსახად არის მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული. მოსწავლეთა შეფასების ამგვარი განხორციელების მეთოდი და სტრატეგიები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავების მექანიზმის დოკუმენტებში.

მუსიკისა და სახვით ხელოვნებაში პროექტული სწავლება თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით, არამედ ამ დონაზე დაყრდნობით შექმნილი პროდუქტიც, სადაც მას სრულიად თავისუფლად და მრავალფეროვნად შეუძლია გამოხატოს თავისი თავი. ძალზე მნიშვნელოვანია ამ დროს განმავითარებელი შეფასება, ასევე თვითშეფასებაც. საშუალო საფეხურის კურიკულუმი, მასწავლებლის სახელმძღანელოებიც, რომელა მიხედვითაც არის დაგეგმილი ეს პროექტები იმგვარ აქტივობებს, მიდგომებს და შეფასებებს ითვალისწინებს, რომ სწორედ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. აქვე უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღინიშნოს რომ სკოლას 2022-2023 წლის სასკოლო გეგმაში მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი ხედგა განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით.

უცხო ენები რადგან დაწესებეულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გამდიდრებულია კომპლექსური ბუნების დავალებებით, რომლებიც მოიაზრებს მეტაკოგნიტურ კითხვებს და შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ანალიზური რუბრიკა, რომელთა ამოცანებია ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება, შეფასება ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ გაითვალისწინებს მოსწავლისთვის აქტუალურ სხვადასხვა გარემოებას. მასწავლებლები კი ხედავენ იმის საჭიროებას, რომ აქცენტი უნდა გააკეთონ უფრო მეტად განმავითარებელ შეფასებაზე.
სპორტი-სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენიდან. რომელიც საჭიროებს დახვეწას და რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა, მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას.

4.წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. შეფასების რუბრიკებში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. შეფასების სქემა მკაფიო და არაორაზროვანია შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეყრდნობა სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დოკუმენტი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექსნიზმის შესახებ სკოლაში შემუშავების პროცესშია.
მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს..მაგალითად, ,წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები: მეორე სემესტრის შეჯამება, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა, 2021-2022 სასწავლო წლის II სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალებების ანალიზი. გამოკვეთილია პრობლემები შეფასებასთან დაკავშირებით: ”თუ შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ სწრაფად არ ხდება უკუკავშირის გაკეთება, ბავშვი ინტერესს კარგავს თავისი ნამუშევრის შედეგების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოსწავლემ ზოგადად ინტერესი დაკარგოს სწავლის მიმართ.
ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იქნება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ჩატარდეს სხვადასხვა ტიპის შემაჯამებებლი დავალებები, თითოეული მოსწავლის ნაშრომები მასწავლებელმა დროულად შეასწოროს და თითოეულ მოსწავლეს განმარტებები მისცეს დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით. შეადგინოს თითოეული მოსწავლის განვითარების გეგმა (ანუ თუ რა მიმართულებით სჭირდება კონკრეტულ მოსწავლეს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, სხვადასხვა უნარების გაუმჯობესება, ცოდნის გაღრმავება და ა.შ), ასევე, ყველა მოსწავლის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, იმსჯელოს მთელი კლასის მიღწევებსა და საჭიროებებზე.”
წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში. ნათლად იკითხება, სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ შედეგებს მიემართება თითოეული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მიღებული შედეგები.
სკოლამ წარმოადგინა ეკოკომიტეტის სხდომის ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი და ხორციელდება პროექტი „ეკოსკოლა“., რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს განიხილონ გარემოს დაცვითი თემები საკლასო ოთახში თუ მის გარეთ აქტიური ქმედებების, დაკვირვების, კვლევის გზით, იმუშაოს საკუთარი გარემოს გაუმჯობესებისათვის და გახდეს უფრო მწვანე ნაკლებ დანახარჯიანი და უფრო პასუხისმგებლიანი გარემოს მიმართ, ჩაერთონ და ეფექტურად დაიცვან თავიანთი გარემო. სკოლა ჩართული იყო პროექტში „ნიკო კეცხოველის პრემია“-2023, წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი ფოტოები. პროექტი ხელს უწყობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი, სოლიდარობის და თანამშრომლობის უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებმა მიიღეს ინფორმაციას მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ, დაინახეეს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობებს ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. გახდნენ მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილეები.
იქიდან გამომდინარე რომ სკოლას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის მექანიზმი ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში დასკვნის პროექტის შემუშავების დროს, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს წარადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (2-166) დამტკიცებული ვერიფიკაციის წესი, შესაბამისად აღნიშნული შესაბამისობაშია ინდიკატორთნ.

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, კომპლექსური დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით. მაგალითად,წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი, სადაც განხილული იყო შემდეგი საკითხები: მეორე სემესტრის შეჯამება, მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური შედეგების განხილვა, 2021-2022 სასწავლო წლის II სემესტრის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კომპლექსური დავალებების ანალიზი. წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში და ფიზიკაში. ნათლად იკითხება, სტანდარტით გათვალისწინებულ რომელ შედეგებს მიემართება თითოეული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მიღებული შედეგები. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების თანახმად, კათედრის სხდომის ოქმები, მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, კომპლექსური დავალებების პროდუქტები ინახება არანაკლებ სამი წლის ვადით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საშუალო საფეხურის კურიკულუმები
სასკოლო სასწავლო გეგმა (
კურუიკულუმის შემუშავების მექანიზმი
შემაჯამებელი სამუშაობიეს ფორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბუნებიმტყველო კათედრის სხდომის ოქმი.
სკოლის დირექტორის ბრძანება (8.09.2023, 2-166) ლაგოდეხის #3 საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილია სკოლის სასწავლო გეგმა (2022-2023 სასწ. წელი), სკოლის რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალური საკითხებს. სკოლის მისიაა დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მოსწავლის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, დაეხმაროს მოსწავლეს ჩამოყალიბდეს გლობალურად მოაზროვნე, პატრიოტ, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, თანამედროვე უნარებითა და კომპეტენციებით აღჭურვილ მოქალაქედ, განუვითაროს მოსწავლეს კულტურული მრავალფეროვნებისა და ფასეულობათა პატივისცემა, დაეხმაროს მოსწავლეებს ჩამოყალიბდნენ გამბედავ და ინიციატივის მქონე ადამიანებად, აუმაღლოს მოსწავლეებს თვითშეფასება და განუვითაროს მათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებით გათვალისწინებით სკოლისათვის შექმნილია საათობრივი ბადე. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები, აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზრდისთვის. სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. საჭიროების შემთხვევაში სკოლა ითვალისწინებს შინ სწავლებას. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისთვის/მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. სკოლაში განხორციელებული სასკოლო პროექტები, სკოლის კედლებზე გამოკრული და სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით - არაერთი სხვადასხვა, მოსწავლეზე ორიენტირებული პროექტები,ასევე საუკეთესო საშუალებაა კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაც მოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და პრობლემებს, რომელიც არა მხოლოდ პირდაპირ საგაკვეთილო პროცესთან არის დაკავშირებული. ხორციელდება ისეთი სასწავლო პროექტები, რომელიც მოსწავლეთა მოტივაციის და ინტერესის ზრდას უზრუნველყოფს. მასწავლებელთა ინტერვიუებიდანაც ჩანს, რომ გააქტიურებულია სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება სასწავლო პროცესი. პედაგოგები აღნიშნავენ მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას არჩევენ ისეთ თემებსა და კონტექსტ-მაგალითებს, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ და აკადემიურ გამოცდილებას. ამ მიზნით მასწავლებლები ქმნიან სხვადასხვა ტიპის რესურსებს: სქემებს, მაორგანიზებლებს, პლაკატებს, მოდელებს, ელექტრონულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წიგნებს, დიდ წიგნებს ერთობლივი კითხვისთვის, ნახატებიან და მოძრავ ანბანს. სკოლაში შემუშავებულია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

3..სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება გაკვეთილებზე და უკუკავშირი, მშობლების მიერ განხილული კომპლექსური დავალების ბარათები და მათი ჩართულობა ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. წარმოდგენილია 2022 წლის 6 ივნისის დაწყებითების კათედრის N4 სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებმა გაანალიზეს შემაჯამებელი დავალებების და კომპლექსური დავალებების შედეგები და იმსჯელეს ხარვეზების გამოსწორებაზე. კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება. პედაგოგებთან ინტერვიურებით ნათლად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ. კათედრებს შორის თანამშრომლობის მაგალითია მე-2 კლასში ქართული ენისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა) მასწავლებლების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალება: დიორამა - წელიწადის დროები. ასევე წარმოდგენილია საბუნებისმეტყველო კათედრის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ, ერთობლივად განიხილავენ და აანალიზებენ შემაჯამებელი დავალებების და კოპლექსური დავალებების შედეგებს, ეძებენ პრობლემების გადაჭრის გზებს.კათედრის სხდომებზე მუდმივად განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; რომ ამ დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება.

4.. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მაგ. .2022-2023 სასწავლო წელს დაგეგმილი იყო სასკოლო პროექტი “მე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაქვს უფლება”. სასკოლო პროექტის პრიორიტეტული თემაა ,,ადამიანის უფლებები“. პროექტის ბენეფიციარებია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. წარმოდგენილა, აგრეთვე, 2021-2022 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტის “მე- მოქალაქე” გეგმა. . პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო დისკუსია თემაზე: ტოლერანტული მიდგომის მნიშვნელობა და როლი თანამედროვე სამყაროში. ,ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა - ტოლერანტობის კვირეულის ფარგლებში აქტივობების განხორციელება დაწყებით და საბაზო საფეხურზე. (ფილმის, „საოცრება“, ჩვენება), კომპლექსური დავალება -კულტურული მრავალფეროვნება ჩემს გარშემო. (საბაზო საფეხური-VII კლასი), საკლასო პრეზენტაცია-,,ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“... მოსწავლეთა მიერ მოკლე ისტორიულ - გეოგრაფიული ცნობების მოძიება პოლონეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის, დაღესტნის შესახებ და თანასკოლელებისთვის გაცნობა, სასკოლო კონფერენცია: თემა -,,ერთიანობა მრავალფეროვნებაშია” მოსწავლეები განიხილავენ: სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ჩვენი ქალაქის, ქვეყნის სამსახურში (ლუდვიგ მლოკოსევიჩი, თამარ სხირტლაძე, ბერდია ბერიაშვილი. კომპლექსური დავალება მოსწავლეთათვის - „ტოლერანტობა - მრავალეროვანი ქვეყნის სიმშვიდის სადარაჯოზე“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კურიკულუმები
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:
ოგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
ოშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

X შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია,...სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).
მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

2. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. ის არის საუკეთესო საშუალება პრობლემების იდენტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. შესაბამისად, მონიტორინგისა და შეფასების მთავარი დანიშნულება არის სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა.

3. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც განმარტებულია, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც ასახული უნდა იყოს ცვლილებების სახით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
კურიკულუმის განვითარების მეთოდლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მონაცემების დამუშავება). პრობლემების, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის წყაროდ სკოლა მოიაზრებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრს. ინფორმაციის მოგროვების მიზანია პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭროს გზების ძიება. ინფორმაციის მოპოვებას სკოლა გეგმავს სხვადასხვა წყაროს გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა.

2. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს პედაგოგები მოსწავლის საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მიღებას გეგმავენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგალითად მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, გაითვალისწინებს ამავე დროს ისეთ კონტექსტს, როგორიცაა კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

3. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა.

4. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებს, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბაზო საფეხურის კურიკულუები;
კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგია;
შეფასება:
იგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
იშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Xშეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, როგორ იქმნება კურიკულუმის განვითარების და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:
- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა შედეგები: რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას.
მშობელთა ჩართულობა: რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები)
კათედრის მუშაობა: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით.
სკოლის დირექცია: რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება.
თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის:
- რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;
- რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად.

2. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, კათედრების მუშაობის ეფექტურობა, მოხდება წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინება კურიკულუმების გადამუშავების პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის შემუშავების მეთოდლოგია;
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
შეფასება:
ოგთხოვთ, ასახოთ შეფასება.
ოშესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
Xშეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....

6 .10.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: